

საგ



საბჭოთა სეროვნება

1977 6

6/1977

სსსკ-ოთა სენსიტიუიზაცია

შინაწილი

„მთავარი მომავალი“ საბავთო კავშირის დიდი თეატრის სენსიტიუიზაცია	2
გიორგი ზვირიდოვი —	
ბილი ულანოვისა, ბილი ხალვისა	3
„შთაბეჭედებები“	7
კიბისი ფრანკოს სახელობის შტაბინული აკადემიური თეატრი თბილისში	11
გიორგი ასათიანი —	
პატრული დოკუმენტები და სამეცნიერო-კოვალენტური ფილმები 1973-76 წწ.	12
გიორგი მახარაშვილი —	
კორნელი სანაძე	20
ბასო აბაშიძის სახელობის თბილისის მუსიკალური კომპოზიციის სახელმწიფო თეატრი	24
ინტეგრირება	25
მირა ფიჩხაძე —	
თეატრის შემოქმედებითი გზა	27
გიორგი ცაბაძე —	
მომავლის რწმენით	38
შოთა მილორავა —	
სოციალური ამბა	40
ალექსი არღუნი —	
შუაპელოტი	41
ლელია თბუკაშვილი —	
ნილო ჯაფარიძის ფილმური ტილოები	44
ვახტანგ ქართველიშვილი —	
დონ კიხიძის ბავშვები	47
მზია ხეთაგური —	
დავით კლდიაშვილის ნაწარმოებები გოგონის თეატრის სენსიტიუიზაცია	55
ალექსი ლოსივი —	
ხელოვნებასთან ანტიკურების მიხედვით სენსიტიუიზაცია	59
ფილმების სენსიტიუიზაცია	68
ჭურბაქ ქარბლაშვილი —	
მკაცრი ფრანკოს და თეატრის ინტეგრირების	70
თეა ურუშაძე —	
კლასიკა კინოში მკვლევარის შემოქმედებაში	79
„სოფი-თეატრი“ თბილისში	86
ირინე მერაბიშვილი —	
საინტეგრირებო გამოცემა	87
ლადო გუდიაშვილი —	
მომავლისთვის წინა	94
ქურჩა ნაღორაძე —	
აღმართი და კინოაღმართი	99
ალან ტიბორნი —	
ჩინ (თარგმანი და შესავალი წერილი ზურაბ ჯანაშვილისა)	110
კონსტრუქცია	113

საპატრული სსსკ კულტურის სამინისტროს შრომითი შუამდგომლობა

**თეატრი
მუსიკა
მხატვრობა
კინო
არქიტექტურა
კორნეტივისა**

მთავარი რედაქტორი
თამაზ ვილაძე
სარედაქციო კოლეგია:
კაკი ბატიაძე,
ვახტანგ ბერიძე,
ჯუმაბერ თითხაია
(კასტინგ-დირექტორი მდივანი),
ნოდარ ბაბუნიანი,
ვანო კიკნაძე,
ნოდარ მგლოზლიშვილი,
ზურაბ ნიშარაძე,
ვიკი ორბელიანი,
ნათელა ურუშაძე,
რამაზ ჩხიძე,
ანდრე ვულპიანი,
ნიკო მანუშაძე,
ნოდარ ჯანაშვილი.



სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღება დიდმნიშვნელოვანი ნიშან-
სვეტი იქნება ქვეყნის პოლიტიკურ ისტორიაში. იგი ჩვენი ლენინური პარტიის,
მთელი საბჭოთა ხალხის კიდევ ერთი ისტორიული წვლილი გახდება კომუნის-
მის მშენებლობის საქმეში და ამასთანავე თავისუფლების, კაცობრიობის პროგ-
რესის, ქვეყნად მშვიდობის დამკვიდრებისათვის მთელი მსოფლიოს მშრომელ-
თა ბრძოლის ინტერნაციონალურ საქმეში.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავ-
შირის კონსტიტუციის პროექტის შესახებ სკპს
ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის
საკონსტიტუციო კომისიის თავაჯღომარის ამ-
ხანაზ ლ. ი. ბრუშენკის მოხსენებთან.

„ეთვარის მოცახება“ საბჭოთა კავშირის დიდი თეატრის სცენაზე

დიდი ოქტომბრის 60 წლისთავის აღსანიშნავად მოსკოვში, საბჭოთა კავში-
რის დიდი თეატრის სცენაზე წარმტებიო დაიდგა სსრ კავშირის სახალხო არ-
ტისტის, სახელმწიფო პრემიების ღაურეატის, კომპოზიტორ ოთარ თაქაიშვი-
ლის სამოქმედებიანი ოპერა „მთვარის მოტაცება“, რომელსაც საფუძვლად უდევს
კონსტანტინე გამსახურდიას ამავე სახელწოდების რომანი (ლიბრეტოს ავტორია
ო. თაქაიშვილი, ლექსების — რუსთაველის სახელობის პრემიის ღაურეატო
შ. ნინიაიანიძე, ტექსტის რუსული თარგმანი — ი. მაზინიას).

კომპოზიტორმა ასე განსაზღვრა თავისი ახალი ოპერის შინაარსი: „ეს არის
მოთხრობა რევოლუციის პირველ წლებზე საქართველოს მთიანეთის ერთ-ერთ
მიჯარდნილ კუთხეში, როგორც მთვარის შუქი ფერმკრთალდება ხოლმე ამომავე-
ლი მზის წინაშე, ისე გაღადან წარსულში ის აღამიანებო, ვინც ვერ აღუბ მხარი
ახალ ცხოვრებას, ვინც ვერ იპოვა საკუთარი თავი ახალი ცხოვრების წიაღში“.

სექტაქლის დადგმა განახორციელეს — რსფსრ დამსახურებულმა არტისტმა,
დირიოერმა ა. ლაზარემა, სსკუ სახალხო არტისტმა, სახელმწიფო პრემიის ღა-
ურეატმა, რეჟისორმა ბ. პოკროვსკიმ, რსფსრ დამსახურებულმა მხატვარმა ე. ლე-
ვენტალმა, რსფსრ სახალხო არტისტმა, ქორმეისტერმა ა. რიზოვმა, საქართვე-
ლოს სსრ დამსახურებულმა არტისტმა, ქორეოგრაფმა ბ. დარახველიძემ.

პრემიერაზე მთავარ როლებს ასრულებდნენ — საქართველოს სახალხო არტის-
ტი ზ. სოტკიალა (არზაყანი), სსრ კავშირის სახალხო არტისტები ი. გულაგვი
(თარაში), ე. ნესტერენკო (ჯვამბია), ა. ოგნიცევი (ტარიელი), რსფსრ დამსახუ-
რებული არტისტი შ. ქასრაშვილი (თამარი), რსფსრ სახალხო არტისტი ლ. ნიკი-
ტია (დედა).

მოთხვევს ვთავაზობთ სსრ კავშირის სახალხო არტისტის, ლენინური პრემიის
ღაურეატის კომპოზიტორ გიორგი სვირიდოვის სტატიას. აგრეთვე ცნობილი
მოსოველი კულტურის მოღვაწეების შთაბეჭდილებებს.



მოსკოვი. სსრკ დიდი თეატრი

გედი ადამიანისა, გედი ხალხისა

გიორგი სვირიდოვი

სსრკ კავშირის სახალხო არტისტი, ლენინური პრემიის ლაურეატი

დიდ თეატრში გაიმართა ოთარ თაქთაქიშვილის ოპერის „მთვარის მოტაცების“ პრემიერა, რომელმაც ნამდვილად აღაფრთოვანა მსმენელები დრამატურგიის სოციალური სიმწვავეთა და შთამაგონებელი მუსიკალური გადაწყვეტით. სასიხარულოა, რომ დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის ღირსშესანიშნავ წელს ჩვენმა წამყვანმა მუსიკალურმა თეატრმა ერთ-ერთი მძიმე საბჭოთა რესპუბლიკის კომპოზიტორის მიერ შექმნილი თანამედროვე ოპერა დადგა.

„მთვარის მოტაცების“ ლიტერატურული საფუძველი გახდა კონსტანტინე გამსახურდიას ამავე სახელწოდების რომანი, რომელიც საბჭოთა წყობილების ჩამოყალიბებისა და დამკვიდრების წლებში ქართული სოფლის ცხოვრების დამაბულ ვითარებას წარმოსახავს. ქართული პირობის ერთ-ერთმა უდიდესმა ოსტატმა მკაფიოდ აღბეჭდა ძველი, ნახევრად ფეოდალური წყობილების მსხვრევის, ახალი ცხოვრების წესის შექმნის სურათები და იმ ადამიანთა განწირულება, რომლებმაც რევოლუციურ გარდაქმნათა არსი ვერ გაიგეს.

რთული, მრავალპლანიანი რომან-ეპოპეის მასალაზე ოპერის დაწერა უაღრესად ძნელი საქმეა. კომპოზიტორმა შეძლო შეექმნა ლიტერატურული სიუჟეტის საფუძველზე დამოუკიდებელი საოპერო-დრამატურგიული ვარიანტი. მოქმედების ცენტრში არიან მწვავე, კონფლიქტურ სიტუაციებში ნაჩვენები მთავარი გმირები; სოფლის ახალგაზ-

რღობის ხელმძღვანელი, კომკავშირელი არსაყანი, მისი ღედა და მამა — გლეხები, „ქელი ყაიდის“ ადამიანები, მისი ძმანდაფიცი, თავადიშვილი თარაში, მღვდელი ტარელი და მისი ქალიშვილი თამარი. მათი ბედი მჭიდროდ არის ერთმანეთში გადართული, ხოლო არსაყანისა და მამამისის შეტაკება, საუკუნოვანი საფუძვლებისა და ოჯახური ტრადიციების წინააღმდეგ ახალგაზრდა მთიელის ბუნტი დრამის სიუჟეტური ცენტრი სდება.

რომანის ეროვნულმა თავისთავადობამ, რომელიც მდიდარია ხალხის ცხოვრების ამსახველი ძარღვიანი სურათებით, ბევრად განსაზღვრა ოპერის მუსიკალური კონცეფცია. საგუნდო სიმღერის, საცეკვაო რიტმების, ვოკალური მონოლოგებისა და დუეტების ორიგინალური შერწყმის გზით იშვა ამ ნაწარმოების რთული მუსიკალური ქარგა. ოთარ თაქთაქიშვილი აქ წარმოგვიდგება დიდ, ჩამოყალიბებულ ხელოვნად, — ეს არის მუსიკალური დრამისა და თანამედროვე მონუმენტური ორატორიის ჟანრებში მისი მრავალი წლის ძიებათა თავისებური შედეგი. ალბათ, აქედან გამომდინარეობს ორატორიულობის ნიშნები, რომლებსაც თავისუფლად ნერგავს იგი საოპერო პარტიტურაში. აქედან გამომდინარეობს ხალხური ცეკვისა და მასობრივი პლასტიკური მოქმედების დინამიკასთან სასიმღერო-საგუნდო საწყისის შთამბეჭდავი შერწყმა. თაქთაქიშვილი წარმოგვიდგება მაძიებელ ნოვატორად, რომელიც თავისებურად წყვეტს თანამედროვე საოპერო ფორმის პრობლემებს. ამას მოწმობს უძლიერესი ემოციური კონტრასტებიც, ნახევრად ფანტასტიკური ხედვებით რეალური ამბების ცვლის წმინდა პირობითი ხერხებიც (მე-3 აქტი), წმინდა ქორეოგრაფიულ პლანში ოპერის განვითარების გადატანის მოულოდნელი ეფექტებიც.

ნაწარმოების მუსიკალური ენა რთული შენაღობია, სადაც მკაფიოდ ჩანს ორი ძირითადი ხაზი: საოპერო და სიმფონიური წერის კლასიკურ ტრადიციებზე დაყრდნობილი რომანტიკული ხაზი და ეპიკური ხაზი, რომელსაც ღრმად გაუდგამს ფესვები



რსესრ დამსახურებულ არტისტი, დირიჟორი ა. ლასარევი



სსრკ სახალხო არტისტები: კომპოზიტორი თ. თაქთაქიშვილი, ტარიელის პარტოზს შემსრულებელი ა. ოგნივეცივი, რეჟიორი ბ. პოკროვსკი



სცენა პირველი მოქმედებიდან

ხალხის ხელოვნებაში. კომპოზიტორი თავისუფლად და მოქნილად ავითარებს მუსიკის სულ სხვადასხვა, ზოგჯერ მკაფიოდ კონტრასტულ ელემენტებს, უნარიანად გარდაქმნის, „გადადასხვავებს“ მათ თავისი შემოქმედებითი ფანტაზიის ბრძმედში. ოპერაში დიდი როლი მიეკუთვნება ორკესტრს, რომელიც კლასიკურად მკაფიოდ არის გაგებული და თავისუფალია ყოველგვარი ბევრითი ზედმეტობებისაგან. მაგრამ ყოველივე ამასთან ერთად თავთაქიშვილის ოპერაში გამომსახველობის მთავარ საშუალებად მხოლოდია რჩება. მხოლოდით არის გამსჭვალული ნაწარმოების მთელი ქსოვილი.

ჩვენი დროის კომპოზიტორი, რომელიც ისწრაფვის გადმოგვეცეს ადამიანის ღრმა გრძნობები, განასახიეროს ხალხური ხასიათები, გაბედულად დაუბრუნდა დიდი, მღერადი ოპერის ტრადიციებს. მაგრამ მისი მუსიკა ცოცხლად და ახლებურად ჟღერს, რადგან იგი არათუ იცავს ტრადიციას, არამედ განაგრძობს და ავითარებს მას. გმირთა მეტყველება ბუნებრივი და ალალმართალია, მას საფუძვლად უდევს ის, რომ ავტორი ჩასწვდა მათს შინაგან მდგომარეობას და არ გამოხატავს მხოლოდ გარეგნულ თეატრალურ სიტუაციას. ეს თანამედროვე მუსიკალური მეტყველება გამომსახველი, ზუსტი და პოეტურია.

ოპერის მოქმედ პირთა შორის გამოირჩევა გლეხის — ზვამბაიას, მისი ცოლისა და ვაჟიშვილის ეპიკური ფიგურები. ესენი არიან ხალხური სტიქიის ადამიანები, რომლებიც ძველთაგანვე სიმღერით პოულობდნენ თავიანთ მუსიკალურ გამოსატყულებას. ამიტომ ხალხურ სიმღერას, ზოგჯერ ნამდვილს, ხშირად კი თვით კომპოზიტორის მიერ შეთხზულს, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ნაწარმოებში. ავტორმა იგი ღრმად ფსიქოლოგიური დახასიათების საშუალებად და დრამატული მოქმედების მძლავრ ფაქტორად გადააქცია. ასეთია დედის სიმღერები: იავნანა, გოდება და მოთქმა. ასეთია არხაყანის სიმღერები, რომლებიც მის ხასიათს სულ სხვადასხვა მხრიდან წარმოგვიდგენს — ხან უდარდელად მხიარულს, ხან დამატყვევებლად ნაღვლიანს, ხან მხნე შრომით სამღერეს, ხან მწვავედ რიტმულ გაბოროტებული „დატაკის“ სამღერეს. უნდა აღინიშნოს ის ოსტატობა, რომლითაც მათ ზურაბ სოტკიალა ასრულებს.

არანაკლებ მდიდარია ოპერის საგუნდო ეპიზოდები, ფრიად განსხვავებული თავისი დრამატურგიული ფუნქციებით: ზოგჯერ გუნდი მოქმედების უშუალო მონაწილეც, ლეღობა მასის განწყობილებებისა და ფიქრების გამომხატველად გვევლინება, ზოგჯერ კი კულისების მიღმა გაისმის როგორც უხილაგი ფონი, დრამის „სოცად ატმოსფეროს“ თუ გმირთა სულიერ მდგომარეობას რომ გადმოგვეცეს, დიდ ქებას იმსახურებს თეატრის საგუნდო კოლექტივი (ქორმასტერები: ა. რიბნოვი, ი. ავაფონიკოვი და ს. გუსევი).

რსფსრ დამსახურებულმა
მხატვარი ვ. ლევენტალი



თუ შეგვებით ნაწარმოების უაღრესად სრულყოფილ მომენტებს, გამოყოფდი ერთიანი მუსიკალური სუნთქვით დაწერილ მეორე აქტს. იგი არზაყანის სველიანა მელიოდით იწყება, რომელიც თამარისა და თარაშის დიდ სატრფიალო სცენაში გადადის, დედის მოსვლა, მისი სიმღერა, ვაჟიშვილისადმი შეგონება თავისებური მკაცრი სინაზითა და სილამაზით არის აღსავსე. ეს დილოგი წყდება, როცა გააფორმებული მამა გამოჩნდება. ზვამბაიას, რომლის სახე შთამბეჭდავად განასახიერა ე. ნესტერენკომ, ჰგონია, რომ მისი კერის, მისი ცხოვრების წესის დანგრევით მთელი ქვეყანა ინგრევა. გამსაგებულ წამოძახილებში, დედის სწუსარე მოთქმა რომ ახლავს, გაიმსის უბრალო შვილის წველა-კრულვა და ადამიანის სასოწარკვეთა, რომელმაც თავისი არსებობის აზრი დაკარგა.

კულმინაცია მე-2 აქტის ფინალიც — სახალხო დღესასწაული. თუ ამის წინ მუსიკაში გაბატონებული იყო ექსპრესიული ვოკალური დეკლამაცია, აქ პირველ პლანზე გამოდის ცეკვის შეუკავებელი სტიქია. მომზიბვლელ და გრაციოზულ სადღესასწაულო ცეკვას თანდათან ცვლის შავნელი შურისძიებელი ძალების შშავი გაფორმებული და თარეში. აქ აღენიშნავთ საბალეტო დასის ოსტატობას (ცეკვების დამდგმელი ბ. დარასხელიძე). სამქტაკლის შთანბეჭდავ მომენტებს შორის დავასახელებდი აგრეთვე იარაღის კურთხევის გაგაკურ ეპიზოდს მე-3 აქტში და კარნავალის სცენის დასაწყისს, როცა ზვამბაიას ოჯახში ეს-ეს არის დაწვეული დრამა უცრად საკაზაფხულო ახალგაზრდული ლხინის იდუმალი და ოდნავ დამცინავი მოტივებით „მოისხნება“.

დადგმის ხელმძღვანელმა ბ. პოკროვსკიმ უტყუარად იგრნო ნაწარმოების ამაღლებული ხალხურ-ეპიკური წყობა. სამქტაკლში გაიმეგებულა მასობრივი სცენების სწრაფი დინამიკა, რომლებიც აღსავსეა ცეცხლით, გზნებით, ხალისიანი მოძრობით.

ლამაზად და მრავალფეროვანად ქდერს საორკესტრო პარტია — უხვი, ძარღვიანი მასობრივ ქანრულ ეპიზოდებში და უფრო გამჭვივარულ, თავშეკავებული და ძუნწი ფსიქოლოგიურ სცენებში (დირიჟორი ა. ლაზარევი). კავკასიის პეიზაჟის რომანტიკული მშვენიერება აღბეჭდილია ვ. ლევენტალის მხატვრულ გაფორმებაში. მხატვრული ცდილობდა მოეცა ძუნწი, ტევადი დეკორატიული გადაწყვეტა და უარი თქვა ვეებერთელა ნატურალისტურ კონსტრუქციებზე. ბევრ რამეს კარგად გაართვა მან თავი, თუმცა ზოგიერთი დეტალი ხელოვნურად მოგეგმვნა, მაგალითად, იმ ლამაზი პლანშეტის პირობითი „გაორება“, რომელიც მთის სოფელს გამოხატავს.

უმჯევილია სამქტაკლის სრულყოფა გაგრძელება. ეტყობა, უნდა დამუშავდეს ზოგიერთი მასობრივი სცენა: ზოგი რამ აქ მეტისმეტად ჭრელი, ქაოსურია. ზოგიერთი პრეტენზია დაუსვეწავ დიქციას უკავშირდება — სიტყვები არ იმის ხოლმე და ამის გამო ვეღარ აღიქვამ იმის აზრს, რაც სცენაზე ხდება.

„მთვარის მოტაცებაში“ მონაწილეობს დიდი თეატრის მომღერალთა ბრწყინვალე თანაგარკვევდი. ე. ნესტერენკოსთან და ზ. სოტკილავასთან ერთად, რომლის ოსტატობა ბევრად წვევებს მთელი დადგმის წარმატებას, გვინდა აღენიშნოთ ლ. ნიკიტინა (დადა), მ. ქასრაშვილი (თამარი), ა. ოგნიცევი (ტარიელი) და თარაშის პარტის ორივე შემსრულებელი — ი. გულიავეი და ი. მოროზოვი. ყოველი მათგანი ზუსტ სცენურ სახეს ქმნის, თავისი საკმაოდ რთული ვოკალური პარტის საუცხოო ინტერპრეტაციას იძლევა.

მთლიანად თეატრის კოლექტივმა გაგვახარა იმით, რომ ზედმეწვენით ჩასწვდა მუსიკის, ცეკვების, ოპერის სცენური მოქმედების ეროვნულ სპეციფიკას. მართლად, სათუთად არის განსახიერებელი ქართული მელოსის, ხალხური ცეკვის, საგუნდო სიმღერის თავისებურებები. მთელი სამქტაკლი ეროვნულ კულტურათა ნაყოფიერი მხატვრული ურთიერთგამდინდრების ცოცხალი მაგალითია, რაც ესოდენ ახასიათებს დღევანდელ საბჭოთა ხელოვნებას.

გაზთი „პრავდა“. 5 აპრილი, 1977 წელი.

შ თ ა ბ ეჭ ღ ი ლ ე ბ ა ე ბ ი

საბჭოთა კავშირის დიდი თეატრის დირექტორი
პროფ. ივანე ბარბაქაძე:

მომხსენებამ, ალბათ, რომ თქვენს „მთვარის მოტაცება“ დაიდა დიდი ოქტომბრის მე-50 წლისთავის აღსანიშნავად. გარდა ამისა, ეს გახლავთ საიუბილეო წელი დიდი თეატრის მიერ განხორციელებული პირველი სპექტაკლიც. ყოველივე ეს უაღრესად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ამ წარმოდგენას, რომელმაც სავსებით გაამართლა ჩვენი თავდადებული შრომა, ჩვენი იმედები.

დღეს და ღამეს ვაწარმოებთ, რათა კომპოზიტორი თ. თაქთაქიშვილის ეს შესანიშნავი ნაწარმოები მგზნებარედ, ღრმად და საინტერესოდ ყოფილიყო ხორცშესხმული. ჩემი ღრმა რწმენით — მოხანი მიღწეულია. შექმნილია უაღრესად სერიოზული, მასშტაბური წარმოდგენა, გამსჭვალული დიდი ვენებებით, ფსიქოლოგიური კონფლიქტებით, სოციალური ქარტეზებით. სპექტაკლი გამოირჩევა მუსიკალურ-სცენური შთანაფერის ერთიანობით, უაღრესად მაღალი საშემსრულებლო დონით, ამალღებულ ქვეყნადობით.

„მთვარის მოტაცების“ სახით დიდმა თეატრმა შეიძინა თანამედროვე სულისკვეთებით გამსჭვალული სახალხო-პროიკული დრამა, რომელიც უძველესად გაიტაცებს, ააღვლევს, დაინტერესებს ჩვენს მრავალფეროვან მსმენელს.

„მთვარის მოტაცებას“ არა მარტო ქართული, არამედ მიწელი საბჭოთა საოპერო ხელოვნების ავტობა ნაწარმოებად ვთვლი.

მუსიკოსკოლმე **ალეან ბარბაქაძე:**

ქართული მუსიკის თავყანისმცემელი გახლავართ. ამიტომაც განსაკუთრებული მღელვარებით ველოდი თქვენს „მთვარის მოტაცების“ პრემიერას. თ. თაქთაქიშვილის მუსიკამ ნამდვილი ესთეტიკური სიამოვნება მომანიჭა. მისასალმებელია, რომ თ. თაქთაქიშვილი დიდი ტალან-

ტით, თანმიმდევრულად, ძალზე ახლებურად და ოსტატურად აწვითარებს ქართული მუსიკის სახელგანთქმული კლასიკის — ზ. ფალიაშვილის ტრადიციებს. სავსებით კანონომიერი და ბუნებრივია, რომ დიდმა თეატრმა, რომლის სცენაზე გაიბრწყინა „აბესალომ და ეფრემა“, მიმართა სწორედ თ. თაქთაქიშვილის მუსიკას. თუმცა ერთგვარი დაგვიანებით, რადგან ამის უფლება ჰქონდა მის ბრწყინვალე ოპერა „მინდისასაც“, რომელიც, სამწუხაროდ, არ დადგმულა დიდი თეატრის სცენაზე. ეს მით უფრო დასაანია, რომ თ. თაქთაქიშვილი კომპოზიტორთა იმ უმცირეს ჯგუფს ეკუთვნის, რომელიც შესანიშნავად გრძნობს ვოკალს, იცნობს სამომღერლო ხმის ბუნებას.

თქვენს „მთვარის მოტაცებამ“ აღმაფრთოვანა თავისი უაღრესად პლასტიკური დრამატურგით, მხარდი დრამატისმით, მოვლენათა ლოგიკური განვითარებით, შესანიშნავი გუნდებით. განსაკუთრებით აღვნიშნავ კულისებშიღმა გუნდებს, სოლისტებს ასეთ დიდებულ ფონს რომ უქმნიან. ყველაფერი ეს ახლაც მღერის ჩემს არსებამდე და, ალბათ, კიდევ დიდხანს შემახსოვრებს.

თეატრმა დიდი, ვიკტორი — გრანდიოზული მუშაობა ჩაატარა. სპექტაკლი აღბეჭდილია სიწორფელთა და არტისტული გამომსახველობით. მშვენიერად მღერიან სოლისტები, განსაკუთრებით ზურაბ სოტკიალა, რომელმაც ბრწყინვალედ გადაწყვიტა ვოკალური და აქტიურილი ამოცანები.

დიდ მადლობას მოვასხნებთ თეატრის კოლექტივს ამ მშვენიერი სპექტაკლის გამო. მადლობას ვუძღვნი კომპოზიტორს, — ასე ნაყოფიერად რომ იღვწის მშობლიური ეროვნული მუსიკის განვითარებისათვის.

დიდი თეატრის მთავარი რეჟისორი
პროფ. პეტრე ბარბაქაძე:

სასწამრო ხელოვნებაში ლიტერატურული პირველწყარო, ჩვეულებისამებრ, აისთავალ

პუნქტს წარმოადგენს. კონსტანტინე განსახუ-
რდისა რომანის „მთვარის მოტაცების“ ნაირ-
გვაროვანი ცხოვრებისეული სინამდვილე, მისი
თემატური მრავალფეროვნება ოპერის წყაყვან
იდეაშია კონცენტრირებული. ამ იდეაში განსა-
ხიერებულია ხალხური ცხოვრების წიაღიდან
ამოხვეტილი რევოლუციის ფეთქებადი ძალა,
მისი შეურიგებლობა და შეურყევლობა, წარმო-
ჩენილია რევოლუციური ინსტინქტი წარმოქ-
მნილი ის ემოციები, რომლებსაც მყარი ისტო-
რიული და კლასობრივი ნიადაგი გააჩნიათ.

აქ დიდი მნიშვნელობა არ ენიჭება მოქმედე-
ბის კონკრეტულ ადგილს — სახლი, მოედანი,
ოთახი, ბაღი... აქ მთავარია ატმოსფერო, ამოზ-
რდილი ამა თუ იმ ყოფითი ელემენტებიდან. კო-
მპოზიტორმა საჭიროოდ არ სცნო ცალკეულ დე-
ტალებზე ყურადღების გამახვილება. მას აინტე-
რესებს სოციალური შეტაკებების ემოციური შე-
დეგი, აინტერესებს სასიათები, თავისი გმირების
ცხოვრებისეული კრედიტი.

თარაში და არაზაყანი — ანტიპოდები არიან.
პირველი — ფიქრია, მეორე კი აქტიური მოქ-
მელება. პირველი — უნაყოფო განსჯაა, მეორე
— ძალა ნგრევისა და აღმშენებლობისა. პირვე-
ლი — გზაა არასრულეული წარსულისაკენ, მეორე
— სწრაფვა, შესაძლოა, ჯერ კიდევ გაუთვით-
ცნობიერებელი, მაგრამ მთელი გულით ნაგრძნობი
და მოთხოვნილებად ქცეული მომავლისაკენ. აქ
ჯერ კიდევ არა ჩანს რევოლუციის გონება, ეს
უფრო გულია მისი.

დიდმა თეატრმა შეიძინა სპექტაკლი, რომე-
ლიც პასუხობს სოციალისტური რეალიზმის მა-
ღალ მოთხოვნებს. ამავე დროს ესაა ჭეშმარიტად
ეროვნული წარმოდგენა.

გულთკაც დიდი თეატრის კოლექტივს ამ შე-
სანიშნავი შენაწესს.

მუსიკოსმოდუნე ივარი ავლიოვი:

მსანამდრწმე თემაზე დაწერილი ახალი საბ-
ჭოთა ოპერების პრემიერებს, ჩვეულებისამებრ,
ერთგვარი იჭვით ველოდები ხოლმე. კომპოზი-
ტორ თ. თაქთაქიშვილის სასახლოდ უნდა ით-
ქვას, რომ მისმა ოპერამ „მთვარის მოტაცება“
თავიდანვე გაგვიქარწყლა ეს ჭვეწნობიერი უნ-
დობლობა. ამ უაღრესად ემოციური, პოეტური,
დრამატული მუსიკის საფუძველზე შეიქმნა შე-
სანიშნავი სპექტაკლი, რომელსაც თავიდან ბო-
ლომდე უსმენ და უყურებ დიდი გატაცებით,
მთელი დაძაბულობით, შეუწელებელი ინტერე-
სით, რასაც ახალი ოპერების პრემიერებზე მე-
ტისმეტად იშვიათად განვიცდით ხოლმე.

თარაში — სსრკ სახალხო არტისტი ი. გუ-
ლაიევი, თამარი — რსფსრ დამსახურე-
ბული არტისტი მ. ქასრაშვილი

სსრკ კავშირის სახალხო არტისტი
ოლა ლაშაინასია:

მსაა შესანიშნავი, მშვენიერი სპექტაკლი. რა
დიდებული მუსიკაა, რა დიდებული გუნდებია!
უსმენ და შინაგანად მაღლდები, თითქოს მიწას
სცილდებით. ამ სპექტაკლისათვის დიდი მაღლო-
ბა მინდა მოვასწნო კომპოზიტორ თ. თაქთაქი-
შვილს, რეჟისორ ბ. პოკროვსკის, დიდი თეატ-
რის მთელ შემოქმედებით კოლექტივს.

თ. თაქთაქიშვილმა შექმნა ისეთი მუსიკა, რო-
მელიც შთააგონებს ყველას — დირაჟორს, ორ-
კესტრს, გუნდს, მომღერლებს, ასე ჩინებულად
რომ ანსახიერებენ ამ ნაწარმოებს, განმაცვიფრა
საგუნდო ჟღერადობამ, რაც ქორმისტერ რიბ-
ნოვის დიდ დამსახურებად მიმაჩნია. საერთოდ,
ოპერა „მთვარის მოტაცების“ გუნდებზე განსა-
კუთრებით უნდა ვილაპარაკოთ.



ეს სანიმუშო სპექტაკლია საშემსრულებლო დონის მხრივაც. ბრწყინვალე ვოკალისტებს მოუყრია აქ თავი. მომღერალთა ასეთ შესანიშნავ თანავარსკვლავედს იშვიათად შეხვდებით თვით დიდი თეატრის რიგთ სპექტაკლებშიაც კი.

ერთი მოსმენით ძნელია სპექტაკლის გაანალიზება, დეტალების გამოყოფა. ვიტყვი მხოლოდ, რომ ეს ოპერა რთულია სიუჟეტურადაც და მუსიკალურადაც. აქ ორი ხაზი ანაცვლება ერთმანეთს — განწირულებისა და აღმასვლის. პირადად ჩემზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა თარაშის ხილვებისა და სიკვილის სცენებმა, მღვდლსა მიერ ღმერთის გმობის სცენამ. მესამე მოქმედების ეს სცენები დიდ ზემოქმედებას ახდენენ.

ოპერა „მთვარის მოტაცების“ მწვერვალია მეორე მოქმედება, რომელიც შესანიშნავადაა წარმოდგენილი.

ეს სპექტაკლი დიდი თეატრის გამარჯვებაა. ამას ამტკიცებს მაყურებელთა მხურვალე რეაქცია. მჯერა, რომ თ. თავთაქიშვილის ოპერას, დიდი თეატრის ამ სპექტაკლს, ხანგრძლივი წარმატება უწერია.

კომპოზიტორი ვლადიმერ ვლასოვი:

ბელნიმრმა მხვდა წილად დაესწრებოდი დიდი კომპოზიტორის ჯაჭირთა ფალიაშვილის ოპერის „აბესალომ და ეფრისა“ პრემიერას, რომელიც 1939 წლის 19 ივნისს გაიმართა დიდ თეატრში რეჟისორ რუბენ სიმონოვისა და დირიჟორ ალ. მელიქი-ფაშავეის დადგმით. ეს იყო განსაკუთრებული მნიშვნელობის ფაქტი, რადგან დიდი თეატრის სცენაზე პირველად იქნა წარმოდგენილი მოძვე რესპუბლიკის საოპერო შემოქმედება. მერე დიდგა სპენდიაროვისა (სომხეთი) და ნ. ჟიგანოვის (თათართა ასსრ) ოპერები. მას შემდეგ გავიდა 15 წელი. ამ ხნის მანძილზე დიდ თეატრში არ დადგმულა მოძვე რესპუბლიკების კომპოზიტორთა არც ერთი ოპერა. და, აი, ასეთი ხანგრძლივი შუადღის შემდეგ დიდი თეატრის სცენაზე დაიბადა თ. თავთაქიშვილის ოპერა, რომელმაც აღაფრთოვანა შემოქმედებითი კოლექტივთა და მაყურებელთა. მისასაღმებელია, რომ დიდმა თეატრმა თავისი არჩევანი სწორედ ამ შესანიშნავ კომპოზიტორზე შეამერა.

მისიზნული ვარ ოპერა „მთვარის მოტაცების“ გუნდებით. ამ ოპერაში აღმოაჩინე ბევრი რამ ისეთი, რაც მანამდე არასოდეს მსმენია დიდი თეატრის სცენიდან. ჩვენ ვიცნობთ თ. თავთაქიშვილის ორატორიებსა და ოპერებს, ვიცით, რომ იგი საგუნდო ხელოვნების დიდი ოსტატია, მაგრამ ამ ოპერაში მან მიაღწია სრულიად ახალ სიმაღლებს დიდი თეატრის საგუნდო კოლექტივი მშვენივრად დაეუფლა ამ უაღრესად რთულსა და თავისებურ პოლიფონიას, რასაც სპექტაკლის დიდ მიღწევად ვთვლი.

დირიჟორი ამირლ კონდრაშინი:

შსს მალალი კლასის, ჭეშმარიტად თანამედროვე კომპოზიცია, რომლის ავტორი შესანიშნავად ფლობს საოპერო ტექნოლოგიას, ბრწყინვალე ორკესტრობა, არასდ რომ არ ფარავს სოლისტების ხმებს. საქებარია დირიჟორი ა. ლაზარევი, რომელმაც ამის რეალიზება შეძლო.

საქებარია დიდი თეატრის გუნდი. მან შესანიშნავად აუღო ადლო ჩვენთვის სრულიად უცხო და უჩვეულო საგუნდო ჟღერადობა, — აკაპელის ძალზე თავისებურ სტილს.

მასარებს მომღერლების წარმატებაც. მშვენივრად მღერიან უფროსი, საშუალო და ახალგაზრდა თაობის მსახიობები.

ძალიან მომწონს მხატვარ ვ. ლევენტალისა

ზეამბაია — სსრკ სახალხო არტისტი ე. ნესტერენკო, დედა — რსდსრ სახალხო არტისტი ლ. ნიკიტინა, არზაყანი — საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ზ. სოტკილაეა



და რეჟისორ ბ. პოკროვსკის ნამუშევრები, რასაც განსაკუთრებით ვუსვამ ხაზს, რადგან ჩვენთან ჯერ კიდევ ბატონობს მცდარი წარმოდგენა — ოპერა მოსასმენი ხელოვნებაა და არა ნახაობითი. ამიტომაც ეჭვის თვალით ვუყურებთ ხოლმე დამდგმელთა ნებისმიერ ინიციატივას, სიახლეს. რატომღაც გვეგონია, რომ ეს იწვევს მუსიკისადმი მსმენელის უყურადღებობას. აქ დიდრ ადგილი ეთმობა რიტუალურ სიმღერას, რომლის დროსაც მოქმედება სტატიურია, რასაც ბ. პოკროვსკიმ ყოველმხრივ გააზრებული სცენური განსახიერება მოუძებნა. ამიტომაც მისაწვდომი და გასაგებია უაღრესად თავისებური საგუნდო პარტიტურა ამ ოპერისა.

წინათ გუნდის არტისტებს აღუგებდნენ მხოლოდ ასეთ მითითებას: ამ ადგილას რეაქცია უფრო მეტი უნდა იყოს, ვიდრე აქამდეო. ეს იყო და ეს. გუნდს სხვა არაფერი ევალებოდა.

დღეს, საოპერო თეატრში სრულიად სხვა ვითარებაა. ჩვენ ვვლარ ვეგუებით იმ მოძველებულ მეთოდებს, რომლებმაც დაკანონეს საოპერო რეჟისურა და სცენოგრაფია. საოპერო თეატრის ორმა გამოჩენილმა რეჟისორმა, ფელზენშტეინმა და პოკროვსკიმ, საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე მუსიკალური თეატრის ახალ გზებს.

სპექტაკლმა „მთვარის მოტაცებამ“ ამ გზის სისწორე დაგვიდასტურა.



ცეკვა „ზინოკირია“. ასრულებს ვ. აბრასიმოვი

ქალთა ცეკვა ოპერის 11 მოქმედებადან



მუსიკისმცოდნე კონსტანტინე საპავა:

შპმრ „მთვარის მოტაცება“ კომპოზიტორ ოთარ თაქთაქიშვილის გამარჯვებაა. ეს არცაა გასაკვირი, ვინაიდან უკანასკნელ ხანებში იგი ზედოხედ ქმნის შესანიშნავ ნაწარმოებებს, რომელთა ელვარე და უაღრესად ემოციური მუსიკა აღბეჭდილია ეროვნული სულით, ღრმა შინაარსით, სილამაზით...

სპექტაკლს დიდი მღელვარებით ვადევნებდი თვალყურს, მივიღე ესთეტიკური სიამოვნება, ახლაც შთაბეჭდილებათა ტყვეობაში ვიჭაფვები.

ეს ოპერა მთელი საბჭოთა მუსიკის უაღრესად სერიოზული მიღწევაა. დიდი თეატრის დადგმა — მშვენიერი სარეჟისო ნსმენელთათვის დიდი ოქტომბრის მე-ნი წლისთავის აღსანიშნავად. ეს ნაწარმოები უნდა დაიდგას ჩვენი ქვეყნის სხვა მუსიკალურ თეატრებშიც. ცხადია, მის შესრულებას ყველა თეატრი ვერ შეძლებს. მაგრამ იქ, სადაც მაღალი საგუნდო ხელოვნების დონე, იგი, უთუოდ, უნდა დაიდგას. სიამოვნება, რომელსაც მსმენელი მიიღებს ამ მღერადი და დრამატული მუსიკის სილამაზისაგან, საესტეტიკო გამოისყიდის იმ მიძიმე შრომას, რომელსაც მოითხოვს ამ ოპერის სცენური ხორცშესხმა.

კიევის ურანოს სახელობის უკრაინული აკადემიური თეატრი თბილისში

კორილ სერგეივიჩი — ბ. ლუკინოვი, ვალინა რომანოვნა — პ. კუმანინევი, რაია — მ. ვერასიმენკო



ვალინა რომანოვნა — პ. კუმანინევი, ანტონი — ვ. დუდნიკი

საქართველოს თეატრალურ საზოგადოებასთან არსებულმა „მეგობრობის“ თეატრმა თბილისში საგასტროლოდ მოიწვია კიევის ი. ფრანკოს სახელობის უკრაინული აკადემიური თეატრი, რომელმაც მეურვებელს უწევნა სპექტაკლი ა. კორნეიუკის „სსონა გულისა“. ეს სპექტაკლი კიევის ი. ფრანკოს სახელობის თეატრის სცენაზე დადგა სსრ კავშირის სახალხო არტისტმა, ტარას შევჩენკოს პრემიის ლაურეატმა, ცნობილმა ჟართველმა რეჟისორმა დიმიტრი ალექსიძემ. დ. ალექსიძის მიერ დადგმული სპექტაკლი მსატგრულად გააფორმა უკრაინის სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ მ. კიპრიანმა, კომპოზიტორია უკრაინის სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე მ. სკორიცი, ცეკვები დადგა ვ. პრიგორიცემ.




ანტონიო — ს. სტანკევიჩი, ვალინა რომანოვნა — პ. კუმანინევი, კატერინა — ი. ტიანენკო

სპექტაკლში მთავარ როლებს ასრულებენ სსრ კავშირის სახალხო არტისტი, უკრაინის სსრ შევჩენკოს სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი პ. კუმანინევი, უკრაინის სსრ სახალხო არტისტი, უკრაინის სსრ ტ. შევჩენკოს სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ი. ტიანენკო, უკრაინის სსრ სახალხო არტისტი, უკრაინის სსრ ტ. შევჩენკოს სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი მ. ზადრეპოვსკი, უკრაინის სსრ სახალხო არტისტები ს. სტანკევიჩი, და ვ. დამენკო, უკრაინის სსრ დამსახურებული არტისტები მ. გერასიმენკო, ს. ოლეკსენკო და სხვები.



საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა კიევის ი. ფრანკოს სახელობის აკადემიური თეატრის კოლექტივი საპატიო სიგელით დააჯილდოვა თბილისში წარმატებით ჩატარებული გასტროლებისა და უკრაინული და ქართული თეატრების თანამშრომლობის შემდგომ განმტკიცებაში შეტანილი წვლილისათვის.



ქართული დოკუმენტური და
სამეცნიერო-პოპულარული ფილმები

1973-76 წწ

ბორგი ასათიანი

საბჭოთა კინოსტუდიების განვითარების ყველა ეტაპზე დოკუმენტური და სამეცნიერო-პოპულარული კინო მუდამ იყო კომუნისტური პარტიის მხარდაჭერისა და ზრუნვის საგანი. მისი პირველი ნაბიჯები გასხვივსებულ იყო ლენინური აზრით, რომ „კომუნისტური იდეებით გამსჭვალული ახალი ფილმების წარმოება, რომლებიც ასახავენ საბჭოთა სინამდვილეს, უნდა დაიწყოთ ქრონიკით“. საბჭოთა დოკუმენტურმა და სამეცნიერო-პოპულარულმა კინომ გამოიმუშავა საკუთარი იდეურ-ესთეტიკური პროგრამა, დამყარებული „ხატოვანი პუბლიცისტიკის“ ლენინურ განსაზღვრებზე.

თანამედროვეობის უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ დოკუმენტად იქცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდიანის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობაზე. „თუთი კომუნისმის არსი განისაზღვრება იმით, — თქვა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნემ, — რომ მოქალაქეებს გააჩნიათ მაღალი შეგნება, საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობა, მაღალი ზნეობრივი თვისებები. ამიტომაც მოქალაქეთა საზოგადოებრივი თვითშეგნების აღზრდა კომუნისტური მშენებლობის პროცესის ნიშნულად უნდა განვიხილოთ ნაწილია“. ამ სიტყვებში განსაზღვრულია კომუნისტური ზნეობისათვის, კომუნისმისათვის ჩვენი პარტიის ბრძოლის მიმართულება. ამ ბრძოლაში აქტიური, ქმედითი მონაწილეობის მიღება ხომ საბჭოთა კინოპუბლიცისტიკის უპირველესი მოქალაქეობრივი და პარტიული ვალია.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მთელ რიგ პლენუმებზე აღინიშნა, რომ უკანასკნელ წლებში ქართულ ლიტერატურაში, ხელოვნებაში, და, კერძოდ, კინემატოგრაფიაში შეიქმნა რიგი ნაწარმოებებისა, რომლებშიც რეალისტურად, პარტიული პოზიციიდან, ყოველგვარი შეღამა-

ზების გარეშეა ნაჩვენები ჩვენი ხალხის წარსული და აწმყო, გამახვილებულია ყურადღება კომუნისტური მშენებლობის გუმბარითად მნიშვნელოვან პრობლემებზე. აქვე იქნა გაკეთებული სამართლიანი შენიშვნები, აღინიშნა მთელი რიგი ნაწარმოებებისა, მოკლებული შინაარსობრივ სიღრმესა და ფორმის გამონასახელობას.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში დოკუმენტური და სამეცნიერო-პოპულარული ფილმების სტუდიის მუშაობის შესახებ, მითითებულია, რომ საჭიროა მკვეთრად ამაღლდეს სტუდიის მუშაობის ხარისხი სახალხო-სამეურნეო გეგმის შესრულებისათვის რესპუბლიკის შრომელთა ბრძოლის გვარაზე ასახვის საქმეში. ეს კიდევ უფრო ზრდის ქართველ კინოდოკუმენტალისტთა პასუხისმგებლობას.

დოკუმენტური კინო სულ უფრო თვალსაჩინო ადგილს იკავებს ჩვენს ხელოვნებაში. თანამედროვე დოკუმენტური კინემატოგრაფის მრავალმა მიმართულებამ შეიძინა და იძენს ახალ, სრულიად მულოდნელ ასპექტებს, დოკუმენტალისტების წინაშე აყენებს რთულ პრობლემებს.

იზრდება, რთულდება ჩვენი კინოდოკუმენტალისტიკის საქმიანობის არე. კომუნისტური მშენებლობის კინომატიანე მდიოდრდება ახალი ფაქტებით, ახალი დოკუმენტებით იმ შრომითი ენთუზიაზმის შესახებ, საბჭოთა კავშირისა კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შემდეგ რომ მოიცვა ჩვენი ქვეყანა, საბჭოთა ხალხი.

კითხვაზე — დავსა თუ არა ქართული დოკუმენტური და სამეცნიერო-პოპულარული კინო თანამედროვე მოთხოვნათა და შესაძლებლობათა დონეზე, როგორ მოიცავს და აყენებს იგი დროის პრობლემებს — დადებითი პასუხის გაცემა ად-

ვილი როდია მხოლოდ იმის თქმა შეეცდილა, რომ საზოგადოებრივი, სოციალური და სოციალური ანალიზის ყველა საჭირო საშუალების მიუხედავად, ჯერ კიდევ სრულყოფილად ვერ ვიყენებთ კინოლოგუმენტალისტების შესაძლებლობებს.

არავითხელ, სამართლიანად აღინიშნა, რომ კინემატოგრაფისტები არ იყენებენ მხატვრულ საშუალებათა მთელ სიმდიდრეს ჩვენ თანამედროვის შთამბეჭდავი ხისის შესაქმნელად. ეს, არაა თქმა უნდა, ჩვენი, ჩვენი კინოპედაგოგების ტემპსაც გვეხება. ქართულ დოკუმენტურ ფილმებში იშვიათად ვხვდებით ძლიერ, მიზანდასახულ ადამიანებს, რომლებიც გვნიბლავენ ხასიათის სიმტკიცით, კომუნისტური იდეალებითა და სიკეთეებით, სასუთესად ადამიანური ღირსებებით. დოკუმენტურ ეკრანზე კი ცენტრალური ადგილი სწორედ ასეთ ადამიანს, კომუნისტური საზოგადოების აქტიურ მშენებელს უნდა ეკუთვნოდეს.

მაგრამ როგორ ვაჩვენებთ ეს უჩვეულო ადამიანი მისი საქმიანობის გარეშე, იმ ბრძოლის გარეშე, რომელსაც იგი ჩვენი წინსვლის ხელისშემშლელ ფაქტორებთან აწარმოებს. განა ყოველდღიურ ცხოვრებაში არ ევალება ერთიმეორეს სხვადასხვა პრინციპები, განსხვავებული პოზიციები, შრომისადმი, მოქალაქეობისადმი, საზოგადოებისადმი განსხვავებული მიდგომა.

მოვლენათა მხოლოდ გარეგან მხარეზე ყურადღების გამახვილება, მოვლენებისა და ადამიანების მხოლოდ ზედაპირული ასახვა ჯერ კიდევ ბევრი ჩვენი სურათის ნაკლოვან მხარედ რჩება.

აღსანიშნავია, რომ ბევრი რეჟისორის პრობლემური ნაწარმოები გულში ხედება ზოგიერთ მაყურებელს. ავტორი უპირისპირებს მას თავის შეხედულებებს, შეფასების კრიტერიუმებს, მართავს დაიღვას მაყურებელთან, რომელთა შორის მას, შეიძლება, მგზნებარე მომხრეებიც ყავდეს და აქტიური ოპონენტებიც. მაგრამ ეკრანის პუბლიცისტს ეს ვერ შეაშინებს, თუკი იგი მტკიცე პარტიულ პოზიციებზე დგას, თუკი იგი ცხოვრებისეულ სიმათვლეს იცავს, თუკი საუბარი ღრმა და შინაარსიანია, და ბოლოს, თუკი ამ საუბარს შესწევს უნარი შექმნას მაყურებლის გრძნობა და გონება.

მეორეხარისხიანი გულახდილი საუბარი აუცილებელია, მაგრამ საავტორო ფილმში — თუკი ფილმს ამის პრეტენზია აქვს — უპირველეს ყოვლისა, უნდა ჩანდეს ავტორის დამოკიდებულება ასახულ ცხოვრებასთან, კოლოზიასთან, ფაქტთან, უნდა ჩანდეს მისი აზროვნების მასშტაბი და ოსტატობის დონე.

სახეობით მასივობა ის დაბალი შეფასება, რომელიც საქართველოს სახეობით მისაკა ქართულ დოკუმენტალისტთა ზოგიერთ ნამუშევარს. სტუდიამ ნამდვილი ბრძოლა უნდა გამოუცხადოს უდიდეს, არაფრისმთქმელ სურათებს. განა ხშირია გულახდილი საუბარი უნიჭობაზე, განა ხშირად არ იჩენს სტუდიის სამხატვრო სამბუო ლიბერალურ დამოკიდებულებას სუსტი ნამუშევრების მიმართ. ჩვენი სტუდიის მიერ უკანასკნელი წლებში მანიჭულ გამოშვებული რამდენიმე ათეული ფილმბადა უმეტესობამ პირველი და მეორე კატე-

გორია მიღო. ძნელად თუ მოიძებნება დოკუმენტური, სამეცნიერო-პოპულარული თუ დაკავთილი ფილმები, რომლებიც არ გაუმეებს ეკრანებზე რეჟისურის, მონტაჟისა თუ სახეობით გადამწყვეტის სისუსტის გამო. დიდი დანაშაული მივუძღვიდეს იმასაც, რომ კინემატოგრაფისტთა კავშირის სექციებზე ფილმების განხილავებს შედევითიანი, კომპლიმენტარული ხასიათი აქვს. მეგობრის წყენინება არავის სურს, საბოლოო ჯამში კი ეს უპირინცობაა. ოსტატობა, პროფესიული კულტურა, — აი არის უპირველესი სასომი ჩვენი ხელოვნების შემდგომი განვითარებისათვის.

მოვლენათა სიმძაფრე კარნახობს შემოქმედებითი აზროვნების, სინამდვილის ფილოსოფიური გააზრების შესაბამის ცდილობას. ჯერჯერობით ჩვენს ყოველდღიურ შემოქმედებით პრაქტიკაში უპირატესობა დიქტორის ტექსტს და მრავალსიტყვიერ სინქრონულ ჩანაწერებს ეძინობა. თავისი ჩანაწერით საინტერესო ფილმებშიც კი საავტორო და სინქრონული სიტყვა წამყვან კომპონენტად რჩება.

მაგრამ გაუთავებელი სინქრონული კალიდოსკოპი და ავტორისეული კომენტარი, რომელიც რადაც არ უნდა დაუჯდეს, ცდილობს დაეხმაროს მაყურებელს ისედაც გასაგებები გაგებაში, იწვევს იმას, რომ ჩვენება, რომელიც გადამწყვეტი კინემატოგრაფული საშუალებაა, ადვილს უთმობს თხრობას. ყველაზე ლამაზი, ყოველმხრივ სწორად შერჩეული სენტენცია თავს იჩენს, როგორც ფილმის სახეობით და მონტაჟური სტრუქტურის სიმწირის შედეგი.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ ხანებში, მრავალსიტყვიერობის საპირისპიროდ, კინოსუბოთი თითქმის მუჩვი განხდა. ცხადია, რომ მზა რეცეპტებითა და კანონებით რეჟისორი ვერ ისარგებლებს. ყოველდღე დამოკიდებულია ფილმის ხასიათზე, მის სტილისტურ და სახეობრივ რატონებზე. ვფიქრობ, უნდა იზრუნებოდეს არა ტექსტის ხარდენობაზე, არამედ მის მხატვრულ გამომსახველობაზე, მის სწორ შეფარდებაზე გამოსახულებასა და მუსიკასთან, მაყურებელზე, მისი ზემოქმედების ძალაზე.

ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ საინტერესო დოკუმენტური თუ სამეცნიერო-პოპულარული ფილმი რენტეტიკული იქნება გაჭირავებული. მაგრამ ჩვენს სტუდიამ შექმნილი ფილმთა უზრავებლობა უკომუნიკაციო საინტერესო თემატურ საფუძველს, სენსაციურ (არ უნდა გვეშინოდეს ამ სიტყვისა) მასალას.

სამწუხარო არ არის განა ის ფაქტი, რომ ბევრი ფილმი, რომელსაც საინტერესო ფაქტები უდევს საფუძველად, მოსაწყენია მაყურებლისთვის. ეს კი მხატვრული მასალის უხეირო ორგანიზებასა და ფილმის სტრუქტურის ამოფულისთვის შედეგია. ჩვენი საუკეთესო სურათები კი ბევრს კარგავს, რადგან მოკლებულნი არიან კომპოზიციურ სიმკვეთრეს, აზრის სისხარტეს. ხშირად ვივწყობთ მონტაჟის უდიდეს ესთეტიკურ შესაძლებლობებს და ვცვლით მას მექანიკური გადწყობებით.

1973-76 წლებში დოკუმენტური და სამეცნიერო-პოპულარული ფილმების სტუდიამ ეკრანზე გამოუშვა აშამდე დოკუმენტური, ორმოცამდე სამეცნიერო-პოპულარული, ორმოცდაათამდე დაკავთილი ფილმი. ამას უნდა დამებატოს ორმოცდაერვა კინოტურნალი „სამბოთია საქართველს“ და ორმოცმეტი



კადრი ფილმიდან „თავისუფლების შუქი“

— „ადამიანი და კანიონი“. ცხადია, ამ ზღვა მასალის გაანალიზება ერთ წერილში ვერ მოხერხდება.

სტუდიის თემატიკა ძალზე მრავალფეროვანია. მისმა შემოქმედებრივმა კოლექტივმა დიდი ხანია დაისახა მიზნად მრავალკანონობრივი გაქვადა ქართული კინოლოგიური ტენდენციები. შესაბამისად თემატიკური გეგმაც იმის გათვალისწინებით არის შედგენილი, რომ მასში ასახვა ჰქონდეს ჩვენი რესპუბლიკის შრომითი ცხოვრების სხვადასხვა მხარე.

ცხადია, ქართული კინოლოგიური ტენდენციის წამყვან თემად რჩება შრომის, შრომითი ადამიანის თემა.

„შუათა დინასტია“, „ორი ინიციატივა“, „მივყვებით ზღობინს“, „ცვლის უფროსი“, „ინიციატივა“, „შეჯიბრების ძალი“ — ყველა ეს ფილმი გაღებულია რესპუბლიკის მორჩილად შრომითელებს, რომლებსაც წამოწყება საქმიანადი თავადღებულის და პასუხისმგებლური დამოკიდებულების მაგალითია.

1973 წლის გეგმაში დიდი ადგილი ჰქონდა დამოხრბილი ფილმებს შუათა კლასის, კოლმურენ გლეხობის, სამჭოთა ინტელიგენციის წარმომადგენლებზე.

რესპუბლიკის საზოგადოებრივი, სამეურნეო და კულტურული ცხოვრების აქტუალურ საკითხებს მიეძღვნა ფილმები: „მეფლადგაოთა ოჯახი“ (რეჟისორი ვ. კალიშვილი, ოპერატორი ბ. კერესია), „ოთხმზახობით და ყოველდღი“ (რეჟისორი რ. ჭიაურელი, ოპერატორი თ. მერქლიშვილი), „მზახართა კერა“ (რეჟისორი გ. მინავარიშვილი, ოპერატორი ა. სემინოვი), „რაც მტრობას დაუნერვება“ (რეჟისორი ი. შველიძე, ე. ლომიძე, ოპერატორი ტ. ელიაშვილი).

შუაჯობით გამოირჩევა ფილმი „ელისო ვირსალაძე“ (რეჟისორი კ. კერესელიძე, ოპერატორი ტ. ელიაშვილი) — ლამაზი, ემოციური ფილმი-პორტრეტი ჩვენს შესანიშნავ ხელოვანზე.

მაგრამ 1973 წელს გამოშვებული ზოგიერთი ფილმი ტრადიციულად, ყალიბ და ზედაპირულია. ეს კი გვაგონებს უფრო ღრმად ჩაუვრდით თემებს, მოვლენებს, ექმებით მაყურებელამდე მათი მიტანის ახალი ფორმები და საშუალებები. მასში ჩვენი ეკრანები არ „დანაკვიანდება“ ისეთი პროდუქციით, რომელსაც რბილად რომ ვთქვათ, „შემოქმედებით წუნს“ ვუწოდებთ.

1974 წლის თემატიკური გეგმაში კიდევ უფრო ფართო ადგილი დაიკავა კინოპორტრეტების სერიაში. ეს მეტად საინტე-

რესო და ამასთანავე ძალზე რთული ქანრია, რომელიც მხატვრისაგან განსაკუთრებულ გემოვნებასა და პროფესიულ სრულყოფას მოითხოვს.

ჩვენი კინოპორტრეტების გმირები სრულიად განსხვავებული ადამიანები არიან — XX V ყროლობის დღევანდები და მსხვილი მწარერი ხელმძღვანელი, მუშა და გამოჩენილი ქართველი მეცნიერი ივანე ჯავახიშვილი, პოეტი ლალო ასათიანი, მოქანდაკეები იაკობ ნიკოლაძე და მერაბ ბერძენიშვილი, აკადემიკოსი ნიკო კეცხოველი, ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი ვლევფთერ ანდრონიკაშვილი, კომპოზიტორი ანდრია ბალანჩივაძე და სხვები.

მოკლემეტრაჟიანი ფილმში ადამიანის სრულყოფილი პორტრეტის შექმნა იოლი საკმეო როდია, იმის მიუხედავად, ცოცხალია ადამიანი თუ ფილმი საარქივო მასალების მიხედვით კოვდება. მაგრამ რამდენადაც პარადოქსული არ უნდა იყოს, ცოცხალი ადამიანის კინოპორტრეტის შექმნა, როგორც ჩანს, უფრო რთულია. რაოდენ გამოცდილი და ნიჭიერიც არ უნდა იყოს რეჟისორი, მისი ფილმი ცოცხალ, რეალურ ადამიანზე არ იქნება მხოლოდ მისი შრომის ნაყოფი. მსგავსი კინონარკვევის შექმნა მოითხოვს უდიდეს სულიერ დაძაბვას იმ ადამიანისაგანვე, ვისაც ეძღვნება ეს ნამუშევარი. ჭეშმარიტი წარმატების მიღწევა კი მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუკი ფილმის ავტორსა და გმირს შორის სრული ურთიერთნდობა და ურთიერთგაგება სუფევს.

ამიტომაც კინოპორტრეტის შექმნისას წარმატებებს მხოლოდ ის რეჟისორები აღწევენ, რომელთაც შესწევთ უნარი შექმნან სათანადო განწყობილება, აიძულონ კამერის დაეწყება... ასეც ხდება: ფილმი დასრულებულია, ექმნილობით გმირს ისე, რომ ვერც კი გავიცანით იგი. გამოდის ანემიური სახე, ფილმის ავტორები კი ცდილობენ უკანახაზო მაყურებელს სად და რით აღფრთოვანდნენ.

წარმატებით გადაწყვიტა ეს ამოცანა რეჟისორმა ვახტანგ მიქელაძემ, რომელმაც ოპერატორ შალვა შიოშვილთან ერთად შექმნა ორი კინოპორტრეტი „მჭედელი“ და „მარწენალი“.

პირველი ფილმი სოციალისტური შრომის გმირ კონსტანტინე ილურიძეს ეძღვნება. რეჟისორმა კარგად გასსნა შრომული ადამიანის სახე, მუხებრივად, უშუალოდ წარმოვივადგინა იგი შრომის, მოქმედებაში, ან წუთში გადმოსვა გმირის მიუღი ცხოვრება. „მარწენალი“ გახალავ კინონაწარმოები სოფლის მშრომელზე, მოწინავე კომპანიერ მიხეილ ლალიაშვილზე. ფილმი ღრმა ემოციურ შთაბეჭდილებას ტოვებს. რეჟისორი თავის ნაწარმოებებში შეგნებულად გაუბრბის დიქტორის კომენტარს, ცდილობს მაყურებელამდე მიიტანოს არა სიტყვა, არამედ გაზომასულება. ამიტომაც მისი ფილმის ყოველი კადრი აზრობრივად ესოდენ დატვირთული და შთაბეჭდვითი. ამაში ოპერატორ შალვა შიოშვილის დიდი დამსახურებაა.

როდესაც 1974 წლის საუკეთესო პროდუქციაც ვსახებრობთ, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ რეჟისორ ოთარ ბურგუნისი ფილმები „მონღოლი პროფესორი“ და „ჩემიპინი“. რომელიც სცენარისტ ავთანდილ ხუტუსა და კინოოპერატორ ტარიელ ელიაშვილთან შემოქმედებითი თანამშრომლობით შეკმნა.

ფილმში „ჩემიონი“ რეჟისორმა გვიჩვენა მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონის, ფალავან ლევან თვინაშვილის რაინდული ხასიათი, გამარჯვების მოპოვების დაუოკებელი სურვილი. რეჟისორი არწმუნებს მაყურებელს იმაში, რომ სპორტი გართობა როდია, რომ ეს არის უდიდესი შრომა, ფიზიკური დატვირთვა, რომ გამარჯვებას აღწევს მხოლოდ ის, ვისაც სინდრელების არ ეწინაა. ვადრები, რომლებშიც ლევან თვინაშვილი, კოლექტივის ინტერესებისთვის, ავადმყოფი გამოდის ხალხიანზე, დამაჯერებლად გვიხატავს საბჭოთა სპორტსმენის სახეს, მის სულიერ სამყაროს, მის გრძნობებს. ამ სურათმა დამახებრებელი ჯილდო მიიპოვა სპორტული ფილმების საკავშირო ფესტივალზე.

„პირველკლასელები“ — ასე ეწოდება ერთ-ერთ ფილმს სერიიდან, რომელსაც ქმნის კინორამაბატურტი და რეჟისორი მიხეილ სალუქვაძე. ეს სერია ეძღვნება მოზარდთა ფორმირების რთულ პროცესებს. მაყურებელმა უკვე ნახა ამ სერიის სამი ფილმი — „პირველი ზარი“, „პირველკლასელები“, „დე, მარად იყოს შუე!“ ასეთი თემა მოითხოვს განსაკუთრებით სათით მიდგომას, გარკვეულ ფსიქოლოგიურ მომზადებას. ფილმის ავტორებმა შეძლეს ეჩვენებინათ ბავშვთა საინტერესო ხასიათები, საინტერესო ცხოვრებისეული დეტალები, ბავშვთა რეაქცია გარემო ცვლილებებზე, გვიჩვენეს როგორ უწყითარდებით ბატარებს მეგობრობის, სიყვარულის გრძნობა, როგორ ხდებიან ისინი სერიოზულები.

1974 წლის პროდუქციიდან მინდა დავასახელო კიდევ რამდენიმე ფილმი, რომელიც გარკვეულ საფეხვეტზე დგას პროფესიული ოსტატების თვალსაზრისით. ესენია „მიწა გულს ხსნის“ (სცენარის ავტორი ვ. მამალაძე, რეჟისორი მ. ჩაგუავა, ოპერატორი ნ. კობახიძე), „ადამიანი-ხიზმალდები“ (რეჟისორ-ოპერატორი ვია ჭუბანიძე), „მთაში შიილი ხელოვნება“ (სცენარის ავტორი ნ. დობიძე, რეჟისორი ვ. ვალიშვილი, ოპერატორი ნ. ფალაშვილი). ამ ფილმებში ასახვა პოვა იმ შემოქმედებითა აღმავლობამ, რომელმაც ჩვენი რესპუბლიკის მშრომლები მიიყვანა მეცხრე ხუთწლეულის მეოთხე წელს.

თუკი 1975 წლის პროდუქციას განვიხილავთ მხოლოდ თემატური აქტუალობის თვალსაზრისით, მაშინ ყველაფერი წესრიგშია, შექმნილია ფილმები მეცხრე ხუთწლეულში რესპუბლიკის მიღწევებზე, ბაიკალ-ამურის მაგისტრალის მშენებლობაზე, ამ მშენებლობაში ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდობის მონაწილეობაზე, სოციალისტურ შეჯიბრებაზე, დამკერვლებზე, მეცხრე ხუთწლეულის ინიციატორებზე, ყამირი მიწების ათვისებაზე. ერთი სიტყვით, კინოდოკუმენტალისტთა ობიექტივმა აღბეჭდა ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა და ეპიზოდი. მაგრამ ამ ფილმების ხარისხი, მათი პროფესიული დონე ერთნაირი როდია. ფილმების უმრავლესობა გაკეთებულია ტრადიციულად, გამომგონებლობის გარეშე, დაბალ მხატვრულ დონეზე.

რეჟისორ ვ. მიქელაძის პროფესიული ოსტატობა კარგადაა ცნობილი, რაც ხელოვანმა კიდევ ერთხელ დაასაბუთა თავისი სოლიდენტარტიანი დოკუმენტური ფილმით „ბამი“. ეს არის ფილმი-ეპოპეა ჩვენი ეპოქის ერთ-ერთ ყველაზე გრანდიოზულ მშენებლობაზე. ბამზე, ასე თუ ისე, მრავალი ფილმი შექმნილი,

მაგრამ ვ. მიქელაძის ნამუშევარი გამოირჩევა თემის ორიგინალური გააზრებით, მოვლენათა ჩვენებისა და გადამცემის თავისებური მანერით.

ფილმის ავტორებმა შეძლეს ეჩვენებინათ ბამელების სიამაყე, პირველმშენებელთა რომანტიკა, შეძლეს ახალგაზრდა მშენებელთა ხასიათში ღრმად ჩაწვდობა. ფილმის ყველა კომპონენტი, ერთი შესაბამისი უმნიშვნელოც კი, ისეა გამოყენებული, რომ მაყურებელში მაქსიმალურ ემოციებს იწვევს.

ჩემი აზრით, ფილმი რამდენადაც გაჭინებულია. იგი რომ ერთი ნაწილით მაინც იყოს მოკლე, არ შეგვხვდებოდათ გაჭინებულ ეპიზოდებს, კომპოზიციურად მსგავს კადრებს, რაც კიდევ უფრო აამაღლებდა ფილმის მხატვრულ დონეს.

ღია ბაჭუტაძის სცენარის მიხედვით საინტერესო ფილმი „შემოქმედების სიმფონია“ შექმნეს რეჟისორმა თ. გურგენიძემ და ოპერატორმა ა. სემიონოვმა. ეს გასლავთ გამოჩინებული ქართველი კომპოზიტორის ანდრია ბალანჩიშვილის შემოქმედებითი პორტრეტი. ფილმი განსტკავალულია ნატიფი ლირიზმით, პოეტურობით, იგრძნობა ავტორთა შთაფრთხვა, ემოციური მიდგომა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ოპერატორის ოსტატობა. მთელი ფილმი ირბო ტონალობაში გადაწყვეტილი, გამოყენებულია კინოგადაღების ახალი, ეფექტური ხერხები. გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ზოგიერთი კადრი მხატვრული ფოტოგრაფიის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს.

სკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში შემოქმედების ახალგაზრდობასთან მუშაობის შესახებ ნაოქვანია: „ხებისიერი ხელოვნების განვითარება წარმოუდგენელია ახალი ნაკადის გარეშე, თამამი, მძიებელი ახალგაზრდობის გარეშე“.

ჩვენი ხელოვნების მომავალი — დოკუმენტური კინემატოგრაფიის ახალგაზრდა ძალეობა. თუმცა დოკუმენტური ფილმების სტუდიაში ახალგაზრდობა თითქმის არ მოდის, რაც, მე ფიქრობ, გულსატკენი და საგანგაშოცაა. ამიტომ მინდა დავასახელო ის ახალგაზრდები, რომლებზეც დიდ იმედებს

კადრი ფილმიდან „თავადაცვლების შუქი“





გამყარებთ. სამწუხაროდ, მათი რიცხვი არ არის დიდი, განსაკუთრებით საოპერატორო ხელოვნებამო. უკანასკნელი ათი წლის მანძილზე ჩვენს სტუდიაში არ მოსულა არც ერთი ოპერატორი კინემატოგრაფიის საკავშირო ინსტიტუტთან. საოპერატორო კადრების აღზრდა მილიანად დააწვა სტუდიის შემოქმედებით ე. ოლეტკიტეს. ეს ოპერატორებია: გ. რევაზა, ნ. ქუმბურაძე, ე. გერმესაშვილი, ა. ვოლოდასკი, გ. რეზიავილი და სხვები.

შეაღწიოთ განათლება აქვთ ჩვენთან მოსულ რეჟისორებს: კ. კურსალოძეს, ი. წიჭავაძეს, ჯ. ჩიქოვანს, მ. გაგაძეს, მ. ასიტავილს. უკვე ვიხილეთ კიდევ მათი ნამუშევრები, რომლებშიც ჩანს ავტორების მოქალაქეობრივი პოზიცია, შერჩეული თემისადმი პასუხისმგებლობის გრძობა.

გასულ წელს საინტერესო ნამუშევრით წარადგინა მსაყურებლის წინაშე ასალგაზრდა რეჟისორები მურმან ასიტავილი და მერბა გავაუა.

მ. ასიტავილის ფილმი „სოფლის ექიმი“ გადაღებულია ოპერატორ გ. აზიზოვთან ერთად მანანა მარაძის სცენარის მიხედვით. ფილმი მოგვიხირობს სოფლის ექიმის ძალზე რთულ და კეთილშობილურ შრომასზე მაღალმთიან სოფელში.

ფილმში კარგადაა გადაღებული გიმირის ხასიათი, პროფესიისადმი მისი დამოკიდებულება. მაღალ დონეზეა საოპერატორო ხელოვნება. ფილმის წარმატებას ხელს უწყობს კარგად შერჩეული ნაქურა.

მეცხვარეების ცხოვრებაზე ქართველმა კინოდოკუმენტალისტებმა უკანასკნელ წლებში შექმნეს რამდენიმე საკმაოდ გასმარებული ფილმი. მათ შორისაა „თეთრი თორღაკაი“, „მონოლოგი პროფესორზე“. ამიტომ რთული ამოცანა დაინახეს რეჟისორებმა მერბა გავაუამ და ოპერატორმა გენადი რეხვაიაშვილმა, როდესაც გადაწყვიტეს კიდევ ერთხელ მიემართათ ამ თემისათვის.

ფილმის ავტორებმა წარმატებით გადაწყვიტეს ეს ამოცანა და შექმნეს დამაჯერებელი, ამაღლებელი ფილმი ამ მამაც ადამიანებზე. მაგრამ არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ ფილმი „მე — მწყემსი“ მოკლედულია ამ თემაზე შექმნილი წინამორბედი სურათების სიღრმეს, ნათელ ავტორისეულ პოზიციას.

1975 წელს გამოშვებული ფილმიდან გარკვეული ღირსებების შემცველია გ. ჭიჭინაძის „მესამე სექსტი“, ჟ. ლომიძისა და ი. შველიძის „ივანე ჯავახიშვილი“, თ. მალანაის „მიჯვებები ზღობინას“. უკანასკნელის შესახებ მინდა შევნიშნო: საყოველთაოდაა ცნობილი, რომ უშუალო სიტყვა, სინქრონიზირებული ჩანაწერი ახალისებს ფილმს. მაგრამ არ შემიძლია მისი თვითმინადა გადაქცევა, მითუმეტეს მაშინ, როცა გიმირს არ შეუძლია აზრობრივად ორი წინადადების დაკავშირება. მსაყურებელი უსმენს მას ვარნიდან და უნებლიეთ ეჭვი ეპარება გიმირს ღირსებებში.

სამწუხაროდ, 1975 წელს გამოშვებული ბევრი ფილმი თავისი მხატვრული ღირებულებით არ პასუხობს დღევანდელ მოთხოვნებს. ამ ფილმებისთვის დამახასიათებელია სქემატურობა, ცრუ პათეტიკა, რაც ხშირად ლიტერატურული სცენარისად მიმდინარეობს. ამას ემატება რეჟისორ-ოპერატორის დაბალი პროფესიული დონე. ეს კიდევ ერთხელ გვაავიწყებს პრინციპული პოზიციები გადაცხინიჯოთ ჩვენი შემოქმედებითი არსენალი, შევავსოთ იგი ახალი კინემატოგრაფიული ფორმებითა და ხერხებით.

1976 წელს ქართველმა დოკუმენტალისტებმა შექმნეს ორი

სრულმეტრაჟიანი და თხუთმეტი მოკლემეტრაჟიანი ფილმი მათ შორის, უპირველეს ყოვლისა, უნდა დავასახელოოქმედებთ: სრულმეტრაჟიანი ფილმები „თავისუფლების შუქი“ და „ერპორტაკი ნიდერლანდებიდან“.

„თავისუფლების შუქი“ (ოპერატორები ი. ბარამიძე, შ. შიოშვილი) ეძღვნება ვიეტნამელი ხალხის ბრძოლას თავისუფლებისა და სოციალური პროგრესისათვის.

გ. ჭუმბარის „ერპორტაკი ნიდერლანდებიდან“ (სცენარის ავტორი რ. თაბუკაშვილი, ოპერატორი ნ. ფალიაშვილი) — ტექსტულის ტრავმების თავისებური მოფინებაა. აჯანყების მონაწილეები ჩამოინდა კუნძულზე, რათა კიდევ ერთხელ იხილონ სისხლისღვრული ბრძოლების ადგილები. ფილმში ნათლად იგრძნობა, თუ რა სათუთა ინსანვერ ჰოლანდიელში ქართველ მოზარდას ხსოვნას. შთამბეჭდავითა დედა კონუნელიას შეხვედრა აჯანყების მონაწილეებთან ოცდაათი წლის შემდეგ. ამ ფილმში ტრავიკული და ლირიკული ორგანულად ერწყმის ერთმანეთს.

გასული წლის თემატიკაშიც ფართო ადგილი ჰქონდა დამთბობილი ფილმ-პორტრეტებს. მაგალითად შეიძლება მივიყვანოთ შ. ჩაგუნავას „მირხა გელოვანი“ და „ნიკო კვცველილი“.

მოკლემეტრაჟიანი ფილმებიდან ყურადღებას იქცევს „შეჯიბრების ავანგარდში“, „შრომამდე ერთად“, „თბილისი—76“, „კოლხეთის ფერიცვალაბა“, „ჩემი სოფელი“, „გარცხიხების მშენებლები“, „ყირილობის ძღვენებები“.

მაგრამ ერთია თემის აქტუალობა და მეორე — მისი კინემატოგრაფიული ხორცშესხმა, ნაწარმოების მხატვრული დონე. ამ თვალსაზრისით ბევრი ფილმი არ დგას სათანადო სიმაღლეზე.

შემოქმედებით წარმატებად ვერ ჩავთვლით ქ. მიქაძის ფილმს „კოლხეთის ფერიცვალაბა“. ფილმის ექსპოზიციითიქის იმედიმომცემია, მაგრამ მას მოსდევს მოზიკური დაკავშირებული კადრების კალეიდოსკოპი. ფილმი მოკლედულია ლოკალურ თანამდევრობის, რომ არაფერი ვთქვათ ერთიან დრამატურგიულ ხასზე.

„ყირილობის ძღვენება“ კინორამატიკა გ. ალექსანდრიას დებიუტია როგორც რეჟისორისა. ასე რომ, ამ შემთხვევაში, შეფასებისას რაღაც კომპრომისი დასაშვებია, მაგრამ ყრილობის დღეულელობა და განსაკუთრებით კინონოვლის მეორე გიმირს — აკადემიკოს არჩილ ძიძიურის ასე სქემატურად ჩვენება ვერ უძლებს ვერაფერთარ კრიტიკას. ფილმი ელდარ კარელია მეორეხარისხოვანი ეპიზოდულობითა და ბანალური კავშირებით.

ასევე დაბალ კინემატოგრაფიულ დონეზეა გადაწყვეტილი ნ. გუბელაძის ფილმი „პირველი პარტიული“ და გ. ვაიშივილის „პროფესიის სიყვარულით“. პირველ ფილმში, რომელც თბილისის ელექტროავტომეგანობელი ქარხნის პარტიული ორგანიზაციის მუშაობას ეძღვნება, ავტორებმა სრულყოფილად ვერ აჩვენეს სარეჟიული პარტიული ორგანიზაციის როლი, ვერ შეძლეს სინტეზისად მიფიქსირებულ პარტიული მუშაობის ახალ ფორმებას და მეთოდებს.

ფილმი „პროფესიის სიყვარულით“ ზედაპირულად მიმოიხილავს რუსთაველი მსოფილების მუშაობას. ავტორები ვერ ჩაწვდნენ თავიანთი გმირების შინაგან სამყაროს, მათ ფიქრებსა და მისწრაფებებს. ამიტომაც გმირები ძალზე სქემატურნი არიან და მსაყურებელს არ სჯერა, რომ მათ ნამდვილად



უფრო თავისი პროფესია. ფილმის მიზანი კი სწორედ ეს იყო და არა საწარმოო პროცესების უბრალო ჩვენება.

რამდენიმე სიტყვა ჩვენი კინოპერიოდიკაზე. ქართული დოკუმენტური ფილმების სტუდია უშვებთ ორ ჟურნალს — „საბჭოთა საქართველო“ და „ადამიანი და კანონი“. ორივე ჟურნალს ძალზე პასაჟისმებლო მოვალეობა აკისრია. პერიოდული ჟურნალი „საბჭოთა საკანონმდებლო ჩვენი რესპუბლიკის კინომატიანეა, რომელიც ასახავს მისი ცხოვრების ყველა მნიშვნელოვან მომენტს, ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს მის პროფესიულ დონეს. ხშირად კი იგი ძალზე დაბალია. ჩემი აზრით, ყურადღება უნდა მიექცეს სიუჟეტების განზოგადებულ სხვაობას, მონატრეს, გადაღებას. სამწუხაროდ, ხშირია შემთხვევა, როდესაც რეჟისორი დროებითი მოცდენის ანახლოვების მიზნით მიუშვამდებელი კიდებს ხელს ჟურნალს, არ მუშაობს მასზე ძალების მთელი დაძაბვით, მიუხედავად იმისა, რომ კარგი ჟურნალის გაკეთება ისევე მნიშვნელოვანია, როგორც კარგი ფილმისა.

კინოჟურნალ „ადამიანი და კანონი“ რედკოლამ (რედაქტორი ლევან ცინცაძე) გამოუშვა მთელი რიგი საინტერესო, კარგად ჩაფიქრებული ფილმები. ყველაზე უფრო გვახარებს ის ფაქტი, რომ ჟურნალში არა მარტო ფიქრთერებილია მთელი რიგი დარღვევები, არამედ არს ცდა ამ დარღვევების გააზ-

სამეცნიერო გამოკვლევებისა და აღმოჩენების ფრონტი მთლიანად უფრო პასიურია სამეცნიერო კინემატოგრაფის როლი მდგრადი მენეჯერების გენერალური პრობლემების დაყენებასა და პოპულარიზაციაში. რაშია საქმე?

თითქოს თემების უკმარისობა არ არის. საკმარისია სამეცნიერო-პოპულარული გამოცემების გადათავსიერება და სახელმწიფო პრემიის ლაურეატთა ახალი სიის გახსნა. თანამედროვე სამეცნიერო სინამდვილის მრავალი მშრალი ფაქტის მიღმა ადამიანთა საინტერესო ბედ-იბრბლი და ბიოგრაფია, ძიების საინტერესო დრამა.

ყვანილი, თანამედროვე სამეცნიერო-პოპულარული კინემატოგრაფიაში დიდი მენეჯერების რთული თემების დამუშავება ავტორისგან მოითხოვს არა მარტო პოპულარიზაციის ხელოვნებას, არამედ ცოდნის სრულიად ახალ დონეს, მასალის დრმა წვდომას, მის ხანგრძლივ და გულდასმით შესწავლას. ეს კი რთული საქმეა, რომელიც მოითხოვს არა მარტო ავტორიტეტული კონსულტანტის აპრობაციას, არამედ საკუთარ ავტორისულ შესვლას ფაქტებსზე, დამოკიდებულებას, რომელიც მუდამ შივისკან თვითმპიკის ელემენტს.

რა თქმა უნდა, სამეცნიერო-პოპულარული საფუძველზე გაცილებით ადვილია ისეთი ფილმების გაკეთება, როგორცაა „ქართული ჭიდაობა“, „თბილისური აივანი“, „სიმღერა სვანეთზე“, ფილმები არქიტექტურულ ძეგლებზე, რომლებსაც ყოველთვის შეიძლება მივანიჭოთ სამეცნიერო რესპექტაბელობა და ჟღერადობის აქტუალობა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენს სტუდიაში უკანასკნელი წლების მანძილზე შეიქმნა რიგი სამეცნიერო-პოპულარული ფილმები, რომლებზეც საკავშირო ვკრანზე მოიპოვეს აღიარება.

რეჟისორებმა ს. სტრაბოვმა და დ. კობახიძემ ფილმი „აშენებული ქვიშაზე“ უძღვნეს თანამედროვეობის აქტუალურ პრობლემას — ზღვის ნაპირების შენარჩუნებას. ცოცხალ, საინტერესო მოთხრობაში ფილმის ავტორები გვაწვდიან საინტერესო და სერიოზულ სამეცნიერო ინფორმაციას იმ საშიშროებაზე, რომელიც თან ახლავს წყლით ნაპირთა ჩარეცხვას და საზღვაო პლიანების შენარჩუნების ხერხებზე.


სერიოზული პრობლემის ნატივ იუმორითაა შერწყმის, ჟანრის შიგნით ჟანრის გრძობის შესანიშნავ მაგალითს წარმოადგენს გურამ ჯვანიას ფილმი „ინდაური, ძროხა და ტელეფონი“. თითქოსდა პროზაული, ყოველდღიური თემა — მეცნიერები ხომარებიან სოფელს — იქცა საინტერესო, იუმორით შეფერილ კინოთხრობად, რომელმაც საკავშირო ფესტივალზე ბაქოში პირველი პრემია მოიპოვა. საინტერესოა რეჟისორი ი. წიწყაშვილის ფილმი „მდლარე ქვები“ და შ. შონიას ფილმი „სიმღერა სვანეთზე“, ამ უკანასკნელში განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ოპერატორ ტ. ელიაშვილის ხელოვნება.

უღიბლოდ მომჩვენა „მანდელის საბადო“ და „აკადემიკოსი ვეკუა“, რომლებიც ძალზე ტრადიციულად და გამომსახველობითი თვალსაზრისითაც უფროულადაა გადაწყვეტილი.

შთამბეჭდავია შ. შონიას ფილმი „ლალი გუდაშვილი“ — ამაღლებული, რეალისტური მოთხრობა მსატრის შემოქმედებაზე.

ფილმი „ერთი მრავალთავიანი“ — მუშის პორტრეტია, რესპუბლიკის ერთ-ერთი მსხვილი საწარმოს მუშის სახასიათო ტიპის ჩვენების ცდა. რეჟისორ თ. ბაქრაძეს აინტერესებდა არა იმდენად თვით საწარმო და მისი პროდუქცია, რამდენა-

კადრი ფილმიდან „შემოქმედების სიმფონია“



რებისა სოციალური, მეცნიერული, მორალური თვალსაზრისით. შევიწნა თემატური ჟურნალები, რომლებშიც ჩატარდა სოციოლოგიური ექსპერიმენტები, აკვირდებოდნენ ადამიანთა რეაქციას კანონის დარღვევაზე, მათ პასუხისმგებლობას სხვათა საქციელზე... თქმა არ უნდა, ასეთი ჟურნალები დიდ როლს ასრულებენ, ახდენენ მასუკრების მობილიზებას, უშუაშვევენ მოქალაქეობრივი მოვალეობის გრძობას, მოუწოდებენ მთელი რიგი მორალური ანომალიის წინააღმდეგ საბრძოლველად.

თუკი თვალს გადავაკლებთ უკანასკნელ წლებში ქართული სამეცნიერო-პოპულარული კინემატოგრაფის განვითარებას, თვალში გვეცემა უცნაური კანონზომიერება: რაც უფრო მძლავრია მეცნიერების განვითარება, რაც უფრო ფართოა

დაც მუშის ფსიქოლოგია, მისი დამოკიდებულება შრომისადმი, ამხანაგებისადმი, ოჯახისადმი. ესაა ადამიანისადმი სოციოლოგიური ასპექტით მიდგომის ცდა.

სამუშაოდ, სოციოლოგიური გამოკვლევების პრეტენზიაა სწორედ ფილმის ნაყოფანი მხარე. საინტერესოა მუშათა პორტრეტები, ბუნებრივია მათი მოქმედება, გასაგებია მათი დახასიათება. მაგრამ როდესაც კადრს მიღმა იმართება დიალოგი მუშა ლუკა წიკლაურსა და სოციოლოგს შორის, ჩნდება ერთგვარი უკმაირისობის გრძობა, ფილმის აღქმას რომ უშლის ხელს.

სოციოლოგის კითხვები გვაიძულებენ მოველოდებოთ პორტრეტის უფრო ზუსტ, დამარტულებელ შეტრიახებს. ისინი თვითნათავად ბადებენ ახალ, საინტერესო შეკითხვებს, პასუხები კი ძუნწი და მიმდევარია.

ეს არის იმის მაგალითი, როდესაც ავტორის კარგმა ჩანაფიქრმა ვერ პაოვა ახალი და მკაფიო ხორცშესხმა. და მაინც, სწორედ ამ კეთილშობილური ცდისა და თემის ხორცშესხმისადმი ახლებური მიდგომის წყალობით ფილმს წარმატება ხვდა წილად.

უნდა აღინიშნოს, რომ თუკი სამეცნიერო-პოპულარული ფილმების სცენარების შეფასება ხდება შედარებით უფრო მომთხოვნი კატეგორიებით, ამ დარგში მომუშავე რეჟისორების რიცხვი ძალზე მცირეა. კეთილანდისიერად რომ დავითვალთ, ჩვენს სტუდიაში ასეთი სამი-ოთხი თუ მოიძებნება. ეს კი ძალზე ცოტაა. ჩვენ გვეჩრდება ნიჭიერი, მოაზროვნე, მეცნიერებით დაინტერესებული ადამიანები. მაგრამ მხოლოდ ეს როდი აფერხებს ჩვენი სამეცნიერო-პოპულარული კინოს განვითარებას. დასამალი როდია, რომ სამეცნიერო-პოპულარულმა კინომ სხვადასხვა სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზით არ დააყენა არცერთი ტემპარატივად თანამედროვე, აქტუალური პრობლემა. საუკეთესო სამეცნიერო-პოპულარული ფილმები კი, უპირველეს ყოვლისა, სწორედ გლობალური პრობლემატიკობით, მასშტაბურობითა და განზოგადებითაა საინტერესო.

ჩემი აზრით, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ამაზე უნდა დაგვიქრდეთ.

ქართული დოკუმენტური და სამეცნიერო-პოპულარული კინოს ჩამორჩენის ერთ-ერთი მიზეზი, ჩემი აზრით, თემა-

ტური დაგვეგვის არასრულფასოვნებაშია. საჭიროა მტკიცედ სახული პერსპექტიული მუშაობა, პრობლემათა ტემპარატივი პროფანოზირება ორი-სამი წლით. როგორც ჩანს, უნდა შეიქმნას თემატური პროფანოზირების კომპეტენტური ორგანო, რომელიც თავის რეკომენდაციებში გაითვალისწინებს სახალხო-სამეურნეო გვეგების მთავარ მიმართულებებს, მასურებელთა ინტერესს გარვევული თემებისა და პრობლემებისადმი. უნდა ვიფიქროთ დიდ სოციოლოგიურ, სოციალურ-პოლიტიკურ პრობლემურ ფილმებზე.

თემა, შემოქმედებითი განაცხადი ვერ ჩამოყალიბდება ზოგადი ფრაზებით ანოტაციაში, რომელიც თან ახლავს ნებისმიერ თემატურ ფეგმას. ანოტაციაში, მომავალი ფილმის იდეის გარდა, ჩამოყალიბებული უნდა იყოს ავტორის შესხედულება მოვლენაზე. ცხადი უნდა იყოს, რომ ავტორმა იცის საგანი, აითვისა იგი, ხედავს შესაძლებელი ცვლილებებს, ესმის მისი მნიშვნელობა და აქტუალობა.


დიდი ყურადღება უნდა მიექცეს სცენარებისა და ფილმების უკომპარომის შეფასებას, იდეურ-ქსთეტიკურ კრიტერიუმებს, და ბოლოს, შემსრულებელთა შერჩევას — უპირველეს ყოვლისა — სცენარის ავტორებისა და რეჟისორებისა.

ჯერ წარსულ არ ჩაბარებია ის პირობები, როდესაც სცენარისტის განხილვებას როგორც გამოცდილი ხელისანი, რომელსაც შესწევს ქაისურად გადადგეული მაასლის გაერთიანება, ტექსტთან მისი დაკავშირება. ეს კი ნინუვას იმის, რომ გადადგეულია რაღაც უფროსი, მოკლებული აზრს და ტექსტის საშუალებით საჭიროა ვეცალოთ შევექმნათ რაიმე ფილმის მსგავსი, დავადანით სიუჟეტის განვითარების ლოგო და მონტაჟური გადასვლები. ამასთანავე, ყოველივეს მხოლოდ რეჟისორის როდია მსგავსი გაუგებრობის მიზეზი. უფრო ხშირად იგი მსხვერპლია, ვინაიდან იძულებული იყო გადაედო ფილმი არაპროფესიული, დილტანტური სცენარის მიხედვით, რომელშიც არ იყო დრამატურგია.

ავტორისეული აღმოჩენების წყალობით გამაძიერდა და მრავალფეროვანი გახდა დოკუმენტური და სამეცნიერო-პოპულარული ფილმების გამომსახველობით საშუალებათა პალიტრა, დრამატურგია. გაფართოვდა ადამიანის პიროვნების ინტელექტუალური და ემოციური სფეროს გახსნის საშუალებები. აღმოჩნდა, მაგალითად, რომ დოკუმენტურ კინოში დიდ ძალას იძენს გმირის შინაგანი მონოლოგი — არა მთავონილი, არამედ რეალური, მკაცრად დოკუმენტური და ამიტომაც შთამბეჭდავი.

დღეს განავით ვიჭირობთ დოკუმენტური და სამეცნიერო-პოპულარული კინოს ავტორთა მცირერიცხოვნებაზე. სამწუხაროა, რომ ნიჭიერი ლიტერატურები თავს არიდებენ დოკუმენტურ კინოს, არ ცდიან ძალას ამ შესანიშნავ დარგში. რაოდენ სასურველია, რომ ჩვენი რესპუბლიკის საუკეთესო ესეისტებმა და ჟურნალისტებმა არა შემთხვევითად შემთხვევამდე, არამედ სერიოზულად მოკიდონ ხელი დოკუმენტურ და სამეცნიერო-პოპულარულ კინემატოგრაფს. ჩვენ კარგად გვემის, რომ ყოველივე ეს დიდადაა დამოკიდებული სტუდიაში ტემპარატივად შემოქმედებითი ატმოსფეროს შექმნაზე, რედაქტორთა უნარზე მოძებნონ ნიჭიერი ადამიანები, მოიზიდონ ისინი, დაუსახონ მხატვრული ამოცანები, დაინტერესონ საკმით. თუკი ჩვენ გულწრფელად გვაწუხებს ჩვენი კინოპრობლემისტიკის ბედ-იბადი, შესაბამისად კი ბედ-იბადი მისი საფუძვლის — კინოდრამატურგიისა, მაშინ რატომ დავეცლა სულ ახლახან კინოსტუდია „ქართული-ფილმი“ შექ-

კადრი ფილმიდან „რეპორტაჟი ნიდერლანდებიდან“



ნილ სასცენარო სტუდიას მხოლოდ მხატვრული ფილმების სცენარებზე მუშაობა.

მხატვრული კინოაუბლიცისტიკის შემდგომი განვითარების ყველა ეს სასიცოცხლო საკითხი, ვფიქრობ, უნდა მოექცეს საქართველოს სახელოსნო და ჩვენი შემოქმედებითი კავშირის ყურადღების ცენტრში. არსებითად ამჟამად საქმისადმი ერთგული, კვალიფიციური რედაქტორების პრობლემაც, საჭიროა განმტკიცდეს რედაქტორის მდგომარეობა სტუდიაში, გადამიხრავს რედაქტურის შემადგენლობა. უნდა ვიფიქროთ რედაქტორთა შრომის სტიმულირებაზეც.

ცხოვრება ჩვენს წინაშე სახავს სულ ახალ და ახალ პრობლემებს. ერთ-ერთი ასეთი პრობლემაა დოკუმენტური კინო და დოკუმენტური ტელევიზია, მათი ურთიერთდამოკიდებულება, მათი ძლიერი და სუსტი მხარეები. ჩვენ ნაკლებად ვაქცევთ ყურადღებას იმას, თუ რა ხდება ჩვენი ტელეფილმ-მენტალისტიკაში, როგორაც ვარიდებთ თავს ამაზე საუბარს, თუმც ეს საუბარი სასარგებლო იქნებოდა ეკრანული კინოაუბლიცისტიკის განვითარებისათვის.

ჩვენ გადავიღეთ სსრკ შექმნის 50 წლისთავისადმი, საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავისადმი, მეცხრე ხუთწლეულისადმი, მსხვილი მშენებლობებისადმი მიძღვნილი რამდენიმე არსებითად ერთნაირი სურათი. როდესაც საქმე ეხება მნიშვნელოვან მოვლენებს, დიად მშენებლობებს, თვალსაჩინო საინჟინერო თარიღებს, იქნებ ღირს კინო და ტელედოკუმენტალისტთა ძალების გაერთიანება. ეს თავიდან ავგაცილებს ერთი და იგივე თემების დუბლირებას, რომელსაც თან მოყვება გაუმართლებელი, ზედმეტი სახელმწიფო ხარჯი.


ვფიქრობ, უნდა გამოვიშვავოთ ტელეკარნაზე დოკუმენტური ფილმების ჩვენების უფრო მწყობრი, გეგმაზომიერი სისტემა. ამჟამად ეს ჩვენება შემთხვევითი ხასიათისაა. ბოლო უნდა მოეღოს კინო და ტელესტუდიებში შექმნილი დოკუმენტური სურათების ამა თუ იმ თემატური გადაცემის „ჩელალებში“ გამოყენებას. ირდევვა არა მარტო გამოყენებული ფრაგმენტებისა და კადრების აზრი, არამედ ავტორისეული საწყისი. ეს ბაღებს კიდევ ერთ საშუაშრობას — მასალის მოპოვების სიოილე იწვევს დოკუმენტური კინონაწარმოებისადმი, საკუთარი ნამუშევრისადმი ზედამიზრულ და რიგ შემთხვევებში ცინიკურ დამოკიდებულებას.

ორიოდე სიტყვა კრიტიკის შესახებ.

ჩვენი კრიტიკა, სამწუხაროდ, ნაკლებად დაინტერესებული კინოაუბლიცისტიკის ბუნების კვლევით; პრესაში იშვიათად ჩნდება ქართველ კინოდოკუმენტალისტთა ნამუშევრების კრიტიკული ანალიზი. კრიტიკოსს კი შეუძლია უკარნახოს დოკუმენტალისტს ამა თუ იმ პრობლემის გადაჭრის გზა.

დიდი თქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-50 წლისთავს დოკუმენტალისტები ზედმიწარმული რიგი კინოსურათებით, რომლებიც ამ თარიღისადმი იქნება მიძღვნილი. ესაა, უპირველეს ყოვლისა, სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმები: „რევოლუციური საქართველო“ და „კომუნისტი“.

პირველი ფილმი ეხება საქართველოს პროლეტარიატის სახელგანთავს რევოლუციურ წარსულს, რევოლუციური მოძრაობის საწყისებს, კავშირს რუსეთის პროლეტარიატთან, ჩვენი პარტიის საუკეთესო წარმომადგენლებს.



კადრი ფილმიდან „მშველელი“

მეორე ფილმი, რომელსაც იღებს ვ. მიქელაძე, ეძღვნება ჩვენი ეპოქის საუკეთესო შვილებს — კომუნისტებს. გამოვა აგრეთვე მოკლემეტრაჟიანი ფილმები: „რუსთაველი მტელურგები“, „ჩნდობა“, „გურჯაანელები“, „საქართველო და სომხეთი“ და სხვ.

ქართულმა დოკუმენტურმა და სამეცნიერო-პოპულარულმა კინომ უფრო ისტატურად და გასააგები ფორმით უნდა მოახდინოს ჩვენი პარტიის იდეოლოგიის პროპაგანდა, გაამახვილოს ყურადღება კომუნისტური მორალის პრინციპებზე, უკეთ გამოიყენოს დოკუმენტური კინოს შესაძლებლობანი მასურების (განსაკუთრებით ახალგაზრდობის) იდეური რწმენის აღზრდისათვის.

ჩვენი ამოცანა ისაა, რომ კინოდოკუმენტალისტი მუდამ იღებს ჩვენი ცხოვრების ყველაზე მიწინავე ხაზზე.

კადრი ფილმიდან „მონოლოკები პროფუკაზა“



პორნელი სანაძე

ვიორგი მასხარაშვილი

პორნელი სანაძე ქართული საბჭოთა მხატვრობის განვითარების საწინებთან დგას. იგი მხატვართა იმ თაობის წარმომადგენელია, ვის შემოქმედებაშიც პირველად მკვეთრდებოდა ახალი, საბჭოთა ხელოვნების, სოციალისტური რეალიზმის ხელოვნების პრინციპები, ვინც დასაწიისშივე, მთელი შემდგომი შემოქმედებითი და პედაგოგიური მოღვაწეობის მანძილზე, განუხრებლად ნერგავდა ხელოვნებაში მაღალი დეურობას, მაღალპროფესიულობასა და მხატვრულ სიმართლეს, იღვწოდა მხატვრობის კავშირის განსამტკიცებლად ხალხის ცხოვრებასთან, თანამედროვეობასთან.

კორნელი სანაძის ეს ნიშანდობლივი მხარეები მკაფიოდ და ნათლად გამოვლინდა ბოლო დროის მის დიდ პერსონალურ გამოფენაზე, თბილისის სურათების სახელმწიფო გალერეაში რომ გაიმართა. ეს იყო საქართველოს სახალხო მხატვრის ნახევარსაკუთრის შემოქმედებითი შრომის

შედეგი, თუმცა ექსპონირებული ოთხასამდე ნამუშევარი მხოლოდ ნაწილს წარმოადგენდა იმ ვრცელი შემოქმედებითისა, რომელიც მან დღემდე შექმნა.

სწორედ ადრინდელი პერიოდის აქ წარმოდგენილ ნამუშევრებში გამოჩნდა, თუ რა დიდი გულისყური მიაპყრო ახალგაზრდა მხატვარმა თავისი სამშობლოს ახალი ცხოვრების მაჯისკემას, შეეცადა გაეხსნა იგი მხატვრულ სახეებში, გადმოეცა ის სულისკვეთება, რომელიც მოიცავდა ახალი სამყაროს მშენებელი ხალხი. იმ მიზნით, რომ ახლოს ეხილა საწარმოო თუ სოფლის მეურნეობის მშრომელთა ყოველდღიური ცხოვრება, აუსახა იგი მხატვრულ ტილოებში, მხატვარი იმთავითვე ბევრს მოგზაურობდა (1930-31 წწ). კერძოდ, სურათების სერიები შეიძლება ჭიათურას, აჭარის საკოლმეურნეო მიწაებს, მისი ხალხის ყოფას, ჯარდაქმნებს აღამიანების ფსიქოლოგიაში. ახლის დამკვიდრება ჯვენში, კერძოდ, საქართველოს ერთერთი ულამაზესი კუთხის — აჭარის ბუნებასა და ხალხის ცხოვრებაში, შეიძლება ითქვას, პირველად კორნელი სანაძის სურათებში აისახა. ამ ნაწარმოებებისათვის ნიშანდობლივია დეკორატიული გამომსახველობა, ერთგვარი სიბრტყობრიობა ფორმების განზოგადებული გადმოცემისას, მოცულობათა ზოგჯერ კონტურული ხაზგამსამა, რაც მხატვრის შემდგომ ქმნილებებში აღარ გვხვდება, ამავე პერიოდიდან კორნელი სანაძის შემოქმედება უკვე გარკვევით ვითარდება ორი ძირითადი ხაზით: ეს არის პორტრეტისა და პეიზაჟის ჟანრები, და თვით მრავალფეროვანი კომპოზიციები, რომლებზეც მხატვარი დროდადრო მუშაობს, უფრო ჯგუფურ პორტრეტებს უნდა მიაკუთვნოთ, ვიდრე, ვთქვათ, ყოფიისა ან სხვა ჟანრებს.

მოსე თოიძის სტუდიისა და თბილისის სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებული (აქ იგი სწავლობდა 1922-1929 წლებში ე. ლანსერეს, ე. თათეოსიანის, ი. შარტემანის ხელმძღვანელობით. ბევრი რამ ისწავლა გ. ვაჟაშვილისგანაც, თუმცა მისი უშუალო მოწაფე არ ყოფილა), მტკიცე პროფესიული ცოდნით აღჭურვილი ახალგაზრდა მხატვარი ცდილობს თავისი თავი იპოვოს არა მხოლოდ გარკვეულ ჟანრებში, რომლებიც მის შემოქმედებით მისწრაფებებს პასუხობს, არამედ შეიმუშაოს გამოხატვის საკუთარი ენა, ენდოს მხოლოდ შინაგან ხედვას, აღქმას. მუდამ ცდილობს დახვეწოს, გაამდიდროს სახეითი საშუალებები, რომლებსაც ფლობს, და შექმნას თანამედროვეობის ღირსეული ნაწარმოებები.

თანამედროვეობა მრავალმხრივად აისახა კორნელი სანაძის ტილოებსა და სხვადასხვა ფერწერული თუ გრაფიკული მასალით განხორციელებულ დაზურ ფურცლებში. მხატვრის მიერ შექმნილი, პორტრეტების ვრცელი გალერეა ძირითადად სწორად მის თანამედროვე ადამიანებს გამოსახავს, თუმცა არანაკლები სიყვარულით და გატაცებით მუშაობს იგი გასული საუკუნეების გამოჩენილი მოღვაწეების პორტრეტებზეც. თუ ამ ჯანრის შედარებით აღრინდულ ტილოებში გამოხატული პიროვნების ფიგურა მხატვარი გამოსახავდა სხვადასხვა დეტალს თუ ატრიბუტს, იგი შემდგომში მეტ ყურადღებას ახასიღებს თვით პორტრეტებულის სახეზე, მის შინაგან ბუნებაზე, ამიტომაც 40-იანი წლების მიმდევრო პერიოდის პორტრეტთა დიდი ნაწილი გადაწყვეტილია ან ნეიტრალურ ფონზე, ანა დეტალები ოდნავაა მინიმუმული კომპოზიციურ ცვლილებებთან ერთად იცვლება წერის მანერაც. სუფთა დეკორატიულობას, პირობითობას ცვლის ფერთა და შუქ-ჩრდილით ფორმების ძერწვა, მდიდარი ფერთი ნიუანსები. ზოგჯერ საღებავები ძალზე თლადა დადებული, რაც გამჭვივრავლებს და სიმსუბუქეს ანიჭებს პლასტიკურ მოცულობებს. ასეთი ხერხით უმთავრესად ახალგაზრდა აქტობა პორტრეტებია დაწერილი. მათში იგრძობა ძველი ოსტატების მხატვრული ხერხების გამოყენება. განათება, შუქ-ჩრდილის შეუმჩნეველი გადასვლები რენესანსულ პორტრეტებთან ასოციაციას იწვევს. მხატვარი ოსტატურად იყენებს ლესირების ტექნიკას: თხლად დადებული გამჭვივრავლ მონაშის ქვეშ გამოსტევიის საღებავის ქვედა ფენა და ქმნის ხელშეახებ ფაქტურას, პაერუნებას და გამოსახველობას ანიჭებს ფორმას. ასეთია ქართველ ქალთა პორტრეტები: „ქალიშვილი წიგნით“, „ტერეზა“, „მადონა კვაჭაძე“ და ბევრი სხვა. ამ პორტრეტებში, პორტრეტულ მსგავსებასთან ერთად, ხაზგასმულია ქალური სინაზე, კდემამოსილება. მხატვრული ამოცანის შესატყვისად, ყველას პორტრეტი გადაწყვეტილია კომპოზიციურად და კოლორის-ტულად განსხვავებულად, აქცენტის გადატანით გამოსახულის სახეზე, მისი ინტელექტისა და ხასიათის გახსნაზე.

ცალკე შეიძლება გამოიყოს პორტრეტების ის სერია, რომელზეც აღბეჭდილია მშრომელი ადამიანი: „სამუშაოზე“, „მკელი“, „სამგორის განთიადი“, „იმერელი“, „კოლმურენე“ „ჩაის მკრფავი“ და სხვა. ამ ტილოების პერსონაჟები გამოსახული არიან ნათელ პიესაჟურ ფონზე. სურათში „მკელი“ მხატვარმა შექმნა გამრჯე

ქართველი გლეხკაცის მართალი, ტიპური სახე. მზით განათებული დიდი სივრცე ხელს უწყობს შრომის სახეობა, ამაღლებულ განწყობილებას. ფერწერის ტექნიკაც სხვადასხვაგვარია, მონაშემები პასტოზური და ფართოა.

მშრომელი კაცის მეტყველი, განზოგადებული სახეა შექმნილი სურათშიც „სამგორის განთიადი“. ახალგაზრდა გლეხი ჯარისკაცის ძველ ფარავაში, მხარზე გადებული ბართ და გასხივონებული სახით ახალ აღმშენებლობათა მთავარ გმირადაა წარმოსახული. მის უკან სამგორის, მომავალი ზღვის დიდი სივრცეა გადაშლილი. განთიადის ვარდისფერი სხივებითაა შეფერილი ამ ადამიანის ფიგურა და ფერთა ეს გამონათებაც თითქმის რაღაც ახლის და დიდმომენელოვანის მათყვებლია.


ჩაის პლანტაციების ფონზეა გამოსახული მომხიბლავი, ხალისიანი სახის კოლმეურენ გეონა. ეს სურათიც დაწერილია ფუნჯის ფართო და ლდი მონაშემებით, ისევე, როგორც ამ პერიოდის სხვა ამ ჯანრის ტილოები.

პარადულ ხასიათს ატარებს და მშვიდი განწყობილებით გამოირჩევა რიგი ქალთა პორტრეტებისა. ასეთებია მხასიობების — ალექსანდრა თოიძის, თამარ ციციშვილის, ნატალია ბურმისტროვას, ნინო ლაფაის და სხვათა, აგრეთვე მხატვრის მეუღლის, მანანას, ლლის, ლატავას პორტრეტები. მათი პოზებისა და საერთო იერის, სახის გამომეტყველებათა მხატვარი აღწევს რაღაც განსაკუთრებულ სიმშვიდესა და სიდიხეს. ოსტატურადაა დაწერილი მასოსც და სურათების სხვა დეტალები.

მხატვრული ხერხების გამოყენების მხრივ კიდევ უფრო გამორჩეული და განსაკუთრებულია წარსულის გამოჩენილ მოღვაწეთა პორტრეტები. თოიძე პეტრეწისა და დავით გურამიშვილის წარმოსახვით შექმნილ მხატვრულ სახეებს, კომპოზიციური და ფერადოვანი წყობით, გასული საუკუნეების საქართველოში გადაყვართ.

ისტორიულ პიროვნებათა პორტრეტების ციკლში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ტრიპტიქს „შოთა რუსთველი“. მასში, როგორც მხატვრული მიგნება, ხერხი, კარგადაა გამოყენებული ბეჭა და ბეჭემე თპიზარების მიერ მოჭდილი სახელის კარვდი ხატის ორნამენტული და დეკორატიული მოტივები. ტილოზე შექმნილია ოქროს ვარაყის მდიდრული შთაბეჭდილება და ამ ფონზე გამოსახულია ახალგაზრდა შოთას ფიგურა მუქ სამოსში, რომლის მუქ ყავისფერად ფონის ოქროსფერის ღამსუ კონტრასტად ეხმარება მოსახსამის მეწყამულ-შინდისფერი.

ქ. სანაძის ფერწერულ პორტრეტთა შორის



აკაკი შანიძის პორტრეტი

გამოირჩევა აგრეთვე აკაკი წერეთლის გიორგი ჩუბინაშვილის, ივანე ჯავახიშვილის, აკაკი შანიძის, ნიკოლოზ კანდელაკის, უმანგი ჩხეიძის, კოტე მარჯანიშვილის და სხვათა პორტრეტები.

პორტრეტების, ისევე როგორც პეიზაჟების, საკმაოდ დიდი ნაწილი მხატვარის გრაფიკული მასალებით აქვს განხორციელებული. შალვა ნუცუბიძის, სერგო კობულაძის, ლადო გრიგოლიას, გრიგოლ აბაშიძის და სხვათა სახეები, პორტრეტული დახასიათების სიზუსტესთან ერთად, შტრიხის დახვეწილობით და ფორმათა სკულპტურული მოდელირებით ხასიათდება.

კ. სანაძე გალაკტიონ ტაბიძის მრავალი მეტყველი პორტრეტის ავტორია. ამ ნამუშევრებში, რომლებიც განხორციელებულია როგორც ზეთით, ისე სანგინით და ფანქრით, პოეტის სახის გასნის ამოცანა უკავშირდება მისი პოეზიას. ამ პოეზიის ინტონაციის გამმოცემას. ერთგან გალაკტიონი გამოსახულია ნიკარწმინდის ფონზე, მეორეგან იგი თითქოს ქარის ტალღებითაა გარემოცული („ქარი ქრის“), დიდ ფერწერულ ტილოზე კი, რომელიც „მე და ღამითაა“ შთაგონებული, პოეტს ვხვდავთ მტკვრის პირას ჩამომჯდარს, დამეული თბილისის ფონზე.

ვრცელი და მრავალფეროვანია, როგორც მხატვრული ამოცანების, ისე ტექნიკური საშუალებების მხრივ, კ. სანაძის პეიზაჟური შემოქმედება. მომდევნო ხანის და ბოლო პერიოდების ამ ჟანრის ნაწარმოებებში მეტი ჰაერი და სინათლეა, ფერთა მეტი გამჭვირვალეობა და სინაზე გამოარჩევს ამ სურათებს. სვანეთის სერიიდან განსაკუთრებით შთამბეჭდავია „უზო უშგულში“, „სვანეთის ხედი“, „უშგულის კოშკები“ (შვერული ტექნიკა, ტემპერა, აკვარელი), ხევსურეთის — შატლის ხედები (სანგინა, ნახშირი).

ირაკლი აბაშიძის პორტრეტი



ორმოცდაათიანი წლების პეიზაჟებში დიდი პაეროვანი სივრცეებია. კ. სანაძეს მაცურებელი სურათის სიღრმეებში შეჰყავს. მეტად ემოციურია პეიზაჟები „ქარიშხალი“, „წვიმის შემდეგ“, მხატვარი ასერხებს გადმოსცეს ბუნების სულ სხვადასხვა მდგომარეობა, მისი განწყობილება და უფაქიზესი მოძრაობა. ხეები, ბალახი თუ ფოთოლი, დრუბელი თუ ნისლი — ყოველივე ეს შეიგრძნობა ცვლილებაში, ურთიერთშერწყმის და ურთიერთშემოქმედების მოლიანობაში.

წლისა და დღის სხვადასხვა დრო პოეტურად და დიდი შთაგონებითაა გადმოცემული მრავალ პეიზაჟურ ფურცელში. ნამუშევრების ერთი ციკლი ძველი ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლებს აბეჭდავს, საინტერესო წერტილიდან იხსენება შიომღვიმის მონასტრის ხედი. შვეული კლდის ფონზე მასიური ფორმების მონასტრის სილუეტები მონუმენტურ შთაბეჭდილებას ტოვებს. მონოქრომული მონაცრისფრო-მთავისფრო ფერადოვანი გამა სილადივს მატებს ამ შთამბეჭდავ გარემოს.

„სამწევრისი“, „ზარზმა“ ასევე მთელი მათი სა-
სასიათო სილუეტით წარმოგვსახება. ძველი
ხუროთმოძღვრული ნაგებობა ნათლად იკითხება
ცის სუფთა ფონზე. ფერადოვანი გამა მუდამ
კონტრასტულია, რითაც ხაზი ესმება ძეგლის
დიდებულებას.

როგორც თემატიკის მრავალფეროვნებით,
ისე მხატვრული და ტექნიკური საშუალებების გა-
მოყენების თვალსაზრისით, განსაკუთრებით გა-
მორჩევა მხატვრის ბოლო პერიოდის ქინძლე-
ბები, რომლებიც თითქოს აჯამებენ შემოქმე-
დის ძიებებსა და მიღწევებს. სურათებში ვხვდე-
ბით ადრინდელ ნამუშევრებში გამოყენებული
მხატვრული ხერხების, კერძოდ, დეკორატიულობის
შერწყმას ფორმათა პლასტიკურ-ფერწერულ
მიდელირებასთან („გვალვა“, „ჩაის მუერ-
ნეობა“ და სხვ.).

ფართოდ, პასტოზურად და ლაღი მონასმებით
დაწერილი ბოლო პერიოდის პორტრეტებიც
— კარლო კალაძის, სანდრო ახმეტელის, ევგე-
ნი მიქელაძის. ამ პიროვნებათა ტემპერამენტს,
შინაგან ძალას და შემართებას შეემატევი-
ს სურათების ფერწერულ-პლასტიკური გააზ-
რება.

კორნელი სანაძემ თავისებურად მიაგნო და
სრულყოფილად იყენებს მონოტიპიის რთულ
ტექნიკას. ამ ტექნიკით განხორციელებულ ნაწა-
რმოებში იგი აღწევს ფერთა ვარიაციულ სიმდი-
დრეს და რთულ კომბინაციებს, თავისუფლად
წყვეტს სხვადასხვა მხატვრულ ამოცანებს, რო-
მელსაც იყენებს ამა თუ იმ თემის გასახსნელად.
მონოტიპიის ტექნიკითაა შესრულებული პეი-
ზაჟები, არქიტექტურული ხედები. მათში თავი-
სებურად და ღრმად გამოისახაველადა გადმო-
ცემული ბუნების მდგომარეობა, განწყობილე-
ბა, ხან ლირიკული, მშვიდი და წყნარი, ხანაც
მღელვარე, ამაფორიაქებელი. დასავლეთ საქარ-
თველოსთვის მეტად დამახასიათებელი, ემოცი-
ური პეიზაჟებია ამ ტექნიკით შესრულებული
ორი ფურცელი — „სასიმინდი“, „გაზაფხული“,
„შემოდგომა მთებში“, „მუხები“ და სხვა.

კორნელი სანაძის ნაწარმოებთა ბოლოდროინ-
დელ პერსონალურ გამოფენაზე ერთივე კიდელ
ნათლად გამოჩნდა დაუცხრომელი ენერჯისა და
ტემპერამენტის, მუდამ მაძიებელი, სახვითი ხე-
ლოვნების ახალ სიმაღლეთა წვდომის შეუწყლე-
ბელი სურვილით საგსე შემოქმედი, რომლის
ხელოვნება ახლახან ღირსეულად აღინიშნა რუს-
თაველის პრემიით.

თვალსაჩინოა კორნელი სანაძის, როგორც პე-
დაგოგის, ღვაწლიც. თავის ცოდნას და გამოც-
დილებას იგი ათეული წლებია სიყვარულით ახ-
მარს მხატვართა ახალი კადრების აღზრდას,
ქართული მხატვრობის ხვალისდელ დღეს რომ
წარმოადგენს.



ევგენი მიქელაძის პორტრეტი



სერგო კლდავაშვილის პორტრეტი





ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის

ვასო აბაშიძე



50 წელი შეუსრულდა ვასო აბაშიძის სახელობის თბილისის მუსიკალური კომედიის სახელმწიფო თეატრს. ეს თარიღი აღინიშნება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 60 წლისთავზე, რაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს თეატრის ამ სახელოვან იუბილეს.

ჩვენი ჟურნალის კორესპონდენტმა რამდენიმე კითხვით მიმართა ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის სახელმწიფო თეატრის დირექტორს, თეატრმცოდნე ანსორ ტრაპაიძეს. გადავაზოთ ამ ინტერვიუს.

მკითხველი აქვე გაეცნობა მუსიკისმცოდნე მირა შიჩხაძის, კომპოზიტორების გიორგი ცაბაძისა და შოთა მილორაძის წერილებს.

თბილისის სახელმწიფო თეატრი

ინტერვიუ

1. რა ახალი შემოქმედებითი ტენდენციები აღინიშნება ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრში?

როგორც იცით, ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის სახელმწიფო თეატრს დაარსებიდან 50 წელი შეუსრულდა. 50 წლის მანძილზე თეატრმა შემოქმედებითი და ორგანიზაციული ფორმირების რთული მგრამ კანონზომიერი ეტაპები განვლო, საშემარულებლო ტექნიკის, შინაგანი და გარეგნული სახორების გარკვეულ ზღუდეებს მიადგა, შექმნა ენერული გამოხატულების გარკვეულ ტრადიცია, დიშასაბურა ფართო მათერებლის აღიარება და პატივისცემა. 50 წლის მანძილზე მთელი თაობები ემსახურებოდნენ ამ კეთილშობილურ საქმეს, ზოგიერთი მათგანის ნიჭმა და საქმისადმი უღიღესმა სიყვარულმა 300 კაციან კოლექტივად აქცია 1926-27 წლებში ენთუზიასტების მიერ დაწყებული საქმე.

ყველანაირ ტრადიციას პატივისცემა და გათვალისწინება სჭირდება მომავალი თაობების მიერ, ვინაიდან ყოველი ტრადიცია ნოვატორული ძიების ლოკაცურ დასასრულს წარმოადგენს. ის, რომ დღეს ვასო აბაშიძის მუსიკალური კომედიის სახელმწიფო თეატრი ფორმირების ახალ ეტაპზეა, — სურვილი აქვს მეტყალებად გამართობი ენარი გადააქ-

ციოს სერიოზული ცხოვრებისეული პრაპლემების ასპარეზად. იუმორი გამოიყენოს მალალი იღვის, ღრმა აზრისა და სიმართლის გამოხატვის ქმედით საშუალებად, თეატრის ახალი სამხატვრო ხელმძღვანელობისა და დირექციის ახირებულობით კი არ არის გამოწვეული არაქედ დროის აუცილებლობითა ნაკარნახევი. გარდაქმნების ამ ურთულეს პერიოდში პირადად მე ბედნიერებად მიზანია, რომ თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი რეჟისორია საქმისადმი ფანატურად შეყვარებული პიროვნება გურამ მელივა. ხოლო თეატრის მუსიკალურ ცხოვრებას უძღვება ნიჭიერი დირიჟორი ავთანდილ მამაკაშვილი. ახალი რეპერტუარი (ველიანბოზ უკანასკნელ ორ სეზონს) მათი დაძაბული შემოქმედებითი ძიებების ნაყოფია, რომელიც სიიმიდო პერსპექტივებსაც ვკვირდება.

2. როგორია ის შემოქმედებითი ამოცანები, ენარის სპეციფიკის გადახალისების ტენდენციამ რომ წამოჭრა?

ზენი თეატრი პირველ რიგში მუსიკალური თეატრია და მის სცენაზე ყოველთვის იყრებებს ყველანაირი ენარის მუსიკალური ნაწარმოები, რომელმაც იუმორის საშუალებით ეპოქის შესატყვისი აზრი იქნება გა-

დმოკემული. ლიტერატურული და მუსიკალური დრამატურგიის, ქორეოგრაფიული და საგუნდო ხელოვნების; თეატრალური ყანრების ურთიერთდაპირისპირების რთული სინთეზი და საერთოდ სინთეტური ხელოვნების უმდიდრესი შესაძლებლობების თვალსაჩინო-თვალსაჩინო წარმოჩენა, — აი, რაც გვაინტერესებს დღეს თეატრში. ლიტერატურულ-მუსიკალური დრამატურგიის, მასალის თანამედროვე ხედვის თვალსაზრისით „ლამანჩელო“ ჩვენთვის ყოველთვის იქნება ამოსავალი წერტილი.

3. როგორია მთავრის მოზიციკა ეროვნული რეპერტუარის, მისი იდენტურ-მხატვრული დონის ამაღლების, განვითარების თვალსაზრისით?

რა თქმა უნდა, ეროვნულ რეპერტუარს მუსიკალური კომედიის თეატრის ცხოვრებაში უნდა ეკავოს წამყვანი ადგილი... თეატრი მზად არის ყოველ ქართულ ავტორთან დაამყაროს მჭიდრო შემოქმედებითი ურთიერთობა. ეროვნული რეპერტუარის გარეშე ყველაწინაირი თეატრი არარაობაა, აქედან გამომდინარე, ჩვენი მიზანია თეატრი მთლიანად გადაეჭკით თანამედროვე ქართული ხელოვნების სფეროში მიმდინარე შემოქმედებითი პროცესების საშველდოდ, მის ლაბორატორიად. სუსტ ლიბრეტოს (უფრო სწორი იქნება, თუ მუსიკალურ კომედიებს საფუძვლად პიესები დაედება) ჩვენ არ დავდგამთ. თუ მუსიკალური კომედიის საფუძველი ყოველთვის ლიტერატურული დრამატურგიაა, მაშინ ამ დრამატურგიას ქუშიარტად მაღალი საზომით მივუდგებით. სასიქაღულო ქართულ მწერლობასთან შემოქმედებითი ურთიერთობის დამყარება პირველ რიგში ჩვენი პირდაპირი მოვალეობაა. მაგრამ მათაც გვინდა შევხასხუნოთ: თბილისში, პლენარის პრესპექტზე № 182 არსებობს ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის სახელმწიფო თეატრი, რომლის ცხოვრება ქართველი ხალხის ეროვნული სულის გაჯანსაღების ემსახურება...

4. ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის სახელმწიფო თეატრი დიდი ოქტომბრის პირში და მონაპოვარია. მისი იუბილე — არსებობის 50 წელი — აღნიშნება დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავზე. რითი ხედება თეატრს ამ დიად თარიღს?

ჩვენი თეატრის საიუბილეო დღეებში გამართება პრემიერა დ. შოსტაკოვიჩის ოპერეტისა „მოსკოვი — ჩერიომუცი“. დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის აღსანიშნავ ზეიმზე კი წარმოვადგენთ ა. მაკავარიანის „ბალინჯო“, შექმნილი ვ. მაკავოჯის პიესის მიხედვით (ლიბრეტოს ავტორები — თ. აბაშიძე, გ. ჩარკვიანი).

5. რა სირთულეებისა და პრობლემების წინაშე დგას დღეს ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრი?

ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის სახელმწიფო თეატრში დღეს უამრავი პრობლემა მოსაგვარებელი: გასაუღელა თაობათა შეცვლის უარესად მტკიცებული პროცესი, დასაგვეწია სამემსრულებლო კულტურა, ასამაღლებელია გემოვნება, პროფესიული თვალსაზრისით გადასასწავია მთელი რიგი სამაქროები, გადასახედა თეატრის ორგანიზაციული ცხოვრების ფორმები — შესაქმნელია თანამედროვე ხელმძღვანელობის მობილური აპარატი და კიდევ ბევრი რამ სხვა... თეატრის კოლექტივი გრანდოზისთვის შედგომებს, იცის ჯერ კიდევ მიუღწეველი მაღალი ხელოვნების ფასი, სჯერა თავისი პოტენციური შესაძლებლობებისა და სწორედ ამამია მისი საარსებო ძალა...

6. როგორია თეატრის შემოქმედებითი გემები?

ა. მაკავარიანის „ბალინჯო“ (პიესის ავტორი ვ. მაკავოჯი, ლიბრეტო თ. აბაშიძის, გ. ჩარკვიანის), ბ. კვერნაძის „ხაფხულის დამის სიხმარი“ (თ. შექსპირი), ი. კეკელიძის „თმისარიანი“, ნ. გაბუნიას „ხე ქრილებს“ (პიესის ავტორი ლ. ქუბაბრია), ვ. ფშაველას „სათავური“ (კომპოზიტორი შ. მილორაჯა) და რომელიმე ნაწარმოები კლასიკური მემკვიდრეობიდან — აი, ძირითადი გემბა, რომლის განხორციელებასაც იმუშავებს თეატრის კოლექტივი 1977-78 წლებს სეზონში. ძალზე სასურველია, რომ მათ დემატოს თანამედროვეობის ამსახველი ერთი ან ორი ქმნილება რომელთა მოპოვებაზე, საბოლოო არჩევანის დადგენაზე აქტიურად იღვიწის თეატრი.



თეატრის შემოქმედებითი გზა

მირა ფიჩხაძე

ამ თეატრს ბევრი რამ აკლდა ნახევარი საუკუნის განმავლობაში, მაგრამ ერთი სიმდიდრე ყოველთვის გააჩნდა — მასწავლებელი. ეს სიმდიდრე ძალის მატებად და რწმუნას უმტკიცებდა. დღეს თეატრის პოზიცია არ შეცვლილა — ის მასწავლებლისათვის არსებობს, მასთან სიახლოვეში ესახება თავისი შემოქმედებითი ზეამოცანა.

— „მართლაც რომ ძალიან გვიყვარდა ჩვენი პატარა თეატრი. ასე რომ არ ყოფილიყო, ვერ ვიცოცხლებდით!“ — შაქრი ოსეფაშვილი თეატრის ცოცხალი ისტორიაა. ენთუზიასტთა ჯგუფთან ერთად მან ამ კოლექტივს საუფლებელი ჩაუყარა. იმ თაობიდან მხოლოდ რამდენიმე ადამიანი დარჩა. მას აკონტრეობა იმ პატარა დასის პირველი ნაბიჯები და ახალგაზრდაედება, ილიმება, თვალები უზწყუნდება.

— „რამდენი რამ გადაგვხდა თავს, რამდენმა წყალმა ჩაიარა მის შემდეგ... და... თანდათანობით ცოცხლდება არცთუ ისე შორეული, მაგრამ მშფოთვარე წარსულის ფურცლები...“

20-იანი წლების დასაწყისი. ახალი დრო ბაღებს ახალ ხელოვნებას. თეატრი ცხოვრების სახე უნდა გახდეს. მასში სულ სხვაგვარი ფორმები იქმნება, ის შეიარაღებულია უჩვეულო გამომსახველობითი ხერხებით, განახლებული ტრადიციები მას გაუცნობელი ნაპირისაკენ უხმობს.

მუშევრთან პატარა თვითმოქმედი კოლექტივის დაარსება იმ დროისათვის საესპებით კანონზომიერი მოვლენა იყო. ამგვარი წრეები და კოლექტივები მაშინ ბევრი იხადებოდა. აგტივაციური, მებრძოლი ხელოვნება თავისებურად ეხმარებოდა

ბოლა სინამდვილეს. ეს ხელოვნება პლაკატური და სწორხაზოვანი იყო, მოკლევლი განზოგადებას და ღრმა პრობლემატურობას. მაგრამ მწვევე, პუბლიცისტური ის ზუსტად ურტყამდა მიზანში.

ნიჭურმა ხალხმა შეიყარა თავი კოოპთეატრში. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, კოლექტივი მალე დაიშლებოდა, ისევე როგორც დაიშალა იმ დროს არაერთი ამგვარი კოლექტივი. მაგრამ ასე არ მოხდა. ისინი არამცთუ არ დაიშალნენ, არამედ გახდნენ შენდგომში ძირითადი ბირთვი საქართველოში მანამდე არარსებული თეატრისა. ისინი უკვე იმყოფებოდნენ ქართული საბჭოთა მუსიკის ახალი განისი — ქართული ოპერეტის მისადგომებთან.


ისინი ბევრნი არ იყვნენ. სულ ათიოდე კაცი: ვ გერსამია, შ. ოსეფაშვილი, მ. მესხი, თ. ფერიაშვილი, ი. უგულავა, დ. მესხი, ნ. ხურცია, შ. დრეიძე...

ალბათ ბედნიერმა შემთხვევამ შეჰყარა ერთად — ყოველ მათგანს აღმოაჩნდა მრავალმხრივი ნიჭი. თუმცა გამოცდილება და ოსტატობა არ ჰქონდათ, მაგრამ მღეროდნენ, ცეკვავდნენ, მუსიკალურნი და პლატიკურნი იყვნენ. ამან გააბედინათ ისეთი სპექტაკლები დაედგათ, სადაც უხვად ჰქონდა მუსიკა.

კოოპთეატრის დასი ქართული თეატრის ტრადიციებს მიჰყვებოდა. იმ თეატრისას, რომელშიაც ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში იყრებოდა საფუძველი ეროვნული საოპერეტო განის. სწორედ ქართული თეატრის ვოდევილურ და კომედიურ რეპერტუარში უნდა ვეძიოთ ქართული ოპერეტის სათავეები.

ორიგინალურ ქართულ ოპერეტას საფუძველი იყრებოდა მაშინ, როდესაც გ. ერისთავის მსახიობებს, დაჯილდოებულებს ვოკალური და ქორეოგრაფიული მონაცემებით, ფართოდ შემოქმედონ სპექტაკლებში ხალხური სასამილერო მელიოდიები და საცეკვაო რიტმები, როდესაც გადმოქართულებული ვოდევილი და ყოფითი კომედია ერთმანეთს ერწყმოდა.

ორიგინალური ოპერეტის სათავეებთან იდგნენ ქართული სცენის ოსტატები. მისი თვითმოყვი თვისებები განსაკუთრებით მგავიოდ გამოვლინდა აღორძინებული ქართული თეატრის რეპერტუარში, როდესაც ნატო გაბუნიაშვილი კინოსა და მუსიკალურად აკავი წერილის ერთმანველიან პისაში და განუშორებელი კოლორიტით მღეროდა „აერას“, „კინტორკს“, „კეკელახანს“, როდესაც ელისაბედ ჩერქეზიშვილი კომედია-ვოდევილში „სამოცი წლის არშიყა“ მოაჯილდოა მასწავლებელი თავისი „უზუნდართი“, როდესაც ალექსანდრე ყაზბეგი „მოხვევს“ ფსევდონიმით ისე მომხიბვლელად ცეკვავდა ინტერმედიებში და ისეთი უშუალო იუმორით შესარტა მსახურის როლი თვენახის ოპერეტაში „მეფლისი იტალიელებით“, რომ მის საბუნეუსოდ ქართულ ენაზე მთრე ოპერეტა დადეს — ლევოის „უშიშარი და გულმართალი რანინი“. ქართული ოპერეტას საფუძველი იყრებოდა მაშინ, როდესაც ვალერიან გუნიამ ქართული თეატრისათვის გამოქვეყნებულ წიგნში „დრამები და კომედიები“ პირდაპირ მიუთითა, თუ რა ქართული მელიოდიები უნდა გამოიყენებინათ მოქმედ პირებს ამა თუ იმ კომედიურ სიტუაციაში, ხოლო რა-



სცენა სპექტაკლიდან „სიმღერა თბილისზე“.

ფიელ ერისთავმა მაკო საფაროვა-აბაშიძისათვის დაწერა „ბიძისათან გამოხუმრება“, რომელშიაც მუსიკას ისეთი დიდი ადგილი ეთმობოდა, რომ ეს პიესა რეპერტუარში აღინიშნებოდა როგორც უოდვეილი-ოპერეტა.

როდესაც ვასო აბაშიძემ პირველად ქართულად თარგმნა რვა საუკეთესო კლასიკური ოპერეტა, მიანიჭა რა მათ ეროვნული ყოფითი კომედიის თვისებები, როდესაც მისი ოჯახის წევრებმა მაკომ და ტასომ ამ ოპერეტებში მკაფიოდ გამოკვეთილი ქართული ტიპაჟები შექმნეს, უკვე აშკარად შეიქმნა წინაპირობა ორიგინალური ჟანრის დაბადებისათვის.

კოოპეტატრის დაბადების დღემ შეუმჩნევლად ჩაიარა. ეს დღე ალბათ მხოლოდ მის წვერებს დაამახსოვრდათ. აბა ვინ იფიქრებდა, რომ პატარა საქმეს, რომელიც მათ განიზრახეს, შემდგომში ასეთი დიდი რეზონანსი მიეცემოდა. ეს, რა თქმა უნდა, არც მუშკოპის გამგემ ა. ერისთავმა იცოდა, როდესაც თავის ერთ-ერთ თანამშრომელს მიტო მისურაძეს დაავალა აქაური მოსამსახურეებისაგან თვითმოქმედი წრე შეეკრიბა და პატარ-პატარა გასართობი მხიარული მინიატურები მოეშადადებინა.

წრე კი ჩამოყალიბდა, მაგრამ როგორ იმუშაონ, როგორ იმოქმედონ, რითი დაიწყონ, რა გზას გააყენენ? არც გამოცდილება აქვთ და არც სათანადო პირობები. აქვთ მხოლოდ დიდი სიყვარული თეატრისადმი, ენთუზიაზმი, რომელიც არ ჩამქრალა ამ კოლექტივში ნახევარი საუკუნის მანძილზე.

თეატრს, როგორც არ უნდა იყოს ის, დიდი თუ პატარა, პროფესიული თუ მოყვარულთა, გამოცდილი თუ ახალბედა, უნდა ჰყავდეს მაცურებელი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის მკვდარია — ამ ჭეშმარიტებაში კოოპეტატრის დასი სულ მა-

ლე დარწმუნდა მოღვაწეობის პირველი ნაბიჯებიდანვე მაცურებელი შეიძინა და ფრთები შეესხა.

კომედია, გროტესკი, სატირა, ბუფონადა — აი, ის ძირითადი ფორმები, რომლებსაც დასი მიმართავს. კომედია საშუალებას იძლევა ცხოვრების მანკიერ მხარეებს დასცინოს, ის არა მარტო ართობს მაცურებელს, არა მარტო იცინის და დასცინის, მისი მახვილი თვალი ყველაფერს ამჩნევს, მისი დაუნდობელი ხარხარი ზუსტად ურტყამს მიზანში. კომედიურ ჟანრს იმ დროს დიდი დრამატული თეატრებიც მიმართავდნენ და პატარა თვითმოქმედი წრეებიც. ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტად მათში შემოდის მუსიკა, რათა მიანიჭოს წარმოდგენას კიდევ უფრო სადღესასწაულო, ზეაწეული განწყობილება.

კოტე მარჯანიშვილი ქუთაისში დგამს „კაკალ გულში“ — სპექტაკლს გაქვთნთილს მუსიკით, ქალაქური მელოდიებით, სოფლური ჰანგებით. ამ სპექტაკლით მარჯანიშვილი თავის დროს უსწრებს — ეს პირველი ქართული საბჭოთა კომედიაა მუსიკით.

კოოპეტატრის არც ერთი სპექტაკლი არ თამაშდება უმუსიკოდ. მუსიკალური მასალის გამოყენების კომპლაცირული მეთოდი ამ ეტაპზე სრულიად გამართლებულია. მაცურებელი უშუალოდ, გულწრფელად აღიქვამს წარმოდგენას, ის სიამოვნებით უსმენს კარგად ნაცნობ მელოდიებს. ასეთია კოოპეტატრის ერთ-ერთი ყველაზე ადრინდელი წარმოდგენა „ქორწილი“, (1927 წ.) რომელიც ორი მუსობელი ორგანიზაციის — მუშკოპისა და „ბოევის“ გაერთიანებას ეძღვნა. სპექტაკლში გამოყენებული იყო სიმბოლური ფორმა; ერთ ორგანიზაციას ანსახიერებდა ქალი, მეორეს — მამაკაცი. მთელი სპექ-

ტკლის მინძილჷ ზიანისტი გარკია ვართაზაროვი ქართული
პანგებისკან შემდგარ პოპურს ასრულებდა.

„აქტრუ“ (1926 წ.) — ასე გამოითიოდნენ ავანსცენაზე
ასალბედა თეატრის მონაწილენი. ყოველი მათგანი მაყურე-
ბელს თავისთავს წარუდგენდა. მორიდებლობას, გაუბეღაო-
ბას კიდევ უფრო ხაზს უსვამდა მათი გარვეული შესახედან-
ობა — ერთნაირ ლურჯ ხალათებში ჩაცმულნი — ერთად
შემოდოდნენ და ერთად გადიოდნენ სცენიდან. მაგრამ, აი,
ფარდა აიხსნა, წარმოდგენა დაიწყო და აღმოჩნდა, რომ ეს
ასალგაზრდები არცთუ ისე გამოუვლდებიან ყოფილან. ისინი
თურმე კარგი მსახიობები არიან, მან უნარი შესწევთ გა-
აციონენ, გაართონ მაყურებელი, გაატაცენ ის. თავისი ლურ-
ჯი ხალათები, გულზე ორი ასოთი ამოქარებული „კპ“, რაც
ნიშნავს, რომ ისინი კომპოტეატრის მსახიობები არიან, კული-
სებში დაუტოვებიათ და თითქოს ამით შეზღუდულობისგან
განთავისუფლებულან. ახლა ისინი გაიანამაშებენ სადღესიო,
საჭირბოროტო სკეტჩებს, სატირულ მინიატურებს, ავიტკებს,
ორატორიებს და კონტაქტი მაყურებელთან მაშინვე დამყარ-
დება.

... ხალხით გაჭედილი პატარა დარბაზში წარმოდგენენ
პიესას „დანგლა“ (1929 წ.). კომედიურწებმა სოფლებიდან
კულაკები ალაგმეს. გლეხები ახალ ცხოვრებას აწყობენ. ლა-
ლად გაიხმის ხალხური სიმღერები, გემოვნებით დამუშავებუ-
ლი, თეატრში ახლად მოსული, კომპოზიტორ ვალერიან ცა-
გარეიშვილის მიერ. მაგრამ უეცრად უბედურება დაატრიალდა
კულაკები ტრაქტორისტს ჩაუსაფრდნენ და მოკლეს. დარბა-
ზი ქუსს. საკვირიან მოსწყდებდა ერთი გლეხი, ხანჯალს იმიშ-

ვლებს, სცენაზე ავარდება, გამშავებული ყვირის: „მანქანეუ-
ვინ მოლა“ და ხანჯალით მსახიობებისაკენ მიიწევა. წარმოდგენა
გენა რამდენიმე წუთით წყდება, აღუღებულ გლბას ძლივს
დაამოწმდებენ და ისევ თავის ადგილზე დასაყვან...


1929-1930 წლებში ამავერი სპექტაკლები ბევრი იდგმებო-
და თეატრად და ყოველთვის მწვევარ ტრაქციას იწვევდა: „სა-
ჩიო“, „დელეგატი მართა“, „ვირთას“, „თოქში“, „ორდერე-
ბი“, „სისხლი რიყეზე“, „ბინის მადიებელი“, „ტიტიინები“.
„დალაქები“.

კომპოტეატრის დაარსების ხუთი ათეული წლის შემდგევ
კი ყველა, ვინც კი მის შემოქმედებასთან იყო დაკავშირეუ-
ლი, დიდი მადლიერების გრძობით იგონებს იმ ორ ადამიანს,
ვინც უშუალოდ მონაწილეობდა მის დაარსებაში, ზრდში.
ვინც თავის თავზე აიღო ამ პატარა დასის ბედი, მისი სიხა-
რული და ტკივილი.

მიხეილ ჭიაურელი და დუდე ძნელაძე მოვიდნენ დასში მი-
სი დაბადების რამდენიმე თვის შუადგე, 1926 წლის დამლევ-
სა და 1927 წლის დასაწყისში. ოსინი მოვიდნენ წინასწარ
დასახული მიზნით, რათა პატარა კოლექტივისკან პროფესი-
ული თეატრი შექმნათ. სულ მალე დაწყებდნენ კო-
ლექტივის შემოქმედებით პოტენციალში, თუმცა იცოდნენ,
რომ ბევრი სიძნელე აღუდგებოდათ წინ, ბევრი წინააღმდე-
გობის გადალახვა დასჭირდებოდათ. მ. ჭიაურელისა და დ.
ძნელაძის მიერ დანერგილი ტრადიციები თაობებიდან თაო-
ბებში გადადიოდა: ისინიც კი, ვინც მათ ვერ მოესწრნენ, სე-
თუთად ინახავდნენ ამ ტრადიციებს, რომლებმაც თეატრს შე-
მოქმედებითი ზრდის სწორი გზა დაუასახა. დედა, თეატრი,
და, ბუნებრივია, მასთან ერთად ვანრი, ახალ გზებს დაძებეს,
მაგრამ მის აწმყოს ასახრობებენ დღეი წარსულისა, ურომ-
ლისოდაც არ არსებობს თეატრის მომავალი.

მიხეილ ჭიაურელი ვერ ესწრებოდა რეპეტიციებს სისტემა-
ტურად ის ძალიან დაკავებული იყო კინოში და მსახიობებმა
ეს იცოდნენ. პატიობდნენ კი მას ამატ „უსისტემობასა“?!
ეს საკითხი არც კი წამოჭრილა მათ წინაშე. ისინი მუშაობდ-
ნენ. ჭიაურელი აძლევდა მათ შემოქმედებით დავალებებს,
რომლებსაც ისინი ანხორციელებდნენ მის მოსვლამდე. ამას-
თან თეატრს ისეთი ხელმძღვანელი ჰყავდა, როგორც დუდე
ძნელაძე იყო, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე შეაღია ამ
თეატრს. მას ერთი წუთითაც კი ვერ წარმოუდგინა თავისი
თავი ამ კოლექტივის გარეშე, ჭიაურელმა იცოდა, რომ რამ-
დენი ხნითაც არ უნდა დეტეკებინა კოლექტივი, იქ მუდამ
წესრიგი და მაღალი შემოქმედებითი დისციპლინა იქნებოდა.
დაუეწყარი იყო მისი რეპეტიციები. „ის მუნჯს ალაპარა-
კებდა და მკვდარს გამოაცოცხლებდაო“ — იგონებენ ვახტანგ
სალარიე, ნიკოლოზ მოსქვილი, ვარვარა იანგაშვილი, მა-
შინ სრულიად ახალგაზრდა მსახიობები, ხოლო შემდგენი
ქართული საოპერეტო თეატრის „ვარკაკლები“. ისინი ხშირად
ინსცენებენ, თუ როგორ კარგად იცნობდა მიხეილ ჭიაურელი
მსახიობის ბუნებას, როგორ შეეძლო ორი-სამი შტრიხით ცვე-
ლაფრის შეცვლა სცენაზე და თითოეულისათვის თავისი ად-
გილის პოვნა. ყოველი მისი მოგება კოლექტივში დღესას-
წული იყო. უეცრად გამოჩნდებოდა მომღიწარი, ფართოდ
გააღებდა კარებს, სიმღერით შემოდოდა, მსახიობებს აანთე-
ბდა, რომელიმეს ხელს წააგებდა და ცაყვა-ცაყვით გაატა-
რებდა სცენაზე, ოხუნჯობდა, როცა მისუდებოდა და ტბი-
ლი ხმით მღეროდა, ყვებოდა სასაცილო ამბებს და როდესაც

სცენა სპექტაკლიდან „ვერცხვარე“



განწყობილება უკვე შექმნილი იყო, სერიოზული, საქმიანი ტრინი მსახიობებს რეჟისორებს — „აბა, დაიწყეთ“.

მ. ჭიკურელმა და დ. ძნელაძემ პირველი ნაბიჯებიდანვე თანამედროვეობის მწვავე შერქმნება შემოიტანეს, რამაც მათ საშუალება მისცა თეატრი სწორ გზაზე დაეყვინებინათ. მათ შემოიკრიბეს ნამდვილი ენთუზიასტები: ახლის მაძიებელი ახალგაზრდა დრამატურგები და კომპოზიტორები, პოეტები და მუსიკოსები. ნ. ჩანავა, გალ. რობაქიძე, რ. ქორქია, შ. შარაშიძე (თავუნა), სკოლ. ფაშალიშვილი დაუსალოდნენ ამ პატარა თეატრს და აქტიურად დაიწყეს აქ მომდევნო. ახალგაზრდა კომპოზიტორებს ინიციალად არა მარტო დასის დიდი სიყვარული სიმღერისა და ცეკვისადმი, არამედ, უპირველეს ყოვლისა, თეატრის პოზიცია — მუსიკის დიდი როლი სპექტაკლის გახსნებაში. კომპოზიციის მეთოდი, ილუსტრაციის ხერხები ამ ეტაპზე უკვე მოძველებული და დამძლეული იყო. კ. მელვინო-ზუხუცესი, კ. ფოსცხვარაშვილი, ვ. ცაგარეიშვილი პანსტიკლისათვის წერდნენ ორიგინალურ მუსიკას, როგორც პანსტიკს, აქ იწყებს მოღვაწეობას ახალგაზრდა ალექსი მაჭავარიანი.

როდესაც ვლადიმერ ცაგარეიშვილი პირველად მოვიდა თეატრში, თითქმის სულ ვერ ერკვეოდა თეატრალური მუსიკის სპეციფიკაში, ჯანრის სინთეზურ თავისებურებაში. ერთადერთი, რაც მას გაანჩნდა — ეს იყო დიდი სიყვარული თეატრისადმი. ეს სიყვარული ხანგრძლივად მტკიცე აღმოჩნდა. მრავალი ოქსის განმავლობაში ის იყო ერთადერთი კომპოზიტორი, რომელმაც აუღო ალღო ამ თეატრს, მის მსახიობებს.

თანდათან თეატრი ახალ გზას დაადგა, შეიცვალა მისი სცენური ფორმები, თეატრში მოვიდა ახალი დრამატურგთა, იზრდებოდა პროფესიული დონე და სამსახიობო ოსტატობა. ერთ თაობას მეორესათვის უნდა დაეთმო ადგილი. დრომ დაამტკიცა, რომ ვ. ცაგარეიშვილმა, ისევე როგორც მასთან ერთად მოსულმა ბალეტმეისტრმა დ. მაჭავარიანმა, თავისი სიტყვა თქმეს ჯანრისა და თეატრის ისტორიაში, მის ფორმირებაში წარუშლელი კვალი დატოვეს. ახალგაზრდა ვ. ცაგარეიშვილმა მოიტანა აქ უამსღვრო სიყვარული და ერთგულება ხალხური სიმღერისადმი. ის საუცხოოდ იცნობდა ქართულ მუსიკალურ ფოლკლორს და სათუთად, გემოვნებით გააღმამებებელი გამოჰქონდა სცენაზე. ცაგარეიშვილის მუსიკა აძლიერებდა წარმოდგენის ეროვნულ ელფერს. მან ერთ-ერთი მს პირველადანმა სცადა შეერწყა ეროვნულთან ტრადიციული საოპერეტო ფორმები და ხალხური მუსიკისათვის დამახასიათებელი თვისებები, რითაც ხელი შეუწყო ახალი ჯანრის განვითარებას. მან არ წაბოლქა ქართული სიმღერის სიწმინდე მოდური საოპერეტო შლიაგერებით და ნაბიჯი გადადგა ეროვნული მუსიკალური კომედიის შექმნისაკენ.

გადიოდა დრო. თეატრის პოზიციები თანდათანობით მტკიცდებოდა. იგი სანიტრესოდ და პერსპექტიულ კოლექტივად აღიარეს.

მოსკოვში ჩატარდა თვითომქმედ კოლექტივთა ოლიმპიადა, რომელშიც ასევე მეტმა დამმა მიიღო მონაწილეობა. ერთ-ერთი პირველი ადგილი მიიპოვა ქართულმა კოლოპეატრმა. მოიწონეს ნიჭიერი აქტიორული ანსამბლი, მისი ემოციურობა და ტექნიკურმენტო, განსაკუთრებით მისი პროფესიული დონე, რითაც კოლოპეატრი სტუდენტსაგან გამოირჩეოდა. ფრთხილმსახურად დაბრუნდა თეატრი შინ. ვინ იფიქრებდა, რომ ასეთი წარმატების შემდეგ, ამ კოლექტივის დღეცაიკის მოუხსნიდნენ, რის გამოც იგი ფაქტურად დაიხურა.

პროფესიონალიზმში, რისთვისაც თეატრი განსაკუთრებით შეაქვს განსაკუთრება, ახლამის საწინააღმდეგოდ შეტრიალდა. მისი დიპლომატიის იმის გამო, რომ იგი უკვე აღარ შეეფერებოდა თვითომქმედი კოლექტივის პროფილს.

უშიშესი ხანა დაიწყო თეატრის ცხოვრებაში. შემდეგ მოც არავითხელ წაწყდომია სიძინელებს, მაგრამ ასე მეს არასოდეს გასტრიალდება — ის ხომ ჯერ კიდევ ჩვილი იყო, გამოუცდელი. შეშინდნენ ენთუზიასტები, განსაკუთრებით კი — თეატრის ხელმძღვანელები მ. ჭიკურელი და დ. ძნელაძე. მისი წყლი დაბოზბუნებუც ცხოვრობდა — დადიოდა რაიონებში, სანამ დოკაცისა დაიბრუნებდა. ერთ მშვენიერ დღეს იგი მიიჩნეს პროფესიულ თეატრად და „მუსიკალური სატარის მოძარცვა თეატრი“ უწოდებდა. ასეთ მძიმე ცხოვრებასაც გაანჩნდა დადებითი მხარეები — დასი გაიწვინდა, გაკავდა და, რაც მთავარია, ნამდვილად პოპულარობა და სიყვარული მოიპოვა ფართო მაყურებელთა შორის.

ყოფილი კოოპერატორი ინტელისური ზრდის პროცესშია. მისი შემოქმედებითი ხსენ საბოლოოდ ჯერ არ გამოკვეთილა. ამიტომ თეატრის რეჟისურა არ ზღუდავს რეპერტუარს — აქ დგმება სხვადასხვა სახაითის ჯანრული სპექტაკლები, რომლებშიაც მუსიკას, ისევე როგორც წინათ, მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა. მ. ჭიკურელისათვის და დ. ძნელაძისათვის ნათელია ერთი რამ — დასში, რომელშიც მოღვაწეობენ კომედიური ნიჭით დაჯილდოებულნი მსახიობები: ნ. ჩქეულაშვილი, ნ. ოსუფაშვილი, ვ. გერსამია, ზ. ჯალიაშვილი, ი. ბაკაკური, ა. მეწულიშვილი, ივ. ჯორჯაძე, მ. ინგლო, ე. ციმაძე-კურბიძე, ასე კარგად რომ მღერიან და ცეკვავენ, უთუოდ დაინერგება და განთავარდება ერთ-ერთი უთუთესი თეატრალური ჯანრი — კომედია მუსიკით. მართლაც, რამდენიმე წლის შემდეგ ამ კოლექტივის უკვე ოფიციალურად დაერქვა „მუსიკალური კომედიის თეატრი“.

თეატრის ცხოვრებაში ახალი ეტაპი დაიწყო. მის სცენაზე დაიდგა „საკაპენის ოინები“ (1935 წ.), „ესპანელი მღვდელი“ (1936 წ.), „თეა და კვი ალლი“ (1939 წ.).

... ქართული მუსიკალური კომედიის თეატრის მთელი კოლექტივი, მისი ოცდათხუთმეტევე წევრი დიდიდანი ღამემდეგ თეატრშია. უკვე რამდენიმე დღეა, რაც დღეც ძნელაქე შინ არ წასულა. იგი თეატრის საშხატეო ხელმძღვანელი, ინსპექტორიცა და რეჟისორი-დამდგმეოც, ადმინისტრატორიც და, თუ საჭიროა, სცენის მუშაც, უმისოდ არ ტარდება არც ერთი სპექტაკლი, არც ერთი რეპეტიცია. მ. ჭიკურელს კინაც კი დაიწყებია. ახლა ის სულ თეატრშია. დასი დუქმედ ვეგას პიესებს. საჭიროა მაღალი აქტიორული ოსტატობა, — რაც ყველას ერთნაირად არ გაჩანია. ვ. ცაგარეიშვილმა სპექტაკლისათვის ბგერი მუსიკალური ნომერი დაწერა და მსახიობებმა უნდა მოასწონს მათი შესწავლა. პირველ სპექტაკლად დანიშნულია „საკაპენის ოინები“. შხატეული გაფორმებისათვის მოიწვიეს პეტრე ოცხელი. თეატრში პირველად იდგმება ასეთი დიდი ფორმის — კომედია მუსიკით. პრემიერაზე უამრავი მაყურებელი მოვიდა. მოხიბლულნი არიან ხსხსხა, კასკადური სპექტაკლით, შ. ოსუფაშვილის, ნ. ჩქეულაშვილის, ვ. გერსამიას კომედიური სახეებით, შ. ინგლოს, ა. მეწულიშვილის, ი. ბაკაკურის, თ. კიკნაძის, მ. დრეიძის არტისტული უშუალობით.

ფერადოვანი დეკორაციები თეატრში შესვლისთანავე ქმნიან ხალისან განწყობილებას. ფრინისპიულის თარგმანი

სპექტაკლს ანიჭებს განსაკუთრებულ სიმსუბუქეს, სიმკვარის დევნილობას. მართალია, მისი მუსიკა არ გამოირჩევა ინტონაციური სიასლით, მაგრამ იგი ღამაზნა და სასიამოვნო, მაყურებელი მას ადვილად იმასწავრებებს. თეატრში პირველად მოსულ ახალგაზრდა, მომზინველ ვახტანგ საღარაძის წარმატებას ბევრად განაპირობებს ლიანდროს სიმღერა, რომელსაც მაყურებელი მაშინვე აიტაცებს. „ესაბნულ მღვდელს“ ვ. საღარიძე ქართული საოპერეტო თეატრის სცენაზე გამოკყავს.

დ. კლდიაშვილის „შემოდგომის აზნაურებიც“ თეატრმა დადგა როგორც კომედია მუსიკით. ამ სპექტაკლმა განსაკუთრებული როლი ითამაშა. ეს იყო პირველი დიდი ფორმის ქართული კომედია, რომლის მუსიკა ვ. ცაგარეიშვილმა ქართულ ხალხურ მასალაზე ააგო.

ზემოაღნიშნული სპექტაკლებით თეატრმა დააწმუნა საზოგადოება ორ რამეში, რომ მას შეუძლია დავრფელის ისეთი განსის, როგორც არის კომედია მუსიკით, და რომ ეს თეატრი მსახიობთა თეატრია. ასეთი დარწმუნება თეატრის ხუთი ათწლეული წლის მანძილზე რეჟისორების ძიებნას, რაოდენ თამაში და საინტერესეს არ უნდა იყოს, ყოველთვის ემსახურებოდა და უნდა ემსახურებოდეს აქტიორული ანსამბლის შემოქმედებითი პოტენციალის მაქსიმალურ გამოვლინებას.

საკუთარი კანონზომიერია, რომ თეატრი დროთა ვითარებაში მიიღგა კლასიკურ ოპერეტას. პირველი ოპერეტა აქაურ სცენაზე „მასკოტას“ (1935-1936 წ.) იყო. მაინც და მაინც არდარის ამ თეატრულ რატომ შეაჩრდა დ. ძნელაძემ თავისი არჩევანი? მან ერთ-ერთი საუბრის დროს ამისხსნა ამის მიზეზი. „მასკოტას“ დადგმას შესანიშნავი ტრადიციები გააჩნდა ქართულ სცენას. ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იან წლებში არსებობდა მისი ორი თეატრმანი — ვ. აბაშიძისა და ა. ახნაზაროვისა. „მასკოტას“, რომლის პრემიერა ქართულ დრამატულ სცენაზე შედგა, ასრულდნენ თბილისის საოპერო და დრამატული თეატრების საუკეთესო ძალები; მარიამ მნებელა და კასიმირ ცხოშვილი — საოპერო მომღერლები, ვასო აბაშიძე, მკო საფაროვა-აბაშიძისა, კოტე შათირიშვილი, გედღონ გედევანიშვილი და საოპერო თეატრის ორკესტრი, რომელსაც ივანე ფალაიშვილი დირიჟორობდა. „მასკოტას“ ზეატრის ფავალიშვილისა და კოტე შათირიშვილის საყვარელი ოპერეტა იყო. ვ. აბაშიძემ ამ ოპერეტაში ბრწყინვალედ განასახიერა პერეო ღორანის როლი, ხოლო მკო და მათი ქლონოტილ ტასო შეუდარებელი ბუტინა იყო. ამ სამეურებას განამტკიცა ქართულ სცენაზე ამ ოპერეტის არა მარტო საშემსრულებლო ტრადიციები, არამედ მისი სადადგმო სტილი. ვ. აბაშიძემ წინა პლანზე წამოსწია სოციალურ-ყოფითი თემა, თანმიმდევრად „მასკოტას“ საოპერეტო ვარსის ერთ-ერთ დემოკრატიულ ნიმუშად. ამ პოზიციით მიუდგა ახალგაზრდა თეატრი ოღრანის ოპერეტის სცენურ განხორციელებას. „მასკოტას“ ახალი მოთხოვნები წყვეტა თეატრს. და, აი, პირველად ამ კოლექტივს შემოემატა პატარა ორკესტრი, სადაც ისხდნენ ძმები ვალთიევი: ლაშარე — მგვილიანი და აბრამი — ვილონიჩელი, მგვილიანი ზსადამსკი, საყვირზე დამკვრელი შალვა ბალაშვილი და კიდევ რამდენიმე მუსიკოსი. „მასკოტას“ ძალიან კარგი სპექტაკლი იყო — მუსუბე, ღამაზი, პაეროვანი. დასმა გემო გაუგო კლასიკურ ოპერეტას. მისი დიდი მორტფიადობა იყო დ. ძნელაძე, რომელმაც შემდგომი ქართულ სცენაზე პირველად დადგა „ნი-

„ტუმი“, „სილვა“, „ბაიადერა“, „ოკოლომინა“, „მზიარული კერევი“.

თუ კლასიკურმა კომედია მუსიკით თეატრი მიიყვანა კლასიკურ ოპერეტათან, ქართულმა კომედია და ვოდევილებმა მუსიკით ვეცა გაუგავს პირველი ორიგინალურ მუსიკალურ კომედია. ვ. ცაგარეის „საფარაშვი“ (1938 წ.) მოხდა შერწყმა ორი ძირითადი საწყისისა — ტრადიციული საოპერეტო ფორმისა და ეროვნული მუსიკალურ-კომედური ვარსის ნიშანდობლივი თვისებებისა. უფროსი თობის მსახიობებს დღესაც ასსოვთ „საფარაშვი“ მგლოდები. ისინი იმდენად სასიამოვნო და ადვილად დასამახსოვრებელი იყო, რომ ხალხში სრულდებოდა, როგორც დღეს პოპულარული სიმღერები კინოფილმებთან.

თეატრში ხმა გავარდა — ახალი ოპერეტა უნდა დაიდგას და მისი დადგმა დირიჟორ არჩოლ ჩხარტავის დადავლესო. არჩვენამა დასის აღფრთოვანება გამოიწვია — სტოტგარდტის და ფრინძალ ოპერეტა, როზ-მარი — იდგებოდა საბჭოთა კავშირის საუკეთესო საოპერეტო სცენებზე. მით უფრო რთული იყო დაგონებული სადადგმო სტილის გადალახვა ა. ჩხარტავის მონაქრისა ეს. მის 1940 წ. იმდენად თავისებური სპექტაკლი შექმნა, რომ იგი ეტალონად იქცა არაერთი თეატრისათვის და ქართული მუსიკალური კომედია თეატრის ოქროს ფონდი შევიდა. ინტერესს იწვევდა უკვე თვით აფიშა — ცხენზე მჯდარი კოფოი ლასოს უმიზნებს დიდი ღამაზ ვარდს. თეატრში მოსულ მაყურებელს ეგებებოდა ნაცნობი აფიშა, უკვე უნდაზე გამოხატული. ეს ფარად შემდგომში არაერთხელ თამაშდებოდა სპექტაკლში და მას დინამიზობას ანიჭებდა, აღრმავებდა და ანზოადებდა მის იდუარაზს. იდეა კი, მართლაც რომ, დრმა იყო. ჩვეულებრივ საოპერეტო წყვილთა დაპირისპირების ნაცვალად ა. ჩხარტავის წინა პლანზე წამოსწია ფურადგინათანა ბრძოლა თავისუფლებისათვის, გააძლიერა სოციალური მოტივი და მიუღამ წარმოდგენას ახალი სული შთაბერა. მასობრივი სცენები თავის იტყვევად მასშტაბურობით და დინამიკურობით. გუნდი ხალხი რომ არ ყოფილიყო, მიუღდა დასს ათამაშება სპექტაკლში. ის ვინც გუნში მთავარ როლს თამაშობდა, დღეს გუნდში გამოდიოდა. ამგვარი შენაცვლების პრინციპი დამკვიდრდა თეატრში და დიდი სარგებლობაც მოქონდა თეატრისათვის და მსახიობებისათვის. ეს იყო მათთვის დიდი პრაქტიკა. საანსამბლო სცენები მაღალ დონეზე იდგა ვოკალურად და და აქტიორულად. დიას, ეს ნამდვილად ანსამბლური სპექტაკლი გახლდათ, რომელშიც ყველა მონაწილე, მათ შორის, ოპერის მსახიობები როდე-ჩიკავაძე და გუგუნავა, მუსიკალური კომედია თეატრის უკვე გამოცდილი მსახიობები ა. მექვიანიშვილი, ე. ციმაკურიძე, ნ. თულაშვილი, თუ ახალგაზრდები ვ. საღარიძე, ნ. მოსქვილი, ვ. იანვარაშვილი, თავისუფლად და ლაღად გრნობდნენ თავს სცენაზე.

ა. ჩხარტავილმა არ დაუკარგა ოპერეტას მისი ბუნება, მისი სიხალისე, ბრწყინვალეობა, მისი შარმი. „როზ-მარი“ უაღრესად ეფექტური სპექტაკლი გამოვიდა. მან მტკიცედ დაარწმუნა დასი იმაში, რომ ჩხარტავილი მიუვლინა თეატრს საოპერეტო ვარსის საუცხოო მცოდნე.

ეს სპექტაკლი მარტო ჩხარტავის არ შეუქმნია. მას თანამოაზრენი იძოვა დირიჟორ კოტე მაჩაბლის, მხატვარ ირი-შტენგერტისა და ქორეოგრაფ პავლე მჭავრავანის სახით. კ. მაჩაბელი არ იყო დირიჟორ-პროფესიონალი. მაგრამ იგი უღრმად პასუხისმგებლობით მოიყვანა თავის მოვალეობას

ამ თეატრს კ. მაიაშვილი ოპერეტისადმი დიდმა სიყვარულმა მოიყვანა.

ი. შტენბერგს საკუთარი და საკმაოდ მკაცრი დამოკიდებულება ჰქონდა საოპერეტო განზრახვას. ოპერეტა ვერ იტანს უფროსობას, სტატიურობას, სიმძიმეს და ამიტომ ყოველნაირად ცდილობდა ისე გაეფორმებინა სპექტაკლები, ისე შეემოსა მსახიობები, რომ მაყურებელს სიხარული და საიმოვნება განეცადა.

„საყვარული ოპერეტისადმი ჩამინერგა ჩემთვის სათავგანებელმა ადამიანმა, ჩემმა მასწავლებელმა — კოტე მარჯანიშვილმა, ვინ იცის, რამდენ დავკარგავდი, როგორ გავაღიანიდებოდი, ეს სიყვარული რომ არაა! — დ. მაჭავარიანიმანათვის შემოქმედების შესანიშნავი წლები საოპერეტო თეატრში გაატარა. იგი მხოლოდ საბალეტო ნიშნებს რიდი დავამა, მას ყველაფერი ეხერხებოდა. საოპერეტო თეატრისათვის იყო განიხილი. ამიტომაც ასე კარგად ერკვეოდა ყანრის სპეციფიკაში; ის იყო დამდგმელი და ჰიანისტი, ქორეოგრაფი და კონსერვაციისტი. რამდენჯერ ამოდგომია გატირებვის დროს თეატრს მხარში, რამდენი უფარვანია უსასიოდლოდ, რამდენჯერ გადაგრჩენია სპექტაკლი რეჟისორისაგან. მას ხომ იმპროვიზატორის ბრწყინვალე ნიჭი ჰქონდა.

მაგრამ დ. მაჭავარიანის მოღვაწეობის ეს მხარეები თითქმის უხილავი რჩებოდა მაყურებლისათვის. მას იცნობდნენ როგორც ქორეოგრაფს და ამ სფეროში მაყურებელი ხდებოდა მოწამე მისი ნიჭისა, გამოთვლებლობისა, ფანტაზიისა. მის მიერ დადგმული ცეკვები მხოლოდ ტრადიციული საბალეტო ნიშნები როდი იყო. ისინი დიდ, გამწვანებულ წარმოადგენდნენ და გამოირჩეოდნენ შინაარსით, ლგიკურობით, დრამატურობით. ამიტომაც ეს საცეკვე სცენები განაგრძობდნენ დამოუკიდებელ ცხოვრებას, სპექტაკლების რეჟერტურადიდან მოხსნის შემდეგაც. ისინი დღესაც ცოცხლობენ ქართულ თეატრდაზე.

ომი! მან დასს ქუთაისში მოუსწრო. თეატრი გასტროლებზე იყო. საქართველოს ყველა კუთხეში იცნობდნენ და უყვარდათ ეს კოლექტივი. ზაფხულში სისტემატურად გასტროლებზე დადიოდნენ. ახლა კი... სასწრაფოდ თბილისში უნდა დაბრუნდნენ. დიდი უნებდურება დაატყდა თავს საბჭოთა ხალხს. რა მოიღოს თეატრს? მიუხედავად უმძიმესი პირობებისა, საბჭოთა ხელისუფლებამ სცნო ხელოვნების მაღალი დანიშნულება, სცნო თუ რაოდენ დიდი აღმზრდელიობით და იდეურ-სესოტეკური როლის შესრულება შეძლო თეატრს იმ დროს. მსახიობები მობილიზაციისაგან განათავისუფლეს, მაგრამ მათთვის სულ სხვა ფორმტი, მათი ფორტი გახსნა, ანაწავლეს მძიმე და საპასუხისმგებლ. „ტკვირა არ გვხვდებოდა, თორემ ისე ნამდვილი ფორნტიუ ვიყავით... ჩიკოლოშ მოსუვილს, გატირებვის მიუხედავად, მაინც ბევრი რამ კარგი აგონდება.

... ზამთრის სუქიანი დილა. კარგად არც კი გათენებულა. სიცივე, შიმშილი, დეკანტული ადამიანები, დაღვრემილი სახეები. მუსიკალური კომედიის თეატრის შენაშაში დღეს მთელი კოლექტივის შეუყვარა თავი. თუ კოლექტივად შეიძლება ჩაითვალოს 22-24 კაცი. ზოგი დაიბიხოვს, ზოგი შეამცირეს, ზოგიც თვითონ წავიდა. ექანიერ ენთუზიასტთა ჯგუფია, არარსით არ მიატოვებენ საყვარელ თეატრს, დღეს უკვე არ არსებულ თეატრს. მას დღესაც ჩამოართარეს, დახუროს, ფოთი და პარტიერი გააუშუს. აქ ფეკილონი საყვარლები ინახება. აი, უკვე თითქმის ერთი წელია მსახიობები

ხელფასს აღარ იღებენ. მაგრამ დასი არ იშლება. გამოსავალი კვლავ თვით მსახიობები პოულობენ. რამდენიმე ვახტანგ საესტრადო ხასიათის პრივიდა შეკრეს და მცირეფორმისა სპექტაკლებს და კონცერტებს მარიაოდენე პოპსიკლებში, სახმელეთ ნაწილებში, რაიონებში. 500-ზე მეტი კონცერტი ჩაატარეს თეატრის წამყვანმა მსახიობებმა ამ წლებში, სწორად დღემი სამყარო-თხზურ უხდებოდათ გამოსვლა.

მწელად გადასაგებელია მის მისია, რომელიც იმის წლებში შეაარულა ქართული მუსიკალური კომედიის თეატრის ატიორულმა კოლექტივმა. მათ თან მოჰქონდათ სიცილი, მინიარება, კარგი გაწყობილება, რაც ასე ესაკირობოდათ იმ დროს ადამიანებს.

ვახტანგ სალარიო, ვარვარა ინვარაშვილი, ელენე ჩიხელი, ნიკოლოშ მოსეველი, ალექსანდრე ტურიაშვილი, გიორგი ტუმბაძე, ნინო თულაშვილი, მარგო ინგოლო, ივლიტა ჯორჯაძე, ბალეტის მსახიობები გიორგი ზოლოსივი და იდა ვაშტინი — ისინი ყველანაირ პირობებში გამოდიოდნენ სცენაზე, თამაშობდნენ, მიღროდნენ და ცეკვავდნენ, ოღონდ კი რიითადა მდგარიყო სოფიო გარბუშოვა ან დავით მაჭავარიანი. ისინი ისეთი გატაკებით უკავადნენ, ისეთ ცეცხლს ანთებდნენ სცენაზე, რომ მაყურებელთა დარბაზში რამდენიმე გრადუსით ავიარებოდა ტემპერატურა. ამ პირობებში აბგვარ ხელოვნებას არ უყვებოდნენ დიდ ჰრეტენიებს. ან კი სატირო იყო ეს? მხიარული სპესტრადო წარმოდგენები არ სვამდა და არ წყვეტდა დიდ პირობებებს, სამაგიეროდ, ისინი ადამიანებს სიხარულს ანიტებდნენ.

მაგრამ ეს არ იყო და არც შეიძლებოდა ყოფილიყო ერთადერთი გზა, რომლითაც თეატრს უნდა ევლო. სინამდვილე კიუტად მოიხიზოდა მისგან გარდაქმნას, გარდატეხას, სიხარულს. მუსიკალური კომედიის თეატრიც, საოპერეტო ხანრიც, ისევე როგორც სხვა თეატრები, მოვალე იყო აქაახა ხალხის პატიოტული სულისკვებება, მისი სიმაშაცე, მისი ერთულება სამშობლოსადმი. მუსიკალური კომედიის თეატრის წინაშე, განარს წინაშე დიდი სიმწელებები წამოიჭრა. რა რეპერტუარი შეუძლია შესთავაზოს ამ ხანრბა მაყურებელს, როდესაც მისი ფორმები და გამოწახველობითი ხერხები სულ სხვაგვარია, როდესაც კომედიურ-ბუფონური საწყისი მამში წამყვანია, როდესაც ახალ თემატკიას, ახალ იდეურ-შინაარსს წინ აღუდგება საოპერეტო პირობითობა. ქართული მუსიკალური კომედიის თეატრმა გვერდი არ აუხვია იმ ძებნას, რომლებიც დამახასიათებელი იყო ამ ხანად საბჭოთა საოპერეტო თეატრისათვის. ის ცდილობს შეიარაღდეს ახალი ხერხებით. ნეოენის ტრადიციულ საოპერეტო ფორმას, მის რეტურტკებს, მის მუსიკალურ დრამატურებას ახლა თვით ცხოვრება უარყოფს. საოპერეტო თეატრის სცენაზე სულ სხვაგვარი ოლიტერატურული მასალა, სულ სხვაგვარი დრამატურული შემოღობა. იცვლება მუსიკის ფუნქცია, მისი იდეურ-აზრობრივი დატვირთვა, მისი ეთიკური დანიშნულება. სცენაზე მოქმედებენ დღევანდელი ადამიანები. ისინი კი მსახიობებისაგან სხვა საშემსრულებლო მანერას, გარდასახვის სხვაგვარუნარს, სხვა ლენკასა, სხვა ხელწერას მოითხოვენ.

რთული და საკმაოდ ხანგრძლივი აღმოჩნდა ჭიდილი და კანონებზე ფორმება და ახალ შინაარსს შორის. ამიტომაც პირველად სპექტაკლებმა, განხორციელებულმა საბჭოთა საოპერეტო თეატრის, და კერძოდ, ქართული მუსიკალური კომედიის თეატრის სცენაზე, ვერ გაუძლო ამ ჭიდილს. ისინი



სცენა სპექტაკლიდან „ლამინჯელი“

უფრო, სიუჟეტურად გულბერყვილო და მიამიტი, ნაკლებად დამაჯერებელი აღმოჩნდა. საგულისხმოა, რომ უფრო მონღებიანად გამოიყურებოდა ის ეპიზოდები და სცენები, რომლებშიც მონაწილეობდნენ უარყოფითი პერსონაჟები, რადგან აქ ავტორები მოზერზებულად იყენებდნენ გროტესკის, სატირის, ბუფუნადის უკვე ნაცად ფორმებსა და ხერხებს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამ სპექტაკლეს მინც გააჩნდა რაციონალური მარცვალი, მათი ხალისიანი იუმორი,

სცენა სპექტაკლიდან „ჩემი მშვენიერი ლეი“



ობტინისტური ძღერადობა ამ წლებში ძალას მატებდა და მატებდა რგებელს.

ადვილად ასახსნელია, თუ რა მიზნით მიმართავს ამ დროს ქართული მუსიკალური კომედიის თეატრი საბჭოთა მუსიკალურ-სცენური ხელოვნების საუკეთესო ნიმუშებს, იმ ნიმუშებს, რომლებშიც განსაკუთრებული ძალით იყო გამოკვეთილი პატრიოტული თემატიკა. ეს ნაწარმოებები გადმოტანილი ქართულ სცენაზე ადვილობრივ კოლორიტს, ეროვნულ ელფერს იძენდა. ქართველი მსახიობები ანიჭებდნენ თავის გმირებს სპეციფიურ თვისებებს და ეს გმირები კიდევ უფრო უახლოვდებოდნენ აქაურ მაყურებელს.

თანდათანობით იზრდება და მიდრდება თეატრის რეპერტუარი — თანამედროვე ნაწარმოებები და საოპერეტო კლასიკა კარგად უთავსდება სცენაზე ერთმანეთს.

თეატრს თავისი შენობა დაუბრუნეს. ის უკვე დაძველდა, დარბაზი შესაკეთებელია, გათბობა არ არის, გარდერობის ნაკლებობაა. მსახიობებს თვითონ უნდებოთ თეატრის დალაგება, გასუფთავება, სცენის წესრიგში მოყვანა, კოსტუმების დაუთოება, გრიმის გაკეთება. ისინი ზოგჯერ კონტროლზედაც კი დგანან. მაგრამ, მიუხედავად ამისა, კოლექტივი მაინც კმაყოფილია, მათ სპექტაკლებს დიდძალი მაყურებელი აწვევდა.

ომი ჯერ არ დამთავრებულა. დარბაზში პალტოებში, ქურქებში სხედან, სიცხევა. სცენაზე კი სიცოცხლე ჩქეუს, მომხიბვლელი ღიმილით მღერიან და ცეკვავენ მსახიობები მსუბუქ, ჰაეროვან ტანსაცმელში გამოწყობილნი, ლამაზი დეკორატიანი კაბებით. ოპერეტა ხომ გაზაფხული, სიხარული, დღესასწაული!

ომის წლებმა, სისტემატურმა გასტროლებმა ჩაღიან დაახლოვა თეატრი მაყურებელთან. ის ერთ-ერთ საყვარელ თეატრად იქცა საქართველოში.

რთული და გკლიანი გზა განვლო ვ. აბაშიძის სახელობის ქართულმა მუსიკალურმა თეატრმა. ის იმარჯვებდა და მარცხდებოდა, პოულობდა და კარავდა, კარავდა და პოულობდა. დასრულდა ომი. თეატრის შემოქმედებით ცხოვრებაში ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და ნაყოფიერი პერიოდი იწყება — დასის დაოსტატების, რეპერტუარის გამდიდრების, კოლექტივის პროფესიული ზრდისა და დაოსტატების პე-

რიოდი. თვატრში მოვიდნენ ქართველი დრამატურგები, პოეტები, კომპოზიტორები. მოვიდნენ ღირთეულები, პროფესიონალი-ვოკალისტები, ორკესტრის მუსიკოსები, ბალეტის წინახიობები.

თვატრმა მასურებელი შეიძინა — ერთგული, უშუალო, კეთილმოსურენ. ყველანაირი მასურებელი დადიდა — ახალგაზრდები, მუშა მოსამსახურეები, ინტელიგენცია. ბევრი მათგანი დღესაც ერთგულია ამ თვატრისა.

სპექტაქლური ამსომედეგობი წლები თვატრალური რეპერტუარი. დრამატულ თვატრშიაც კი თავს იჩენს სწრაფვა კომედური ჟანრისადმი, საოპერო თვატრები თავიანთ სცენაზე თაქრეტებს დგამენ. ხალხი, რომელმაც ამდენი განსაცდელი გადაიტანა, აქლა სიციცხლით ჩვენი ოპტიმისტური ხელოვნებისაკენ მიიღტეს. ეს ტანდენცია სცენაზე ქვეყნის წამყვანი თვატრებიდან მომდინარეობს და თავისებურ განვითარებას პოულობს რესპუბლიკებში. რა გასაკვირა, რომ მუსიკალური კომედიის თვატრები ამ პერიოდში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობენ, ხოლო მათი რეპერტუარი ესოდენ საყვარელი ხდება მასურებლისათვის.

ქართული მუსიკალური კომედია, ერთგული ოპერეტა სულ უფრო მტკიცედ მკვიდრდება სცენაზე. მართალია, მისი პირველი, ასე ვთქვათ, სრულმეტრეატიანი ნიმუშები ცოტა ადრე შეიქმნა. ესენია ვ. ცაგარევილიან „სამთა სიყვარული“ (1945 წ.) და ა. კერესელიანის „სახაიობის სიყვარული“ (1945 წ.).

შესანიშნავი კვალი დატოვა ჟანრის განვითარებაში არჩილ კერესელიანი. იგი კარგად ერეკვედა საოპერეტო ხელოვნების სპექტაკლში, წყარადა მათზე, სადა, მეოღებელი მუსიკას. მან უხვად შემოიტანა თავის ნაწარმოებებში ქართული ქალაქური ფოლკლორი, რითაც გააფართოვა ჟანრის ინტონაციური სფერო.

ჟანრის სტილისტური თვისებების ფორმირება არასოდეს არ ყოფილა ასეთ ურთიერთკავშირში თვატრის ზრატკიკულ მოღვაწეობისთან, როგორც ამ წლებში. თვატრის პროფესიონალი დონის ზრდად სტრუქტურული მსაკარული მუსიკალური კომედებისა და ორიგინალური მიმეტრეტების განკუთრებას. თვატრი შემოქმედებითი ლაბორატორია ხდება დრამატურგებისა და კომპოზიტორებისათვის. იმავედა საუკეთესო სპექტაკლები, როგორც შედეგი აქტიურული კოლექტივის შემოქმედებითი პოტენციალის მაქსიმალური გამოვლინებისა. თვატრი, რომელმაც კომედური მსახიობების ასეთი ბრწყინვალე პლეადა გააჩინა, ჰქონდა ამის საშუალება.

ვახტანგ სალონიძე, ვარკავა ინგვარაშვილი, ნიკოლოზ მოსევილი, ალექსანდრე ტურიაშვილი, ელენე ჩიხელი, იოსებ ქუთათელაძე მატარებელი იყვნენ ქართული მუსიკალური კომედური ნიჟასა, შესაბამისი საშეუარებლები მოსაყვამისა. მათ მიერ შექმნილი სახეები დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ ასეთი იყო ვ. ინგვარაშვილის სიციცხლით სავსე საოპერეტო სუბრეტები — ჟანა, ლიზა, მარეტა და ზღაპრული ყაიდაზე მცხოვრების სოფელი კვიკიას მკვიდრად გროტესკული სახე, ნიკოლოზ მოსევილის ხალხია, მართალი, დასავლური იუმორით დაჯილდოვებული ტიპები — იმერელი კობაკია, მერგული ოთარ ჩიტია, ან მხიარული ველოსიპედისტი ურაი; ელენე ჩიხელის, სიცილის ოპტატის, გმირები — კახელი ქალი თამარი, მისივე სოფლის ჭირიკანა, ვასილი ან მკითხავი სონა... ალექსანდრე ტურიაშვილის გულღია, თბილი ავტოკა და ვანუა, დებილი ჰამლეტია, ან გულ-

ჩაიხრობილი მძლოლი ნიკა... იოსებ ქუთათელაძის მიერ სუტად აღმონი გურული კავიანზე სცენური პორტრეტების გიგანტური ნაწიში ტრანსონი, კოლექციონი ოსედა და თათარი მუზიკონა... ასევე როლები გიორგი ჭუმბაძისა, რომელსაც „კომუნალური პერსონაჟების ოსტატია“ შეარქვეს... ვახტანგ სალონიძის, — ამ ჟრინის, ფართო აქტიურული დიაპაზონის წინახიობის ერთმნიშვნელოვან ესოდენ განსხვავებულ, მარცხი ერთნაირად მომხიბვლელი სახეები: მოხდენილი ბონი, დარდმინადი გურამი. ხალხი ბუნების ჟიოჯი, ან მკვეთრად კომედური ტიპადა, და კიდევ რამდენი ასეთი დაუვიწყარი სახე შექმნეს ამ ნახაობებში!

ამ წლებში რამდენიმე სეზონის განმავლობაში სცენიდან არ ჩამოღებულა შემდეგი მუსიკალური კომედია და ოპერეტები: „ობობისის ცის ქვეში“, „ბრწყინვალე მომავალი“, „ერთხელ გაზაფხულზე“, „მგობრები“, „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“. მასურებელი დიდი სიმოვნებით შეხვდა „არშინ-მალ-ალანის“ (1943 წ.) გამოჩენის ქართულ საოპერეტო სცენაზე. ამ სპექტაკლმა დიდი პოპულარობა მოიხვეჭა. სპექტაკლის წარმატებას დიდად შეუწყო ხელი რეჟისორ ბ. გამკრეკელის და მნატკრეკ ნ. ყახბეჯის ნამუშევარი.

„არშინ მალ-ალანის“ ბ. გამკრეკელის პირველი დიდი ნამუშევარი იყო ამ თვატრში. ამიერიდან მან თავისი შემოქმედებითი ცხოვრება ამ კოლექტივს დაუკუვერა. მას მხუნებრედ შეუყვარდა ოპერეტა და განახორციელა აქ არაერთი საინტერესო დადგმა: „ლალი ქარი“, „გურუკას ქორწილი“, „ბაბაჟანის ქოშობი“, „არშინ მალ-ალანში“ მან გააძლიერა და წინა პლანზე წამოსწია ნაწარმოების ნამოსავლური კოლორიანი, შემოიტანა საზარული ლირიკის აღმუშები, მკავიურად გამოკვიტა სცენური სახეები. უკვე ამ სპექტაკლში გამოვლიდა გამრეკელის სადადგმო სტილის ორი დამახასიათებელი თვისება; ის ყოველთვის ცდილობდა გაეძლიერებინა კომედური საწყისი და მწინადა ვერადოვან, სახასიათო წარმომგებებს.

თვატრში მოვიდა ახალი ხელომდგანელობა, მან გეზი კლასიკისკენ აიღო. ახლა ეს არა მარტო დიდად მნიშვნელოვანი იყო, არამედ რეალურად ბევრად უფრო ადვილად განახორციელდა, ვიდრე ოდესმე. ახალი დირექტორი აკაკი შანიძე დიდხანს მოღვაწეობდა თვატრში და არა იმიტომ, რომ იგი ზრწყინვალე ორგანიზატორი აღმოჩნდა. მთავარის ის, რომ ა. შანიძე ზრუნავდა თვატრის პროფესიული, მხატვრული დონის ამაღლებაზე და ამ მხრივ ბევრი რამ შემატა კოლექტივს. მარტო მოსკვის გასტროლებმა რაოდენ დიდი როლი შეასრულა თვატრის ცხოვრებაში. თვატრის პირველად გავიდა ფართო საკუთარი ასპარეზი. მისი მიღწევები დირექტორად შეუახლოვდა საოპერეტო ჟანრის გამოჩენილმა სპეციალისტებმა — მ. ინკოვსკიმ, ნ. ელიაშვილმა, ე. შატნოვსკიმ, კ. საკვამ, რომლებმაც იგი მიიჩნეს წინე ქვეყნის ერთ-ერთ საუკეთესო საოპერეტო თვატრად. ა. შანიძე საოცარი ენერჯის მქონე ადამიანია. მას დიდი წვლილი მიუძღვის ახალი შენობის აშენებაში. მიუხედავად იმისა, რომ პირობები შეშინებისათვის უმძიმესი იყო — დასი ხან სად ემყოფიოდა და ხან სად, თვატრის შემოქმედებითი ცხოვრება ერთი წუთითაც არ შეწყვეტილა. ათი წლის განმავლობაში ა. შანიძის მტკიცედ უღვა მხარში დასის გამგეობა ხელაშვილი.

თვატრის მუშაობს დიდ საოპერეტო ფორმაზე ამისათვის მას სჭირდება ნამდვილი პროფესიონალი-ვოკალისტები, ღირთეულები. სჭირდება სრული გუნდი, ორკესტრი. სახალტო დანი. თვატრის ხელმძღვანელობას ესმის ეს და სწორედ ამო-



ტომ იწვევს დირიჟორებს — მ. ბორჩხაძეს, თ. კობახიძეს, მოგვიანებით — ს. კორკოტაშვილს, რ. ხერციკიას. მათ აქ უკვე დახმად ამ კოლექტივში დიდხანს ნამუშევარი, გამოცდილი მუსიკის ოპ. კახიანი. თეატრში მოვიდნენ ქორეოგრაფები — ჯ. ბაგრატიონი, რ. წულუკიძე, ო. ლიკაძე, მხატვრები: ფ. ლაპაიშვილი, მ. ლითინიშვილი.

გულმოდინდებ მუშაობდა ვოკალისტებთან, ორკესტრთან მიხედვით პორჩხაძეს. მან ახალდა მუსიკოსებში პასუხისმგებლობის გრძობა, შესწავლა კოლექტივის არაერთი საოპერეტო პარტიტურა. ის სისტემატურად ამყვინდებდა ვოკალისტებს, განსაკუთრებით ყურადღებას აქცევდა ფრაზირებას, გემოვნებას და, რაც ყურადღებ მნიშვნელოვანი იყო ამ ჟანრისათვის, სიმღერის ბუნებრივ გადასვლას სალაპარაკო ტექსტზე.

მის გზას გაჰყვა შემდეგ თეიმურაზ კობახიძე. ის იბრძოდა ნუსტრულების კულტურისათვის. მასთან შესწავლილი ვოკალური პარტიტები ახლაც კარგად ახსოვთ თეატრის მსახიობებს. ამ წლების მონაპოვრებმა შეუწყო ხელი რეჟა ხერციკიას, განსაკუთრებით მოსკოვში გასტროლებს ჩაატრიალეს.

თეატრის რეჟისურა მჭიდრო კონტაქტშია მუსიკალურ ხელმძღვანელობასთან, რამაც დადებითად იმოქმედა სპექტაკლებს მის მხატვრულ დონეზე. იმ დროის სპექტაკლები გამოირჩევა მასშტაბურობით, თეატრალიზით, მუსიკალურ-სცენური მოქმედების ყველა ელემენტის შერწყმით, შინაგანი ლოგიკურობით.

სწორედ აზროვნების ლოგიკურობაა ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისება შოთა მესხის რეჟისორული ხელწერისა, რომელიც ამ პერიოდში დანიშნულია თეატრის მთავარ რეჟისორად. მისი მეორე, არანაკლებ ძვირფასი თვისება ისაა, რომ მას მსახიობის სჯერა. ამ რწმენიდან გამომდინარე დგამდა ის თავის სპექტაკლებს და მსახიობს თითქმის არააოდე არ უღალატია მისთვის. შ. მესხის ერთ-ერთი საუკეთესო ნაშეუქმური დრამატურე ლ. ტუბანაიას და კომპოზიტორ შ. მთიურავას „სიმღერა თბილისზე“ (1958 წ.) ათი წლის განმავლობაში არ ჩამოდიოდა სცენიდან, ის სამჯერ აღადგინეს, ამ სპექტაკლით დაიწყო თეატრის გასტროლები მოსკოვში.

საეტაპო სპექტაკლად იქცა თეატრისათვის „პერიკოლას“ (1955 წ.), მასში მონაწილეობდნენ კარგი ვოკალისტები, გამოდილი მსახიობები. გაზრდილია ორკესტრმა და გუნდმა დასდლია თფნობახის საოპერეტო პარტიტურა. „პერიკოლას“ დადგმა იმით იყო მნიშვნელოვანი, რომ მასთან დაკავშირებულია სამი ახალგაზრდა ვოკალისტის მოსალა თეატრში. ისინი შემდგომ ამ კოლექტივის ძირითადი ბირთვი გახდნენ — ე. გურაშვილი, თ. მერკვილაძე, თ. ბახტაძე. არც ერთ მათგანს მანამდე არ უფიქრია თავისი შემოქმედებითი ბედი საოპერეტო ჟანრთან დაკავშირებითა. დღეს, ვერც ერთ მათგანს ვერ წარმოუდგენია თავიან შემოქმედების ცხოვრება ამ თეატრის გარეშე: ახალგაზრდებს აქ დახედნენ მიხეილ ბერიაშვილი — თეატრის ერთ-ერთი პროფესიონალი-ვოკალისტი, ერთ-ერთი პირველი „ფრაკის გმირი“, ქ. კობახიძე, ნამდვილი საოპერეტო მსახიობი, რომელმაც ვერ კიდევ ორმოციანი წლებში დენიზას მომზიბღვლელი სახე შექმნა ერეკს „მანდიუზელ ნიტუში“. მალე ამ ახალგაზრდებს შემოემატნენ კონსერვატორია დამთავრებული ვოკალისტები — ჯ. თალაკაძე, თ. ხელაშვილი, რამდენიმე წლის შემდეგ ი. ბოჭორიძე.

„პერიკოლას“ მოჰყვა „მონმარტრის ია“ (1983 წ.), რომ-

ელიც აკაცი ვსაძემ დადგა, აგრეთვე საბჭოთა საოპერეტო კლასიკა — დუნევესკის „ლდი ქარი“, მილუტინის „კარაიშა“ ტას კონცა“ (რეჟისორი უ. დარჩია).

საოპერეტო მუსიკალური კომედიის თეატრი იძენს ნიჭიერ საოპერეტო მსახიობებს ე. გურაშვილსა და თ. მერკვილაძეს. პერიკოლა, ვიოლეტა, ჩანჩბა, მოვიანებით ქართული მუსიკალური კომედიების და ოპერეტების ლირიკული პერსონაჟები — ე. გურაშვილის შესრულებით მაყურებლის სიმაბოთიებს ინსაზურებს საზნობით, სინაზით, კდემასოსილებით. არი თეატრი წყლია თ. მერკვილაძეს მიჰყვა თეატრის ძირითადი რეჟისორი. ის არა მარტო მაღალი კლასის საოპერეტო მომღერალია, დრამატული მსახიობიაც და საუკუნით პარტიტორია, რომელთანაც სამოქმედო და შინაგანი შემოქმედებითი დისციპლინის დიდი გრძობით გამოდიოდნენ და გამოდიან სხვადასხვა თაობის მსახიობები, განსაკუთრებით კი ისინი, ვინც უშუალოდ არიან დაკავშირებული მის გემრებთან: თ. ხელაშვილი, თ. ხელაშვილი, თ. ბახტაძე, ნ. პიპინაშვილი, ა. ნებიერიძე, ა. გოგორიშვილი, ვ. ჩხენიკელი. მაგრამ თ. მერკვილაძის მრავალმხრივი ნიჭი არ გამოვლინებულა არც უცხად და არც იოლად. მისი ლირიკული, უმთავრესად დადებითი გემრები მიმოიდგენენ იყვნენ, მაგრამ ზოგჯერ ერთმანეთს ჰგავდნენ. თ. მერკვილაძე ცდილობდა მუსიკალური დასასიათებით, ვოკალური ინტერპრეტაციის ხერხებით მიეწევივნა თავისი სახეებისათვის მკაფიო ინდივიდუალობა. ის აგულმოდინდებ დაძებდა არატრადიციულ, უჩვეულო ხერხებს. მერიკოლა, ცყვეავა, მისი პოპულარობა დლითიდლე იზრდებოდა და აქუტად ელოდა თავის ახალ გვირს. ეს აღმოჩნდა ემა „ჩემ შემოილო ძამში“, რომელმაც ახლებურად გაააზრებინა თ. მერკვილაძის საოპერეტო ჟანრი. მან შესძლო საოპერეტო სცენაზე დრამატული ხელოვნების მაღალ დონეზე ასკლა. ამიტომაც თავის შემდგომ როლიდან ალიდნა — დღესდინასთან თ. მერკვილაძე დასტატებულ ი მოვიდა.

კლასიკამ დიდი სარგებლობა მოუტანა თეატრს. მაგრამ მისი ძირითადი საზრუნავი მაინც მანამედროვე რეპერტუარი იყო. მას უნდა შეექმნა თეატრის ინდივიდუალური სახე, უნდა გამოემქვადგებინა დასის საშემსრულებელი სტილი, უნდა ეპასუხა მაყურებლის ახალი მოთხოვნილებებისათვის. ამის პასუხისმგებელი, უპირველეს ყოვლისა, ქართველი დრამატურები და კომპოზიტორები უნდა ყოფილიყვნენ. საწინააზროდ, თეატრმა ვერ დაამყარა ისეთივე მჭიდრო კონტაქტები დრამატურებთან, როგორც კომპოზიტორებთან. ეს საკითხი დღესაც გადაუჭრელი დარჩა.

საბჭოთა ოპერეტოს ვიოლეტა მიმდინარეობდა მონათესავე მუსიკალურ ჟანრებთან მჭიდრო კავშირში. მუსიკალური კომედიის სტილიტური თვისებების ფორმირებში გადამწყვეტი როლი შესრულა, ერთი მხრივ, საბჭოთა მასობრივმა და, მეორე მხრივ, საესტრადო ხელოვნებამ. სასიმიდრო ოპერეტა ჩვენი მაყურებლის განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა. მკაფიო, მელოდიური, ადვილია და სასამსოყრებელი სიმღერა ის ძირითადი ფორმაა, რომელსაც თითქმის ყოველთვის მიეილი ნაწარმოების იდეურ-მხატვრული ხაზის და მისი ემოციური ტონუსის განსოვადება ეისრება.

მევი არ დაუწერია საოპერეტო თეატრისათვის რეჟა ლადიძეს, მაგრამ ის, რაც მან შექმნა, დარჩა კანრის ისტორიაში. საუკეთესო ნაწყვეტები მისი „მეგობრებიდან“, „კომბოლდან“

სცენიდან ხალხნი გავრცელდა და დღესაც ცოცხლობს ჩვენს ყოფი-ცხოვრებაში.

ქართული ოპერეტის განვითარების ისტორიაში დიდია შოთა მილორავას ლეგალი. მისი ოცდაერთი ოპერეტა მხოლოდ კომპოზიტორის შემოქმედებითი გზის ევოლუციას როდი წარმოადგენს. მისი საუკეთესო ოპერეტები მეტწილად ქართული მუსიკალური კომედიის თეატრის ევოლუციასაც ნიშნავს. შ. მილორავა ამ თანრის ოსტატია. ამაში გვარწმუნებს ისეთი ნიმუშები, როგორცაა „სასაბოები“ (1952 წ.), „სიმღერა თბილისზე“, „საყვარელი დისშვილი“ (1956 წ.), „სამი უფროსის მასხური“ (1961 წ.), „პაემანი ცამში“ (1976 წ.). კომპოზიტორი თავისუფლად ფლობს რთულ საოპერეტო ფორმებს, კარგად ერკვევა თანრის სტრუქტურაში. იგი უშუალოა, გულწრფელი, მაყურებელთან ადვილად ამყარებს კონტაქტს ნათელი მელოდიური აზროვნების წყალობით. მილორავას საოპერეტო პარტიტურების საუკეთესო ლირიკული ფურცლები სათავეს იღებენ ხალხურ შემოქმედებაში. მისი ნაწარმოებების ერთ-ერთი ძირითადი ინტონაციური წყაროა დასავლეთ საქართველოს მუსიკალური ფოლკლორი, რომელსაც კომპოზიტორი საუცხოოდ იცნობს. მილორავას იუმორის გრძნობა გაანინია, ის კარგად გრძნობს ყოფითი კომედიის ბუნებას, მსუბუქად და გამომგონებლობით აორქსტრებს თავის ოპერეტებს. შ. მილორავა იმდენად დაუახლოვდა თეატრის კოლექტივს, რომ ყოველი მისი ნაწარმოები დასთან მჭიდროდ შემოქმედებითი ურთიერთკავშირის ნაყოფია.

ამავე პერიოდში მოვიდა თეატრში გიორგი ცაბაძე. მან მოწოდებით მიიტანა თეატრში თავისი პირველი მუსიკალური კომედია. მას მოჰყვა „შესანიშნავი სამეული“, „კურკას ქორწილი“, „ჩემი შეშლილი ძმა“. გ. ცაბაძე გავიდა საკავშირო ასპარეზზე. ესტრადასთან მჭიდროდ დაკავშირებულმა

პ. ოცხლი კოსტუმის ესკიზი სპექტაკლისათვის „საკაენის ოანზე“



კომპოზიტორმა საოპერეტო თეატრში შემოიტანა თანამედროვე სასტრადო მუსიკისათვის დამახასიათებელი დინამიკა, ემოციურობა, რიტმული გუნება, გრძობიერება. გ. ცაბაძე მელოდიკთა, უპირატესობას სწორედ ამ საწყისს ანიჭებს. მის მუსიკალურ კომედიებსა და ოპერეტებში ეს საწყისი უმთავრესად ქართული ქალაქური ფოლკლორის თემატურ მასალას ეყრდნობა. გ. ცაბაძის შემოქმედებითი სტილის თვისებები ყველაზე სრულყოფილად და მკაფიოდ „ჩემ შეშლილი ძმაში“ (1967 წ.) გამოვლინდა. კომპოზიტორმა და დრამატურგმა (ე. შატნუფსკიმ) ორიგინალურად გაიასურეს ტრადიციული საოპერეტო ფორმა — ტრაგიკომედიალ დადაქციეს.

„ჩემი შეშლილი ძმა“ დიდი ფორმის მუსიკალურ-დრამატული ნაწარმოებია. მასში დასმულია აქტუალური სოციალური პრობლემები. ოპერეტის სცენაზე დაკანონებული კომედიურ-ბუფონური საწყისი შეიცვალა დრამატული კოლიზიებით, ფსიქოლოგიურობით, სიმწიფიანობით. აქ ზომიერდებენ ძლიერი ადამიანები, მკვეთრი ს.ხანათები, რომელიც წარმოსაჩინდა კომპოზიტორმა მსატრულ სახეთა ინდივიდუალიზაციის ხერხს მიმართა. ამან საშუალება მისცა დასს, რომელიც იმხანად ნიჭიერი ახალგაზრდებით შეიცომა, კიდევ ერთხელ გამოევილინა თავისი შინაგანი პოტენცია. მატყვი ომერეკსიმ, რომელმაც დიდი ტემპარამენტითა და გატაცებით დადგა ეს სპექტაკლი, აღნიშნა: „ამ კოლექტივისაგან თავისუფლად შეიძლება ორი სრულყოფილი დასი შეიქმნასო“. ყოველი მსახიობი ქმნიდა შთაბეჭდველ მუსიკალურ-სცენურ სახეს. მაყურებელთა მოწონებას იმსახურებდნენ ა. დანაიანი, ც. ალიყვა, მ. მინდიაშვილი, ლ. დათუკაშვილი, ო. ბაზლაძე, ე. პეტრიაშვილი, თ. კოდანაშვილი, მ. ლალიძე.

„ჩემმა შეშლილმა ძმამ“ და შენდევ კი ხუბუნ ცინკადის „სიმღერა ტყეში“ (1969 წ.) მკაფიოდ გამოავლინა ის ახალი ძენები, თავი რომ იჩინეს საოპერეტო თეატრში. ფართოდებდა თანრის საზღვრები, იცვლება მისი ფორმები, გამომსახველობითი ხერხები. ოპერეტისათვის უკვე აღარ არსებობს „აქრძალული“ სიუჟეტები, ის თავისთავს ყველაფრის უფლებას აძლევს.

„სიმღერა ტყეში“ ოპერეტა-პამფლეტია. ლევან ჭუბანრია, ზიესის ავტორი, მრავალი წლის მანძილზე მოღვაწეობდა ამ თეატრში. მახვილმა თვალმა, იუმორის თანდაყოლობა

ი. მტენბერგი კოსტუმების ესკიზი სპექტაკლისათვის „პოპოში“





გრძობამ, ჟანრის სპეციფიკის შეგრძნებამ თავი იჩინა მის საუკეთესო პიესებში. მათ შორისაა „სიმღერა ტყეში“, რომელიც წამოჭრილი იყო აქტუალური ცხოვრებისეული პრობლემები. სიმბოლურ-ალეგორიული სახეები (მხეცები და ჩიტები) ზუსტად ურტყამდნენ მიზანში. სულხან ცინცაძემ თავისი მწვევე, სატირული მუსიკით სწორი გააღებინა უიჟო პიესას. ბრწყინვალედ გაორკესტრებული ეს მუსიკა გიტაცებთ მდიდარი ფანტაზიით, საკომპოზიციო ხერხების მრავალფეროვნებით, კაპაავრობით. „სიმღერა ტყეში“ ნამდვილი ოსტატური წმინდაა. თეატრმა გაზღვილი სპექტაკლი დადგა რეჟისორმა თეიმურაზ აბაშიძემ და მსაქტაკლი მ. მურგანიძემ პუბლიცისტური სიმახვილით მიმართეს მსაყურებელს. მათ განაზოგადეს ნეგატიური მოვლენები და ბრძოლა გამოუხადეს ადამიანთა მანიკერებას. ეს იყო ნამდვილი აქტიორული სპექტაკლი. მასხობითა საუკეთესო ანსამბლი თამაშობდა სცენაზე.

რეჟისორმა თ. აბაშიძემ პირველი დიდიანვე მხარის დაფასება თეატრის მსახიობებს, მსახიობებმაც ღირსეულად აუთვასეს მისი გემოვნება, ფანტაზია, ინტელექტი, მუსიკალობა. რამდენიმე წლით ადრე, თეატრის ახალი თაობა მოვიდა. მათ მოხელას განაკურთხებულ მნიშვნელობა შეიძლება. ეს იყო საქართველოს თეატრალური ინსტიტუტის მუსიკალური კომპლექსის ფაკულტეტის პირველი გამოშვება: ლილი ჩიბალაშვილი, იური ვასაძე, ნოდარ პეტრიანიშვილი, ოთარ ბაზუაძე. ინსტიტუტის დამფუძნებელ ზურაბ კახიანი და მერა სურგულაძე. სპექტაკლი „სიმღერა ტყეში“. მათ მიერ განახლებული ყოველი როლი ნამდვილი აქტიორული მიგება იყო.

„სიმღერა ტყეში“ დაარსებითი თ. აბაშიძე, რომ მუსიკალური კომპლექსი თეატრის კომპლექტთან მუშაობას საინტერესოა. რეჟისორი ყოველთვის როდი აღწევდა სასურველ მიზანს, ისევე როგორც დასი ყოველთვის ვერ იღებდა მიცემას მაკინტოსი, მაგრამ თ. აბაშიძის და მ. მურგანიძის ორი სპექტაკლი „სიმღერა ტყეში“ და „ყვარყვარა“ (1974 წ.) შევეთეატრის ისტორიაში, როგორც საექტაკლო სპექტაკლები. დამდგმულმა ბევრი სახილველ შემოიტანეს ამ სპექტაკლებში. მაგრამ არც თუ, და არც მეორე შემთხვევაში, მათ არ დაუკარგეს ჟანრის მისი თვისებები, მისი ბუნება.

ფორმის სახილველ, მაღალმხატვრული ლიტერატურული პირველყოფილი, რომლის საფუძველზე ჩინებული ლირიკული დაწერა. პ. გრუზინსკიმ, ნოდარ გაბუნიას მუსიკალური ენის სიმწვევე, მუსიკალური სახეების სხარტი პორტრეტულობა. მუსიკალურ-სცენური ეპიზოდების კალიგრაფიკური შენახვა-დგენა. ზონის ფორმის ორიგინალური გამოყენება — ყველა ამ თვისებამ აშკარად მიუახლოვა სპექტაკლი „ყვარყვარა“ მიუხედავად ჟანრის.

თური ვასაძისთვის და ჯუმბერ თალაკვაძისათვის ყვარყვარის როლის შესრულება დიდი ხნის ოცნება იყო. მაგრამ ისინი ვერსოდეს ვერ წარმოიდგენდნენ, რომ ამ ოცნებას მუსიკალურ თეატრში შეასახმდნენ სირსს. ისინი სულ დამდგმულნი იყვნენ, რომ ყვარყვარე მშენებრად იგრძნონ თავი ამ განზრდი. მით უფრო მაშინ, როდესაც ი. ვასაძე-ყვარყვარე გადღერა რა ხალხის რისხვას, უეცრად აღმოჩნდა სადირიტორი ულტრან, სათავები ჩაუდგა ორკესტრს, ხოლო, რომელიც დიდირობა დაამთავრა, თავებდურად მიიხედ-მოიხედა და ხალხს შეაფარა თავი.

მუსიკალური კომედიის თეატრის მსაყურებელი ხშირად ხდება სცენაზე თემო ხელაშვილს — მომხიბვლელი გარე-

ნობისა და შინაგანი კულტურის, თბილი, გამომსახველი მსახიობის. მას ძალიან უხებოდა საოპერეტო როლები. გუნდოდა წლები, მსახიობის დამოკიდებულება თავისი გმირებისადმი სულ უფრო რთულდებოდა. სახსლე სურდა, ისეთი სახსლე, რომელიც მასაც და მსაყურებელსაც აადიდებდა. მას სურდა თავისი სიტყვის თქმა და აკი თქვა კიდევ. როდესაც თ. ხელაშვილი პირველად დათვის რომელი გამოვიდა სპექტაკლი „სიმღერა ტყეში“, ისეთი გარდასახვის უნარი გამოავლინა, რომ მსაყურებელმა არ დაიჯერა — ნუთუ ბაგბაჯონის ის თ. ხელაშვილია, რომელიც ასე ხბოლავდა ყველას თავისი საოპერეტო პეუნით. მინასთავარი შემდგმვა რომამდე კიხობმა-სერვანტესმა განამტკიცა.

ჟანრის განახლების ტენდენცია გრძელდებოდა. მან თავი იჩინა კომპოზიტორ ვევა ზარაშვილის ორ ნაწარმოებში „მეხსნე ტაღლი“ (1969 წ.) და „შეიღინ ძმანი გურჯაანელი“ (1972 წ.). სამწუხაროა, რომ ნიჭიერად დაწერილი მუსიკა სცენას არ შერჩა ნაკლებად სინტირესო დრამატურული მასალის გამო.

ყოველ ათეულ წელს მოქონდა თეატრში რაღაც უჩვეულო, ახალი. თეატრი ცდილობდა ფუნდამენტ მიჰყოლოდა ცხოვრებას. დროის კანონზომიერებამ მოიყვანა მის სცენაზე შოუ, შუესპირი, სერვანტესი. მოვიდა თანამედროვე მიუსიკალე თავისი ახალი და საკმაოდ მკაცრი მოთხოვნები. მან თითქმის არ გაუწია ანგარიში თეატრში დამკვიდრებულ ტრადიციებს. ყველას — მსახიობებს, რეჟისორს, დირიჟორს, მხატვრის თავისი პირობები წამოუყენა. ლოუს, პორტრეტის, მიწლის ნაწარმოებებში მხოლოდ სიმღერა არ კმაროდა, საჭირო იყო ამ შედეგების სცენური განსახიერება. რა თქმა უნდა, ეს ძალიან მწილი ამოცანა იყო, მაგრამ დასი არ შეშინებდა ამას. ქართული მუსიკალური კომედიის სცენაზე საინტერესო სახეები შექმნეს ლილი ჩიბალაშვილმა (ელიზა, აღმონა) და ნოდარ პიპინაშვილმა (პიგინი, დონ კიხოტი-სერვანტესი).

რაც შეეხება ბადრი ბეგაიშვილს, მისი მინჯავი ულტიმეტი მეთოქობას გაუწევს ამ როლის საუკეთესო შემსრულებლებს საბჭოთა საოპერეტო სცენაზე. მისი ვირტუოზული ტექნიკა, სიმსუბუქე, პლასტიკურობა, რიტმის გრძობა ზუსტად პასუხობს საოპერეტო თეატრის მაღალ მოთხოვნებებს. ბ. ბეგაიშვილის შემოქმედება ამიტომაც ასე მრავალფეროვანი, ამიტომაც ასე დიდხანს რჩება მესხიერებაში მისი მუსიკალურ-სცენური სახეები: ტიტე ნატუტარი, ჩანჩუა, კურჩა, მელა, ბაბაჯანა.

თეატრი მხოლოდ მსახიობები რდიდა. აქ შრომობენ და მოქმედებენ ის უხილავი ადამიანები — რეკვიზიტორები და მუქტაფორები. გრძობიერები და სცენის მშენებნი, რომლებიც მსაყურებლისაგან შეუმჩნეველად ქმნიან სპექტაკლებს, ქმნიან თეატრს. მათ უყვარნთ თავისი თეატრი — მხიარული ჟანრის ოლატრი.

... ძიებები, კვლავ ძიებები. მთავარი რეჟისორის გურამ მელიკვასა და მისი თანამოაზრის მთავარი დირიჟორის ავთანდილ მამაკაშვილის პოზიციები საყვები ნათელია. თეატრი უნდა შეიარაღდეს ახალი გამომსახველობითი ხერხებით, მან თანამედროვე უნდა იაზროვნოს და თეატრი იბრძვის, რათა არ ჩამორჩეს დროს, მიიღიანე პროცესებს, ეს ძიებები განაკურთხებულ სიმკვეთრით გამოვიდნა თეატრის ერთ-ერთ ბოლო ნაშეყვარნი „ლამანელი“ (1976 წ.).

თეატრს, რომელსაც ასეთი, თუნდაც, ერთგული მსახიობები და მსაყურებელი ჰყავს, დიდიხნის სიცოცხლე უწყია.




ეოზაველის რწმენით

გიორგი ცაბაძე

მასწავლებლის სახელობის თბილისის მუსიკალური კომედიის თეატრში 1950 წელს მივედი და მას შემდეგ ამ კოლექტივთან, მის შემოქმედებით ცხოვრებასთან დაკავშირებული ვარ მთელი ჩემი არსებით. იმთავითვე მიმიზიდა ამ უაღრესად რთულმა და ტყვედმა ეანრმა, რომლის საიდუმლოებების ამოხსნა დიდ შრომას, ცოდნას, განოცდილებას მოითხოვს. მეც თანდათან ვერ-

თარებს კოლექტივური ურთიერთობების კულტურას, პასუხისმგებლობის მაღალ გრძობას, ურომლისოდაც წარმოუდგენელია მუშაობა ისეთ რთულსა და მრავალსახოვან კოლექტივში, როგორც თეატრი.

მადლიერებით მინდა აღვნიშნო, რომ მრავალწლიანი მუშაობის მანძილზე თეატრის მხრიდან არავითარ წინააღმდეგობას არ წავეყდომივარ,



სცენა სპექტაკლთან „შევიცო, შევიცო, შევიცო“

კველი და ვეცნობოდი მის სპეციფიკურ თვისებებსა და შესაძლებლობებს. ამაში უაღრესად დიდი სამსახური გამიწვია თვით მუსიკალური კომედიის თეატრის კოლექტივმა, მისმა გამოცდილმა დირიჟორებმა — დიასამიძემ, კ. სიანილაძემ, მ. ბორჩხაძემ, თ. კობახიძემ, რეჟისორებმა — ბ. გამრეკელმა, შ. მესხმა და, რა თქმა უნდა, ნასახიბოებმა, რომლებიც იმთავითვე მხარში ამომიდგნენ და თავიანთი წრფელი და მოკიდებული მრავალი წინააღმდეგობის დაძლევა. მისასალმებელია, რომ ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრში დაკვიდრებულია ახალბედა კომპოზიტორებისა და დრამატურგებისადმი დახმარების, ხელის შეწყობის, თანაგრძნობის ტრადიცია, რაც, სხვათა შორის, ანე-

რასაც ვერ ვიტყვოდი დრამატურგებზე, რომლებიც ხშირად სცოდავენ ქანრის სპეციფიკის უცოდინარობით, დაბალი პროფესიული დონით, უკეთესობებით. სუსტი ლიბრეტო — აი, ყველაზე მტკივნეული, ჭეშმარიტად საჭირობოტო პრობლემა, რომელიც თავსატეხს უქმნის კომპოზიტორსავე და მთელ შემოქმედებით კოლექტივსაც. სამწუხაროდ, ჩვენი დრამატურგების მიერ შემოთავაზებული პიესები, უმეტესწილად უსახური სიუჟეტების, მდარე ლიტერატურული ტექსტის, გაცვეთილი ხუმრობებისა და სხვა ხარვეზების გამო არ იძლევიან მუსიკალური დრამატურგიის განვითარების, მკვერი მუსიკალური სახეებისა და ხასიათების წარმოჩენის შესაძლებლობებს. ასეთ დროს კომპოზიტორი თვითონ ეძებს გამოსავალს, მიმართავს სხვადასხვა საშუა-

ლებას ლიბრეტოს გაუმჯობესებისა და ვაღრმავებისათვის. და ეს მაშინ, როდესაც მუსიკალური კომედის თვით ჟანრი საოცრად ტყვედი და მრავლისმომცველია. აქ ყველაფერია შესაძლებელი — მოულოდნელი და მახვილგონივრული გადასვლები ერთი სიტუაციიდან მეორეში, ღირიციდან დრამაში, დრამიდან კომედიამ და ა. შ. აქ კონტრასტები ისევე საკიროა და აუცილებელი, როგორც ცოცხალი და ნათელი მელოდიაში აზროვნება, ინტონაციური სახიერება და მრავალფეროვნება, ნაირგვაროვანი ანსამბლების ოსტატური ორგანიზაცია, გუნდისა თუ ბალეტის გამიზნული ჩართვა, ლეიტმოტივური სისტემის განვითარება, არიოზული ფორმების გამოყენება და სხვა. პირადად მე, სრულებით არ მიტყუებ, არ მაიმეაფოვლებს მხოლოდ და მხოლოდ კომედიური ხასიათისა და გასართობი დანიშნულების ოპერება. ჩემი სურვილია კომედიურობაში რომანტიკული, ლირიკული, ფსიქოლოგიური საწყისების შეყვანა და მათი ერთდროული განვითარება. აი, სწორედ ამ მრავალფეროვნებას ვერ ითვალისწინებენ ჩვენი ლიბრეტისტები, რაც

ბი — შექსპირი, შოუ, მოვიდა სერვანტესიც. მუამაყება, რომ მუსიკალური კომედიის თეატრში დაიდგა ჩემი ოპერება „კურტას ქორწილი“, რომელმაც მიხვილ ჯაჯახიშვილი მოიყვანა ქართულ საოპერეტო თეატრში.

ჩემი ოცნებაა, რომ ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრმა ფართოდ გაუღოს კარი ქართულ მწერლობას, როგორც კლასიკოსებს, ისე თანამედროვე ავტორებს. მაყურებელი, მსმენელი თეატრში უნდა წვიდეს არა მარტო გაკინებული, არამედ დაფიქრებულიც. ამისათვის კი მუსიკალური კომედიის თეატრს უნდა ყოველთვის ჰქონდეს მომარჯვებული სატირული მახვილი. ამ თვალსაზრისით, ფრიად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო დრამატურგ ლ. ჭუბაბერიასა და კომპოზიტორ ს. ცინცაძის თანაგებობით შექმნილი საბექტაული „სიმღერა ტყეში“, რომელმაც მძაფრად ახილა ჩვენი ცხოვრების მანკური მხარეები.

თეატრის მთელი შემოქმედებითი კოლექტივი მიზნად უნდა ისახავდეს ლიტერატურული ტექსტის, ნაწარმოების დედა-აზრის მიტანას მაყუ-

სცენა საბექტაულიდან „სილა“



რებლამედ. ჩვენთან კი მოგჯერ მუსიკა ცალკეა, ტექსტი — ცალკე. ისინი სრულიად არ ეხმარებიან ერთმანეთს, არ ემსახურებიან მოქმედების განვითარებას, სახეების დახასიათებას, ყოველივე ამას კი გვასწავლიან საოპერეტო თეატრის დიდი კლასიკოსები — კალმანი, ოფენბახი, ი. შტრაუსი, ბერნსტაინი, დუნაევსკი, შოსტაკოვიჩი, რომელთა ნაწარმოებები თვალსაჩინოდ მეტყველებენ ამ ჟანრის სიცოცხლისუნარიანობაზე, მრავალფეროვნებაზე, მის დიდ გაქანებაზე.

სასიამოვნოა იმის აღნიშვნა, რომ ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალურმა თეატრმა სწორედ აქეთვე აიღო გეზი. საქმე ისაა, რომ ათეული წლების მანძილზე მის სცენაზე ბატონობდნენ მხოლოდ ვოდევილური ხასიათის ოპერეტები. სადღესოდ საგრძნობლად გაზრდილია საბექტაკლების ჟანრობრივ-თეატრული საზღვრები. ოპერეტის თეატრში მოვიდნენ დიდი დრამატურგ-

რებლამედ. ჩვენთან კი მოგჯერ მუსიკა ცალკეა, ტექსტი — ცალკე. ისინი სრულიად არ ეხმარებიან ერთმანეთს, არ ემსახურებიან მოქმედების განვითარებას, სახეების დახასიათებას, ყოველივე ამას კი გვასწავლიან საოპერეტო თეატრის დიდი კლასიკოსები — კალმანი, ოფენბახი, ი. შტრაუსი, ბერნსტაინი, დუნაევსკი, შოსტაკოვიჩი, რომელთა ნაწარმოებები თვალსაჩინოდ მეტყველებენ ამ ჟანრის სიცოცხლისუნარიანობაზე, მრავალფეროვნებაზე, მის დიდ გაქანებაზე.

ვუსურვებ მუსიკალური კომედიის თეატრს, მის კომპოზიტორებს, დრამატურგებს, რეჟისორებს, მხატვრებსა და ღირსიორებს ცოდნის დაუფლებას, დაოსტატებას, სერიოზული შემოქმედებითი პრობლემების გადაწყვეტას თანამედროვე მუსიკალურ-თეატრალური აზროვნების დონეზე.



მეზობლიური კერა

შოთა მილორავა

მასწავლებლის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრის გარეშე მე ვერ წარმომიდგენია ჩემი ცხოვრება, ჩემი მოღვაწეობა.

იგი მეზობლიურ კერად იქცა ჩემთვის არა მარტო იმიტომ, რომ ამ სცენაზე ჩემი მრავალი ოპერეტა დაიდგა. მთავარია ის, რომ ამ კოლექტივმა აღმზარდა, როგორც შემოქმედი, როგორც კომპოზიტორი.

დიდი თავყვანისმცემელი გახლავართ ამ თეატრის მსახიობებისა, რომლებიც ნაპვეარი საუკუნის მანძილზე თავგანწირვით ემსახურებოდნენ და დღესაც ემსახურებიან მუსიკალური თეატრის ამ ერთ-ერთ ურთულეს სინთეტურ ჯანსს, უდიდეს შემოქმედებით დატვირთვას რომ მოითხოვს ავითეული მონაწილისაგან.

ჩემი პირველი მუსიკალური კომედია, რომელიც ამ თეატრის სცენაზე დაიდგა, იყო „ერთხელ გაზაფხულზე“, მას მოჰყვა „სასიძიებში“, „სიმღერა თბილისზე“, „სამი უფროსის წასახური“ და სხვა. ბოლო წლების ნამუშევრებია „ჯარში

მიღის დედისერთა“, „ჩანჩურა“, „ყარამანი ცოლს ირთავს“, „პაემანი ცაში“ და სხვა.

ოცდაათ წელზე მეტია, რაც მივეყვები ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრს, რომელმაც უაღრესად რთული გზა განვლო. მას ბევრი გაჭირვება უნახავს და გამარჯვებაც მრავალჯერ უხეივია. მომსწრე ვარ იმ დიდი წარმატებისა, რომელიც წილად ხვედა თეატრს მოსკოვში, სადაც იგი საბჭოთა ქვეყნის ერთ-ერთ საუკეთესო საოპერეტო თეატრად სცნეს. დიდი მოწონება დაიმსახურა თეატრის ეროვნულმა რეპერტუარმა, რომელთა შორის იყო ჩემი ოპერეტა „სიმღერა თბილისზე“ დრამატურგ ლ. ჭუბაბრიას ლირეტოს მიხედვით.

გულუცავ ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრს საიუბილეო თარიღს. გულითა და სულით ვუსურვებ მთელ შემოქმედებით კოლექტივს მომავალ წარმატებასა და გამარჯვებას.

სცენა სპექტაკლდან „მორანდოლინა“



ფორში, ჯორჯაძის ქუჩაზე, დგას ერთი პატარა სახლი, რომელსაც კაცმა შეიძლება ისე ჩაუაროს, რომ ნაბიჯიც არ შეანელოს. არადა, საწყენია... ამ სახლში თავის დროზე იკრიბებოდნენ ქართველი შემოქმედებითი ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლები, მუსიკოსები, პოეტები, თეატრალები. აქ იმართებოდა ცხოველი კა-

პოზიტორ-მელოდისტისა და ღირიკორის ძუკუ ლოლუას სახელთან დაკავშირებული ბევრი ძალზე საინტერესო წამოწყება ხალხური საგუნდო სიმღერის განვითარებისა და პროპაგანდის სფეროში. იგი იყო საგუნდო კოლექტივების ერთ-ერთი პირველი ირგანიზატორი, ხალხური სასიმღერო ქორეოგრაფიული ფოლკლორის ერთ-ერთი

ძუკუ ლოლუა

ალექსი არღუნი



მათი იმაზე, თუ როგორ უნდა შეენარჩუნებინათ საუკუნეთა წიად ხალხის გენიის მიერ შექმნილი მუსიკა, როგორ გაეწიათ მისი პროპაგანდა. ამ სახლის ერთი პატარა ოთახის კედელზე ჰკიდია სურათი კაცისა, ვინც კარგა ხანია ცოცხალი არაა. მაგრამ მისი ნაჭონი ნივთები აქ ფაქიზად აწყვია. ის იყო კაცი, ვინც სიმღერად იქცა, ადამიანი, ვინც მრავალჯერ და მრავალჯერ შეარხია ათასობით და ათასობით მსმენელის სულს სიმღერით.

ქართული და აფხაზური მუსიკალური კულტურის გამორჩენილი მოღვაწის, მომღერლის, კომ-

ყელაზე შთავიზებული და მგზნებარე მესვეური. ძუკუ ლოლუა დაიბადა 1877 წელს, ხობის რაიონის სოფელ ქვალონში. ბავშვ ლოლუას შეეძინა ვაჟი, რომელსაც ზღადა ეწერა მთელი სიცოცხლის ხალხურ მუსიკასთან განუწყურლად დაკავშირება. პატარა ძუკუ უმამოდ დარჩა და დიდი გაკვირვება გადაიტანა, რადგან დედამისს — ჭიმჭილა ნიკვაიძეს ხუთი პატარა ბაილი უნდა აღეზარდა. ქვრივი ქალი არ შედრკა, ცხოვრებას არ დაეებჩავა და წლებზე ფეხს იდგამდა, რომ ოჯახი ერ-

ჩინა. ბალებს ძილის წინ ჩამოეხდებოდა. ჩინ-გურუე უკრავდა და ხელს უკრავდა სიმღერის უმღეროდა. ძუკუს იმ დროიდანვე სამუდამოდ წარუშლელად ჩაებეჭდა გელში ამ შშობილიური პანგების სიყვარული. მომავალი მუსიკოსის ცხოვრებაში ასე თანდათან იდგამდა ფესვებს სიმღერა და სიმღერით თანდათან იესებოდა მთელი მისი არსება. ამიტომ გასაკვირი არცაა, რომ იგი ფოთის საეკლესიო გუნდის წევრი ხდება და ამთავრებს კურსებს, რათა საგალობლების პროფესიული შემსრულებელი გახდეს. მაგრამ გაკვირვებამ იგი მიიყვანა ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში, რომელიც კაპიტალისტ მანთაშევს ეკუთვნოდა. იგი იძულებული იყო ლუგმაპურისთვის უბრალო, ნავთის გადამსხმელად ემუშავა. მაგრამ ამგვარ უკიდურესად მძიმე ყოფაში ძუკუ ლოლუა დიდხანს არ ყოფილა. ოდნაირი წლის წარმოსადგეი. მოხდენილი, მშვენიერი ხმის პატრონი შენიშნეს და ქუთაისს გაგზავნეს, რათა ლევის-მსახურის ხედრი ეყვინა. მაგრამ არც მცდელად დაუყვია დიდხანს. როცა ქუთაისში საგასტროლოდ ჩამოვიდა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი სანდრო კავსაძის ხელმძღვანელობით, ძუკუ მთავლობაზე საბოლოოდ აიღო ხელი, მთლიანად ხალხური მუსიკის სამსახურში დგება. ქუთაისში თავის გუნდს აყალიბებს და ხანმოკლე, მაგრამ დაძაბულ რეპერტუარის შემდეგ, 1897 წელს, პირველ კონცერტს მართავს. თავისი საქმიან უსაზღვროდ გატაცებულმა ძუკუ ლოლუამ ფეხით შემოიარა დასავლეთ საქართველოს სოფლებში, — თავისი გუნდისათვის აგრეებდა, სწავლობდა და ამუშავებდა ხალხურ მელიდიებს. ამ მოგზაურობის დროს მან ერთხელ კიდევ ნახა თავისი თვალით, თუ რა მძიმე დღეში იყო მშრომელი გლეხობა და მჩაგვრელთა მიმართ სიძულვილის გრძობით გაიმსჭვალა. 1903 წელს ძუკუ ლოლუას აპატიმრებენ და ქუთაისის ციხეში სვაენ მთავრობის საწინააღმდეგე სიმღერების შეთხზვისა და შესრულებისათვის. საგულისხმოა, რომ იგი საჯაროდ ასრულებდა „მარსელიწასაც“ ციხის ჯურღმულებმა ვერ ჩაკლეს მასში თავისუფლებისმოყვარე სული, პირიქით, იქ, რევოლუციონერებთან ურთიერთობამ კიდევ უფრო გამოაწერათ იგი და მოამწიფა პოლიტიკურად. ძუკუ ციხეში ჰქროიკულ-რევოლუციურ სიმღერებს ეზიარა, სხვა პატიმრებთან ერთად ხშირად მღეროდა მათ. ზოგისთვის შეიძლება ეს უფრო თავმჯექცაა, გართობა იყო. ძუკუსთვის კი სიმღერის ოსტატობის, ხალხური მელიდიების პროფესიულად ათვისების სკოლის კიდევ ერთი რგოლი. ძუკუ ლოლუამ პატიმრებს წესაწავლა თავისი საყვარელი „მარსე-

ლიეზა“ და, ალბათ, ციხეში არ იცდა კაცი, ვინც ამ სიმღერას, შეძლებისდაგვარად არ მღერობდა. ძუკუ ლოლუა მალე გაათავისუფლეს და ქალაქიდან გაასახლეს. მისი გუნდი დიშალა. მაგრამ ეს იყო უბედურე ცდა ხელისუფლებისა, რომ სიმღერისთვის გზა დაეშობოთ... 1904 წელს მეფის მთავრობისგან დევნილი ძუკუ ლოლუა აფხაზეთში ჩამოიდა. იგი უახლოვდება აფხაზეთის ინტელიგენციას, ხდება აქტიური წევრი მოსახლეობაში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა, რომელსაც სათავეში ედგა ცნობილი მოღვაწე მამო დადიანი-შერვაშიძე. ძუკუ ლოლუა უახლოვდება ქართველი და აფხაზი ინტელიგენტის თვალსაჩინო წარმომადგენლებს — გ. შერვაშიძეს, ა. ინალ-იფას, პ. ანჩაბაძეს, ნ. ემვაზის, ა. შერვაშიძეს, ჰ. ჭარაიას, ნ. ჯანაშიას, ზ. თურქიანს, ი. ბურჭულაძეს, თ. სახოკიას და სხვ. გადაწყდა, რომ აფხაზურ-ქართული სიმღერების გუნდის ორგანიზება დაეკისრებინათ ძუკუ ლოლუასთვის. ეს სასებით ბუნებრივი გადაწყვეტილება იყო — მას უკვე იცნობდნენ როგორც ხალხური სიმღერების ნიჭიერ ორგანიზატორსა და უბედულ შემსრულებელს. 1904 აგვისტოში ძუკუ ლოლუა უკვე აწყვეს რეპერტუარს. უპირველეს ამოცანად იგი, თანამოღვაწეებთან ერთად, ისახავს ქართული და აფხაზური ხალხური სასიმღერო-ქორეოგრაფიული მარგალიტების შეკრებას. მან ამზარდა უკვე აფხაზეთის სოფლები შემოიარა ფესვდაფეს ხალხური სიმღერებისა და ცეკვების განცნობა-შესწავლის მიზნით. მას აფხაზურ სიმღერებთან ერთად აინტერესებდა ადგილობრივი ხალხური ინსტრუმენტებიც. ქართულ საკრავებთან ერთად, ძუკუ ლოლუა სცენაზე ამკვიდრებს აფხაზურ ხალხურ საკრავებს — აფხიარცას, აჩარპინს, აიუშას და სხვ ძუკუ ლოლუას მიერ დაარსებულ აფხაზურ ანსამბლზე ხმა შორს გაავარდა და შორიდანაც მოიდიდნენ მის კონცერტებს დასასწრებლად. ძუკუ ლოლუა არქაულ ხალხურ სიმღერებს კომპოზიციურ-სტილისტურად ამუშავებდა. მისი გუნდის რეპერტუარი შედგებოდა აფხაზური, მეგრული, გურული, სვანური, იმერული, რაჭული ხალხური სიმღერებისგან. ხალხური მელოსის დიდი მცოდნე ცდილობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში შეგროვებული მელიდიებისათვის მცირის უმცირესი ნივანსებიც კი შეენარჩუნებინა. იგი აფხაზურ სიმღერებს დიდი სიყვარულით სწავლობდა, სწავლობდა ამ სიმღერების ვარიანტებს, ინარჩუნებდა მათს სიტყვიერ-ლექსიკურ ქსოვილს. მისი ანსამბლი აფხაზური სიმღერებს ინსცენირებულად ასრულებდა. მაგალითად, ამ ანსამბლმა პროფესიულ სცენაზე პირველად არა მარტო სიმ-

ღვრით შეასრულა, არამედ დადგა კიდევ ძალზე საინტერესო „სიმღერა დაჭირლისა“. დაჭირლი თერთ ნაბაღზე იწვა, ხოლო ანსამბლის წევრებში ირგვლივ უხსდნენ და ასე მღვროდნენ. ანსამბლმა „შრომის სიმღერაც“ ასევე ინსცენირებულად შეასრულა. მთელი სხეულისა და ხელების რიტმული მორაბაბით აღწევდნენ ისინი თონის იმიტაციას.

მიზიარდვლ აფხაზურ მელოდინებ ერთობა რე ჩიტატევიბი და ემოციური შეძახილები, რომლებიც მსმენელსა და მაყურებელს ცოცხლად, შთაბეჭდვად წარმოუსახავდნენ შრომით პროცესს. სოფლური ყოფის ეს იმპროვიზაცია, ეს სურათები გლგობთ ცხოვრებისა, მათი შრომის ეს ვიკალურ-ქორეოგრაფიული წარმოსახვა თითქმის ერთგვარი წინასწორია აფხაზური პროფესიული თეატრისა. ძუკუ ლოლუას აფხაზურ-ქართული გუნდი არა მარტო შრომით და გმირულ სცენებს ასხამდა ხორცს, არამედ უქნარა, თვითმაცხოვრებელთა მებატონებდაც ამითარხებდა სატარული სიმღერა-შარჟებით. ეს კიდევ ერთხელ მეტყველებს ანსამბლის მსატერული ხელმძღვანელის პოლიტიკურ მრწამსზე. უხუცესნი იხსენებენ, რომ ძუკუ ლოლუა თვისი სიმღერა-ინსცენირებებით ხშირად წარმდგარა აფხაზეთის სოფლების მკვიდრთა წინაშე და მათთვის მათვე ცხოვრება უჩვენებია გაბედულად. გულუბნე უსმენდნენ პროფესიული გუნდისთვის ოსტატურად დამუშავებულ თავიანთსავე სიმღერებს და უყურებდნენ ამ სიმღერების ინსცენირებებს. ხშირად, ეს აფხაზური და ქართული მელოდიები ღია ცის ქვეშ, საუკუნოვანი ხეების ჩრდილში ჟღერდა. დ. ლოლუას, როგორც აღნიშნული ანსამბლის ხელმძღვანელსა, დიდი დამსახურება ისაა, რომ მან პირველმა გააერთიანა ერთიან, მოლიან საკონცერტო პროგრამაში ქართული და აფხაზური სიმღერები, რითაც უბრალო მსმენელებს სასულიერა მისცა ამ ხალხების თანხმირ ისტორიაში „დაძირულიყვენ“. სწორედ ძუკუ ლოლუა ვახლავთ ის პირველი მიღვაწე, ვინც ჯერ კიდევ 1914 წელს შესძლო აფხაზური და ქართული სიმღერები თავისი ანსამბლის შესრულებით ჩაეწერა ფონოგრაფზე — ახლა ეს ჩანაწერი, ვითარცა ძვირფასი საქუქარი შთამომავლობისთვის. საქართველოს ხალხური შემოქმედების სახლში ინახება.

1914 წელს დ. ლოლუას ანსამბლი საგასტროლოდ გაემართა აჭარას, შემდეგ ეწვია ფოთს, ჭიათურას, ზესტაფონს, საჩხერეს, და, რაღა თქმა უნდა, ქუთაისს, საიდანაც ფეხი აიღვა ძუკუ ლოლუამ, როგორც დიდიერობა.

კოლექტივის ცხოვრებამ ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ის, რომ მან მონაწილეობა მიიღო ჭიათურაში, აკაკი წერეთლის პატივსაცემად გამართულ ზეიმში.

აქ დიდმა პოეტმა მოისმინა და იხილა აფხაზური ინსცენირებული სიმღერები. დიდმა პოეტმა ძუკუ ლოლუას გუნდის მაგალითზე ნახა, თუ ორი ხალხი რა დიდებულად მღვროდა მათი სულიერი ერთობის, თანადგომის და მადასტურებელ მელოდიებს.

ძუკუ ლოლუას ინტერნაციონალიზმი, მისი ჭეშმარიტად ინტელექტუალური სული, სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ადამიანების გულითადი სიყვარული, მათი ხელოვნებით, კულტურით უნაგაროდ, გატაცებით და ინტერესების უნარი ხიბლავდა ყველას, ვინც კი მას იცნობდა.

1917 წლის აგვისტოში ანსამბლს თბილისში იწვევენ და იგი პირველივე გამოსვლით აღტაცებაში იწვევს.

ცნობილი მწერალი და საზოგადო მღვაწე იოსებ იმედაშვილი ჟურნალ „თეატრისა და ცხოვრებაში“ წერდა: — „ძუკუ ლოლუა ერთი იმთავარი ნია, ვინც დგას ხალხური მუსიკის აღორძინება აკვანთან, იგი პატიოსანი მშრომელია და თავისი საქმის ერთგული მოღვაწე“.

თბილისში აფხაზურ-ქართულ გუნდის წარმატებით გამოსვლის შემდეგ ბუნებრივად დაიწყო აღმოსავლეთ საქართველოში გატარების ჩატარების საკითხი. წაღვერის, გორის, ბორჯომის, ხაშურის და სხვა ქალაქებისა და დაბების მცხოვრებნი აღფრთოვანებით ხვდებოდნენ კოლექტივის რეპერტუარის ყოველ ნომერს. ხანგრძლივ გასტროლებიდან ამბარებულმა ბუნდმა კიდევ ერთხელ მოიარა აფხაზეთის სოფლები და ქალაქები და ახლაც ყველგან სიყვარულით ხვდებოდნენ დ. ლოლუას, როგორც ახლოზელ და ძვირფას ადამიანს.

იღვა 1919 წელი. მენშევიკურ მთავრობას ხელს არ აძლევდა ანსამბლის გასტროლები, მისი რეპერტუარის ინტერნაციონალური ხასიათი. ქართველთა და აფხაზთა სულიერი შეკავშირება-შემჭიდროებისთვის ძუკუ ლოლუასა და მისი თანამოღვაწეების მიერ გაწეული დიდი პროპაგანდისტული მუშაობა უწინააღმდეგებდა მენშევიკების გეგმებს და ამიტომ ანსამბლი იძულებული გახდა შეეწყვიტა არსებობა. გულდამიმხებულმა დატოვა ძუკუ ლოლუამ აფხაზეთი, სადაც ჩვიდმეტი წელი იმუშავა. იგი კვლავ მშობლიურ ფოთში ბრუნდებდა, გუნდს აყალიბებს. იქაც ბევრ წინააღმდეგობას აწყდებდა, მაგრამ დიდი გატაცებითა და შთაგონებით მუშაობს და საქმეს წარმატებით აკვირგინებს. რამდენიმე ექსპანიდითა ჩაატარა ხალხური მუსიკალური ფოლკლორის შესაგროვად, ამავე დროს, საქალორ ინტენიურად თანამშრომლობდა პრესაში, აქვეყნებდა წერილებს ხალხურ მუსიკალურ შემოქმედებაზე, ბეჭდავდა მოთხრობებსაც.

ნიწო ჯაფარიძის უპრინაჲული ტილოები

ლეილა თაბუკაშვილი

ძუკუ ლოლუა მარტო ნიჭიერი დირიჲორი და ფოლკლორის შემკრები კი არ იყო, არამედ კომპოზიტორ-მელოდისტიც, რომელიც შესანიშნავად ამუშავებდა ხალხურ სიმღერებს, ავრთვევ, მათ საფუძველზე კმნიდა თავის, ორიგინალურ ნაწარმოებებსაც. ნისმა შემოქმედებმა განსაკუთრებული გაქანება მიიღო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. იგი კმნის ხალხური სიმღერების შუგროვებისა და შენარჩუნების ინსტრუქციას. მჭიდრო კონტაქტებს ამყარებს ხალხური საგუნდო სიმღერების ოსტატებთან — არტემ ერქომაიშვილთან, რემა შელეგიასთან, ავესენტი მეგრელიძესთან და სხვებთან, მონაწილეობს ახალი საგუნდო კოლექტივების შექმნაში, მიიღო ენერჯიას ახმარს ახალი, სოციალისტური კულტურის შექმნას. მთავრობა მას ნიშნავს ხალხური საგუნდო და ქორეოგრაფიული ხელოვნების დაცვისა და პროპაგანდის სასოჯადოების ინსტრუქტორად. ახალმა დრომ პროლეტარული ხელოვნების ახალი პრობლემები წამოჭრა და დაუცხროსილი ძუკუ ლოლუა აქტიურად ეხმარება ამ პრობლემებს. იგი ხან ფიქთშია, სადაც მისი ოჯახი ცხოვრობდა, ხან თბილისში, ხან სოხუმში, ერთი სიტყვით, სადა არა, ყველგან, სადაც კი მისი ნიჭი და უნარი საჭირო იყო ხალხური მუსიკალური ფოლკლორის განვითარებისათვის.

1924 წელს გამორჩენილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის — ნიკო ლორთქიფანიძის მიწვევით იგი ჩადის ქუთაისში სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის შესაქმნელად. ეს წინადადება ძუკუ ლოლუამ მით უფრო მეტი სიხარულით მიიღო, რომ უნდა ემოღვაწა იქ, სადაც ოცი წლის წინათ პირველად ჩამოაყალიბა გუნდი. ახლა ძუკუ ლოლუამ სულ მოკლე დროში შექმნა ძალზე საინტერესო რეპერტუარი, რომელიც ძირითადად ქართული და აფხაზური სიმღერებისგან შესდგებოდა. იმავე 1924 წელს ანსამბლი სავასტროლოდ მიემგზავრება თბილისს, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ შესანიშნავ კოლექტივის არ ეწერა თბილისელოათვის თავისი ხელოვნების ჩვენება — ძუკუ ლოლუა მოულოდნელად გარდაიცვალა 1924 წლის 8 აგვისტოს. ასე უდროოდ შეწყდა შესანიშნავი ადამიანის, ჩვენი — ქართველი და აფხაზი ხალხების მგობრობის გულმუხრავლე მომღერლის, ხალხური საგუნდო სიმღერების შემკრების, პროპაგანდისტისა და ჩინებული შემსარულებლის სიცოცხლე.

ძუკუ ლოლუას სახელი სამუდამოდ დაუკავშირდა სიმღერას, სიმღერა კი — უკვდავია.

აღრმულ ბავშვობაში ნიწო ჯაფარიძე ხატავდა ისევე, როგორც ყველა მისი თანატოლი. მისთვისაც ეს იყო პართობა, ცხოვრების თავისებური შემეცნება. მოგვიანებით, 11-12 წლის ასაკში, მხატვრობა გოგონასთვის იქცა ნამდვილ შემოქმედებით გატაცებად, ყოველდღიურ „საარსებო“ საქმიანობად, აუცილებლობად, როგორც სხვა რამ ჩვეულებრივი საარსებო საზრდო, და იქნებ ამ საზრდოზე უფრო მეტადაც. ამით აიხსნება, ალბათ, ის უჩვეულო სიუხვევე, თხუთმეტი წლის მისწავლე გოგონას შემოქმედებით ნაყოფში რომ იჩენს თავს. თვით სიტყვა „სიუხვე“ ამ შემთხვევაში ალბათ ნამუშევართა უფრო არა რაოდენობრივი განსაზღვრისათვის გამოგვადგებოდა, არამედ მათი ავტორის „სათქმელის“ დასასაიათებლად. ნიწოს კი მართლაც რომ უხვად გააჩნია სათქმელი: შთაბეჭდილებები, ალტაცებები, სიყვარული, რასაც იგი ყოველდღიური ცხოვრებიდან იღებს, ფერებსა და სახეებში გადატანისაკენ უბიძგებს, წარმოსახვაში დაბადებულის ამეტყველებას ითხოვს ისიც კი,





მოსავლის ზეიმი

რომ ნინოს ნამუშევრებს შორის მრავლად გვხვდება დიდი ფორმატის ტილოები, ალბაი აიხსნება რალაც მისთვის განსაკუთრებით მას-შტაბურისა და საინტერესოს თქმის სურვილით, პატარა ფორმატში რომ ვერ ჩაეტევდა და სივრცეებს საჭიროებს. და ნინოც, როგორც გაწაფული პროფესიონალი, გაბედულად „ექიდება“ დიდ ტილოებს და ეს „შეჭიდება“ მუდამ მისი გამარჯვებით მთავრდება.

ჯერაც პროფესიონალიზმთან მიუახლოებული, სინამდვილის მხოლოდ უშუალო აღქმასა და წარმოსახვაზე დაყრდნობილი დამწყები მხატვრის ინტუიცია მოიცავს სამყაროს შემოქმედებითი აღქმის ყველა არსს: ფერთა პარმიონის, კომპოზიციური სიმყარისა და წონასწორობის, რიტმისა თუ ხაზის პლასტიკის ჭეშმარიტად მხატვრულ შეგრძნებას, ასე თავისუფლად რომ იტყვევებდეს ფერადონად სასეს და ამასთან პარმიონულ, რთულ და, ამავე დროს, ყოველმხრივ „ორგანიზებულ“ სურათებად. მხატვრული ინტუიცია (გემოვნებასაც რომ დიდად გულისხმობს), შერწყმულ-

იმის უნართან, რომ შექმნას მართალი ხატი, სასე ამა თუ იმ საგნისა, ადამიანისა, მოვლენისა, მიაგნოს სურათის თვით შინაგანი ემოციური შინაარსის, განწყობილების შესატყვის ფერადონ-პლასტიკურ გასაღებს, ნინო ჯაფარიძის ტილოებს ნამდვილი მხატვრის ნაწარმებსა და მღწევებს უახლოებს.

ფართო ამ გოგონას წარმოსახვის საზღვრები თვით მხატვრული ამოცანების შერჩევას მხრივ ყოველდღიურ უშუალო შთაბეჭდილებებზე შექმნილი განრული და პორტრეტული ხასიათის ნამუშევრები; როგორც ცხოვრების რეალური სურათებით, ისე ამა თუ იმ ლიტერატურული ნაწარმივით შთაგონებული, ან სულაც გამოგონილი, ფანტასტიკური სურათები ტილოებზე ამტკიცებულელია ისე, რომ არსად არ იწვევს უკმარისობის გრძობას, არ გაღიზიანებს „მომავარდნილი“ ფერებითა და უადგილო, ზედმეტ დეტალებით, არიტმითა და უწონასწორობით დამხმეულობით. უჩვეულო ალღო ფორმათა, ფერთა და ხაზთა ურთიერთმეზობლობის ამოცა-

ღება
კერამიკულ სამკროში



ნების გადაწყვეტაში, კოლორიტის, ფერადოვანი გაზის მთლიანობის განცდა განსაკუთრებით შთაბეჭდილია მთელ რიგ ნამუშევრებში. ნინოს ისიც იცის, რას შეხედოს შორი წერტილიდან, რას სჭირდება ფართო სივრცე და ლაღი სუნთქვა ასე გადაწყვეტა მან „მუშანიის წამების“ თემაზე დახატული დიდი კომპოზიცია (ზომით 2 მ. x 1 80), მაგრამ პანორამულად გააზრებული ეს ტილო თავისუფლად სუნთქავს არა თავისი ზომით, არამედ ფერადოვან-კომპოზიციური და პლასტიკურ-სასუბორივი წყობის, ნაწარმოებში დატრიალებული ამბების, მოვლენების სახეითად ემოციური თხრობის წყალობით, როცა სურათის ყოველი დეტალი, ყოველი ფრაგმენტი აზრობრივ-მხატვრულად გამოშახებულია და ამავდროს მთლიანს ორგანული ნაწილი.

ნინო ჯაფარიძის ჯერჯერობით ნატურიდან არ უხატია. მხოლოდ წარმოსახვით მუშაობს. ფანქრით, გრაფიკული მასალებით ცოტას ხატავს, არც ესკიზებს აკეთებს, თუნდაც ეს იყოს დიდი ზომის და რთული კომპოზიციური წყობის სურათი. მუშაობის დაწყება ტილოზე მისთვის ნიშნავს 6-7 საათის განუწყვეტელ შრომას, რათა სურათში, რამდენადაც შეიძლება, სისრულით გადაიტანოს წარმოსახვაში დაბადებული, ხორცი შეხსნას ისე, როგორც ეახება ფანტაზიით, წარმოდგენით, ახვე დროს აზროვნება არა მარტო ფორმითა და კონტურით, ნახატით, არამედ ძირითადად ფერებით, ფერთა ლაქებით, მათი ურთიერთშეხამებით, მისი სურათების საერთო ტონალობა გარკვეულად მელოდიურია და ამასთან ფერადოვან-კონსტრუქციული წყობითაც

„მუშანიის წამება“



თვისებურად გამორჩეული. ნინოს თავისი საყვარელი მხატვრებიც ყავს — ფირსმანი, ვან გოგი, მატისი, სალვადორ დალი... აჯადოებს მათი ფერთა სამყარო, უღვიძება ფანტაზიას და ბიძგს აძლევს მის ხილვებს, მაგრამ თავის შემოქმედებაში მაინც საკუთარი მხატვრული სამყაროს ერთგულია, ფერთა გამის საკუთარი შეგრძნება აქვს. ტონების სისუფთავე, გამჭვირვალეობა, რასაც იგი ინარჩუნებს კომპოზიციურად და კოლორისტულად რთული ამოცანების გადაწყვეტისას, კვლავ მეტაფორების მისი წარმოსახვის მდგრადობაზე, როცა წინასწარ მტკიცედ იცის როგორი ძალის, რა ნიუანსის და რა ტონალობის საღებავი სჭირია. ამიტომაც არ „აყვალვს“ ფერს, არ „გადაწერს“ ერთსა და იგივე ადგილს, თავს არიდებს ტუჭყსა და ყრუ ფერებს. ამასთან, გაბედულად მიმართავს აქცენტებს, გრძნობს, ესაუბრის ფერი როგორ გარემოცვაში იქცევა მეტყველ და ლამაზ აქცენტად, როგორ აღედრება საერთო გამაში: გრძნობს ფერადღვან კომპოზიციასაც, ლაქების რიტმს, მათი გაწონასწორების საჭიროებას.

ნინო ჯაფარიძის სურათები ერთმანეთისაგან განსხვავებულია კომპოზიციურ-ფერადოვანი გააზრებისა და ერთგვარად, თვით შეარსებების მხარის, ფუნჯით ფორმათა მოდელირების მხრივაც. ნამუშევრების ერთი ნაწილი შეარსებულია უფრო დაქიზად, ტონების ერთიმორეში შეუმჩნეველი გადასვლით, მეორე რიგის ტილოებში საღებავი, მონასმი პასტოზურია, მკვრივი, მაგრამ, ორივე შემთხვევაში, შინაარსიდან გამომდინარე „მხატვრული ხერხების“ შეჩვენებისას, დამუშავები ფერმწერი ინარჩუნებს ერთგვარ „სტილისტურ“ მთლიანობას.

რა თქმა უნდა, თვით ნამუშევრების ავტორისთვის ყოველივე ეს ჯერ გაუთვითცნობიერებელი შინაგანი გრძნობაა, შემოქმედებითი ტალანტის უშუალო გამოვლენა. უნდა ვიფიქროთ, რომ პროფესიულ საფუძვლებზე გადასვლა ნინო ჯაფარიძეს ახალ გზებს გაუკვალავს და ეს მიახლოება დიდი ხელოვნების ასაღებ მიჯნებთან წარიმართება კვლავაც ნიჭიერად, საინტერესოდ. — მნიშვნელოვანი, ემოციური, მხოლოდ საკუთარ აღქმასა და შეგრძნებაში დაბადებული აზრებისა და გრძნობების განსხვავების აღმავალი მიმართულებით.

ხილი, იქნებოდა ეს ფიგურები, სვეტები თუ თე-
თრი ბალთის ფორმა იედითის თმაზე. ყოველი
კომპონენტი გამიძრეოდა მოცულობითობით.
სივრცობრივი კომპოზიცია ხასიათდებოდა ფო-
რმების მიონუმენტური სიმკაცრით და გამოკვე-
თილობით, დეტალები — წონადობით. მიონუმენ-
ტურ-გამომსახველი რიტმით იყო გამოკვეთილ-
ლი მთელი კომპოზიცია. ამ ფორმათა ურთი-
ერთქმედებაში უღონდებოდა ფურთა შეპირის-
პირებაც. თეთრი და შავი ფერების კონტრას-
ტულ შესამებას, რაშიც მხატვარი გულისხმობდა
ბოროტსა და კეთილს, ღრმად ემოციური ხასია-
თი ჰქონდა. სპექტაკლში დიდ როლს ატარულე-
ბდა შუქი, რომელიც სცენური სივრციდან გა-
მოპყვოდა ცალკეულ ადგილებს. სპექტაკლს მიედ-
ნანძილზე ახლდა მუსიკა, იგი პარმიონულად

პ. ოცნელი სპექტაკლ „ურთოდ აკოსტას“ დეკორა-
ციის ესკიზი. კ. მარჩანიშვილის დადგმა.
1929 წ.



ერწყმოდა აქტიორების პლასტიკურ მოძრაობასა და მხატვრულ გაფორმებას: ტრაგიკული მელოდია ჯერ ყრულ გაიმოსდა, თანდათან ძლიერდებოდა, სიყვარულს სცემდა კი თავისებურ ფონს ქნინდა, ესაშვებოდა აქტიორთა მოძრაობას, შესტებს, მიხრა-მიხრას, პოზას, ამავე დროს უაღრესად სადა, ფაქიზი და დადგმის ძირითადი პრინციპით გამსჭვალული იყო.

როგორც რეჟისორმა, ისე მხატვარმა შეძლეს თანამედროვეთათვის მასობრივი ახალი დღეების მიგნება და ამასთანვე კლასიკური დრამატურგიული ნაწარმოების დედასწრის მთლიანად გამოვლინება. საინტერესო შეჯავსებას აძლევს ამ დადგმას გ. პავლოვი.

„ეს იყო ტიპური პიესა, რომელიც ბურჟუაზიის თავდაპირველ რევოლუციურ იდეებს გა-მოსხატავდა. აქედანვე წარმოსდგებოდა ის ინდივიდუალიზმი, ის ძლიერი ინდივიდუალისტური ნაკადი, რომელიც იხატება ამ მწვენიერ, ოსტატურად დადგმულ სპექტაკლში. „ურიელ აკოსტაში“, უდიდეს ტრაგიკულ განცდებთან ერთად, ვგრძნობთ მზიარულ აიონასს, გველავთ ფლობის ივრიათ უნარს. იგი გამორჩეულია თვით რენეგარდტის დადგმასთან შედარებითაც კი. რომელიც ბერლინში ვნახე. მე არ მინახავს მუსიკის, შუქისა და ფერების ანაოი ფობისა და შერწყმის უნარი, რაც „ურიელ აკოსტაში“ ვიხილე.“¹²

დადგმაში გამოყენებული იყო უმარტივესი სასულებანი. ყოველ მოქმედ ფორმას საფუძვლად ედო ლაკონიზმი, სასოვნება, სიმკვეთრე. მხატვრის მიერ გააზრებული მიგნებული შუქისა და ფერის შეხამება, დეკორაციის განათებული და ჩაბნელებული ნაწილების მონაცვლეობა გაფორმებას საერთო ორგანულ მთლიანობად აქცევდა. „ახალგაზრდა მხატვარი პ. ოცხელი დამ-დგმელის მოთხოვნათა სიმადლზე აღმოჩნდა — წერს ლუნაჩარსკაია-როზენტალი („სხოვნა გულისა“, გამოცემა 14, 1965 წ. გვ. 266). მისი გაფორმებით, „ურიელ აკოსტაში“ ერთმანეთს შერწყმა მონუმენტურობა და სისუსტე, არავითარი ტრადიციული პავილიონები, არც აქტიორების მოძრაობის შემზღვეველი მძიმე ხავერდის სამოსი, ვერავითარი ეთნოგრაფიული, თვით ისტორიულ დეტალებსაც კი ვერ შევხვდებოდით ამ გაფორმებაში; აქ ყველაფერი ემსახურებოდა ზოგადკაცობრიული ნებისთვის, იდუაბა ბრძოლის ექსპლორირებით ნაოლად გამოყვევას. და აი, კიდევ ერთი შტრიხი, რამაც ჩემზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა: „ორიენტალიზმი“. რამდენიმე მინახავს „ურიელ აკოსტას“ დადგმა, მაგრამ, გარდა ქართული თეატრისა, არც ერთ მათგანში არ ყოფილა აღმოსავლური კოლორტი. აქ კი ძლივს შესამჩნევად არის ეს აღმოსავლური თითქმის გასაგები ხდება, რომ ივდითს, ბენ-აი-ბასა და სხვებს პლასტიკა და ემოციურობა მემკვიდრეობით გადასცემიათ ბიბლიური დროის წინაპართაგან“.

კლასიკურ პიესაში სანახაობრივი სახის შექმნისადმი მხატვრის ინდივიდუალურმა მიდგომამ განსაზღვრა დადგმის მხატვრული ღირებუბები, რის შედეგადაც სპექტაკლის გარეგნულ სახე, გაცილებით მეტად, ვიდრე ადრე, გამოხატავდა მის შინაარსს. პ. ოცხელმა თავის შემანიშნავ ნამუშევარში შემოღო შენარჩუნების კოფუნული ფორმა და ოსტატობის კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე ასულიყო.

1930 წელს პ. ოცხელმა გააფორმა შელის დრამატული ნაწარმოები „ბეატრიკე ჩენჩი“ (რეჟისორი ვ. აბაშიძე). თუ რეცენზიების მიხედვით განსჯათ, ამ დადგმას არცთუ დიდ როლი შეუხრულებია თეატრის განვითარების ისტორიაში. მაგრამ ერთ-ერთ რეცენზიაში აღნიშნულია: „...მხატვარი პ. ოცხელი და რეჟისორი ვ. აბაშიძე თავიანთი ფართო კომენტარებითა და სპექტაკლის გაფორმებით, სადაც ნათლად ჩანს მათი დიდი ვეშვებითა და ტემპერამენტის გრძნობა, აქტიურთა შემადგენლობას საშუალებას აძლევენ მთლიანად წარმოაჩინონ თავიანთი ხელოვნება.“ („ზარი ვოსტოკა“ № 155, 1930 წ.)

სცენური სივრცის გადაწყვეტის ძირითად პრინციპად აღებული იყო სცენის სიღრმეში, კულისების მარცხნივ განლაგებული, წინ წამოწეული სამი კიბე თავისი პატარ-პატარა მოედნებით. თითოეული სცენური მოედნის გამოსაცავიკეებოდა ფერად მორიგობით ეშვებოდა, იცვლებოდა მოქმედების ადგილი. მხატვრის მიერ გააზრებული ყოველი დეტალი (ჯვარი, ფანჯრები, კარი) მოქმედებათა დამაკავშირებელ როლს წარმოადგენდა, რომელთა გადაადგილებით მრავალი პატარა მოედანი იქმნებოდა. ამ მოედნებზე იშლებოდა მეტყველი მიზანსაყენები, რაც სპექტაკლის სიერცობრივ დინამიკას განაპირობებდა.

ფერის გადაწყვეტა ერთგვარად მოვავიწინებდა „ურიელ აკოსტაში“ გამოყენებულ კონტრასტულ გადაწყვეტას. დეკორაციის კომპლექტურ ფორმებს, მკვეთრ სილუეტებს კიდევ უფრო თვალსაჩინოს ხდიდა ორი ძირითადი ფერი — ლურჯი და თეთრი. დიდი როლი ენიჭებოდა შუქს, რომლის მეშვებით უზრუნველყოფილი იყო ერთი ფერიდან მეორეზე გადასვლა (ლურჯი გადადიოდა შავში, თეთრს ცვლიდა მოცისფრო და ცისფერ-მწვანე ტონებში). ამ შემთხვევაში ფერთა ტონების დაპირისპირება აღიქმებოდა, როგორც მხატვრულ სახეთა დახასიათება, როგორც პიესის სიუჟეტის ტრაგიკული კონფლიტების განზოგადებული ჩვენება. ფერებითა და სახეებით სცენური სივრცის ამგვარი გადაწყვეტა მიზნად ისახავდა მოქმედების მაქსიმალურ განხანს. ყველა საგანს, ყოველ ფორმას, სახს, ფერს, სიმრტყეს გარკვეული ფუნქცია ენიჭებოდა. მხატვარი ისწრაფვოდა გამოხმასხველობით საშუალებათა ერთიანობით შექმნა სპექტაკლის



მხატვრული სახე, გაეხსნა პიესის ტრაგიზმი. სცენის უაღრესად მოხერხებული დადგენით მხატვარმა მიაღწია სცენაზე ავმტყველებინა ადამიანთა გრძობების უნაქიანი ნიუანსები, შექმნა მათი ურთიერთდამოკიდებულების ერთიანი უსივლილი, გაეხსნა ღრმა დრამატიზმი. კოსტუმები გადაწყვიტა ტექტონური ფორმებითან, არქიტექტურულ წყობათან გაემიჯნა. თავისი პლასტიკურობით კოსტუმები მივლი სცენური გარემოს ორგანული ელემენტი იყო. ფართო ნაოჭებიანი კოსტუმების საერთო მოხაზულობა და თავისებური კუბური ნახატი, ჭაბოების ანალოგიურად, გამოიყენებოდა იყო არა მარტო ფარდის, არამედ დეკორაციის ელემენტთა კუბურ ფორმებშიც. ექსპოზიტი გამორჩევა ცხოვრებისეულობით და ემსახურება მორაობის დინამიკის შექმნას. მხატვარი ცდილობდა ეპოვა თეატრალიზებული ფორმულები, მიეღწია უაღრესად სახიერი გადაწყვეტისა და განზოგადებისთვის.

მხატვრის მიერ შექმნილი სახეთა სამყარო სიმკაცრითა და სიტყვაურწიბით გამოირჩევა. ჩანს, სპექტაკლზე მუშაობისას სავებით ნათლად ჰქონდა გააზრებული დეკორაცია და კოსტიუმებიც. ფორმათა და ფერთა კონტრასტული დაპირისპირება მკაფიო გროტესკული სილუეტის წარმოქმნიდა. ზოგჯერ კი ცალკეული ფერადი კოსტუმები კონტრასტულად გამოიყოფოდა საერთო პირქუშ გამაში და სპექტაკლის მთლიან კოლორიტს ქმნიდა. მხატვარი ისწრაფოდა სპექტაკლის საერთო ემოციური ჟღერადობა გაქონდებოდა სინათლითა და ფერის ლაკონიური გამოყენებით, სცენური სივრცე გადაეწყვიტა ისე, რომ მიეღწია სხისი, მოცულობითი კომპოზიციის პლასტიკური მთლიანობისათვის. სპექტაკლზე მუშაობის დროს, ჩანს, მოხდა ერთგვარი გარდატეხა სცენური არქიტექტონიკის გატების თვალსაზრისით, რამდენადაც პიესის ხორცშესხმის (მიზანსცენების) სფეროში ახალი პრობლემები წამოიჭრა. ეს საერთო ტენდენცია ნაყოფიერი გამოდგა, მან განაპირობა სახეობის ასლმებურად გაგება სპექტაკლში.

ფერებითა და ფორმებით გამოიკვეთა კოსტუმები, რომლებმაც, ამავე დროს, შეინარჩუნეს დეკორაციასთან ერთიანი ტონალობა. მსახიობის ფიგურის კოსტუმით დეკორატულმა გამოყოფამ მხატვარს უკარნახა სცენურ სივრცეში ფერთა მოცულობების მკაფიო ნახატი წარმოჩენაც. მთელი ეს სისტემა, — პატივადი ფარდები, პატარა მოედნები, კიბეები და სხვა დეტალები მინაწილებდნენ მოქმედების ადგილას და დროს. უნდა ითქვას, რომ ამ სპექტაკლში, ისევე როგორც „ურიელ აკოსტაში“ პ. ოცხელა თუქვა მითათავა ფართო განზოგადების პრიციპს, მაგრამ არ ღალატობს სცენურ სიმართლეს. მოქმედების ადგილი მინაწილებულია მსუბუქი გამონახველი დეტალებით (კუბის მსგავსი სავარძელი, ჯვარცმა ვერტიკალურ სიბრტყეზე და სხვა).

სახასიათო ელემენტების მემკვიბით იქმნებულ პიესის შესაფერი გარემო, რომელიც არ იყო მხოლოდ მორბეული ისტორიულ სინამდვილეს.

ფორმათა განზოგადების გზით ახალ მხატვრულ საშუალებათა მიგრებამ მხატვარი სცენური სივრცის ასლმებურ გაგებამდე, დიფერენცირებულ სათანაშო მიოდნების შექმნამდე მიიყვანა, რაც მოქმედების დინამიკის საზგასმის საშუალებას იძლეოდა. სცენური სივრცის დეკორა გადაწყვეტა და ფერთა ურთიერთდამკარდა სპექტაკლს მაღალმხატვრულობას ანიჭებდა. მხატვრის შემოქმედებითი აზროვნება ამ სპექტაკლში მკაფიოდ გამოვლინდა ფერთა გამომსახველობით პირითობაში, ხაზების ფორმად, რაც მთავარია, როგორც ამ ძიებათა შედეგი, გამოიწინდა სცენური სახის მკაფიო სტილიზების ტენდენცია.

1933-1934 წლებში პ. ოცხელმა გააფორმა შექსპირის „ოტლო“. მხატვრის თეატრალური აზროვნება ყოველი ახალი სპექტაკლისთვის სცენური სივრცის ახალი გადაწყვეტის ძიებით წარმართებოდა. როცა გაფორმების ასლმებურად გაიაზრებდა, მხატვარი ცდილობდა ხაზი გაესვა, გამოეხატა, გამოეკვლინა პიესის დრამატული მოქმედების განვითარება.

პ. ოცხელმა „ოტლოს“ კონსტრუქცია ილუზორულ შთაბეჭდილებაზე ააგო. კიბე, ფარების განლაგება ფონის სახით ექვემდებარება სცენის სიღრმეში პერსპექტიულად მიმავალ ხაზებს, რაც სცენური სიღრმის საზღვრების გაფართოების რეალურ ეფექტს ქმნიდა. წვერდამართული შუების განლაგება დიდებულ შთაბეჭდილებას ახდენდა. ავანსცენის ახლის, პატარა მრგვალი მოედანი ნახაობებს დაემო. დეკორაციის მონუმენტური ფორმა სავსებით შესაბამისობა პიესის დრამატულ სიუჟეტს. პ. ოცხელს ძალუდა ჩასწვდომოდა პიესის დედააზრს და თავისებურად დაეახა იგი. ელუციაის სტატეში „ერთი თანაგარსკვლავიდიანს“, რომელიც ჟურნალ „ტეატრის“ 1967 წლის № 9-ში დაიბეჭდა, აღნიშნავს: „ოცხელის ასეთი ხედვა არ ნიშნავს სამუშეუმორესტავრაციული ნორმების გადაწყვეტას იყო, მასში ვერ ნახავდით ვერაფერს ტრაფარეტულსა და გაყვობილს“. ეს იყო საკუთარი, გარკვეული პირობებით გამოხატული ინდივიდუალური სტილი და არა სინამდვილის დამახინჯება. იგი ეფუძნებოდა პროპორციების ზომიერების გრძობას. მხატვარი სპექტაკლის სახასიათობით მხარეს აქდერებდა ისტორიზმის არა მშრალი გამდგომებით, არამედ შეეძლო საგანთა დეტალების გათანაშუებით შექმნა კოქის ატიმოსფერო. მხატვრის შემოქმედებითი ჩანაწერი გულისხმობდა დეკორაციის ხედვას არა როგორც ჭერტითი ელემენტისა, არამედ როგორც ფონისა, გარემოსი მოქმედ პირთათვის. პ. ოცხელი

ფლობად თეატრალური მხატვრის აუცილებელ უნარს — შეფერწო ყოველი სახე, შემოქმედებითად ჩაეხედა დრამატული ნაწარმოების სიუჟეტში და მუდამ ოსტატურად გამოეყო კულმინაციური მომენტები ძირითად მოქმედებისაგან, თანაბრად ეფენებოდა კონფლიქტების სიმძაფრე, ჩავედომოდა ადამიანური განცდების სიღრმეებს.

კლასიკოსთა დრამატული ნაწარმოებებისა და თეატრალური მხატვრების შემოქმედებითმა შეხვედრამ კაცობრიობას თეატრალური ხელოვნების შესდევრთა ურცხვი რაოდენობა შესძინა. სხვადასხვა სკოლის მხატვრები ქმნიდნენ პიესის შინაარსის გააზრების ახალ-ახალ გამომსახველობითს, კონსტრუქციულ, ფერწერულ-მოცულობით გადწვევებს. კლასიკოსთა ნაწარმოებების გაფორმებისას მხატვარი შემოქმედებითი ძიების თავისებურ სკოლას გადის, აღრმავებს თავის ცოდნას და ავლენს ნაწარმოების ინდივიდუალურ გააზრებას. თუმცა ყოველთვის როდი უმართლებს, მაგრამ თავისებურ სტიმულს მუდამ აძლევს შემდგომი მუშაობისათვის. ჩვენთვის ძნელია განვსაჯოთ, როგორ გამოიყურებოდა მთლიანობაში პ. ოცხელისეული გაფორმება სპექტაკლ „ოტელოსი“, ვინაიდან შემორჩენილი, არსებული ესკიზები საამისოდ მცირეა, მაგრამ მათზე დაცრდილობიანად ნათელია, რომ პ. ოცხელმა ახალი სული შთაბერა უ. შექსპირის პიესას, მის იდეებს. ე. ლუკკაის აზრით, „ილე-განტური, დაჯერებული თვის უფლებებში — სწორედ ასე დაინახოს პიესა და მისი სახეები, პ. ოცხელის პროფესიონალიზმი უჩვეულოდ და ძნელად წარმოსადგენად უთავსებს ახას ახალგაზრდული ფანტაზიისათვის შესაძლო — დაკანონებულიას და მცდარად გაგებული ტრადიციებისადმი უცხოობას. ამასთან, პ. ოცხელი მიზნად როდი ისახავს შექსპირის სახეითი ინტერპრეტაციის ნორმების რეფორმას და გადასინჯებას, მაგრამ მისი ესკიზები ობიექტურად ასახავს შექსპირის სცენური განსაზღვრის საერთო ტენდენციას შექსპირის მასშტაბების შესაბამისად. დრამატურების პუნანური და, ესე იგი, ყოველი ეპოქისათვის თანამედროვე იდეების გახსნის მხრივ პ. ოცხელი იმ საბჭოთა მხატვრებს შორის დარჩა, ვისაც პატივი ხვდა ახლებურად წაეკითხა შექსპირიანული კლასიკა“.


პიესის არს მხატვარმა ხორცი შეასა გროტესკის ფორმით, იგი ისწარფოდა პლასტიკურად წარმოუესახა იმ სამყაროს სახე, რომელშიც გმირები ცხოვრობდნენ. თეთრისა და შავის კონტრასტული შეხამება, საფეხბურბრივი ნახევრადმრგვალი დანადგარები, სცენაზე განლაგებული საგნების მკაცრი გამოკვეთილობა — ყოველივე ეს ოცხელს განსახეავებდა შექსპირის ნაწარმოებთა ადრინდელი გაფორმებლებისაგან. სცენური მოედნების მიერ შექმნილი სივრცითი კომპლექსი, რომელიც სცენის საქუსარამდე მო-

დის, ვერტიკალური კომპოზიცია მხატვრის საშუალებას აძლევს განალოგოს და განავითაროს სპექტაკლის ძირითადი მოქმედებები. მუქღოსს და სანთლებისა და ფაქელების მოციმციმე შუქს, ტრაგიზმთან ერთად, სპექტაკლისათვის უნდა მიენიჭებინა მითრთოლავრე რომანტიკული კოლორტი. სათამაშო მოედნებით, კიბეებით, კულისების კომპინაციებით მხატვრის მიერ მიღწული ეფექტი ლაპარაკობს მის უნარზე გამოიყენოს სცენური მოედნის მდიდარი სივრცობრივი შესაძლებლობანი, ამასთან, მოქმედების მსვლელობისას მოახდინოს საგანთა ტრანსფორმირება, სხვადასხვაფერად განალოგოს და „გაათამაშოს“ ხედვის წერტილოს, შუქის, ემოციური წაკითხვის მიხედვით, და ყოველივე ამასთან შეთანხმებით ააგოს სანახაობა. ოცხელს ძალზე სწამდა ერთი გამომსახვევი დეტალი, — საგანგებოდ შერჩეული, ყველაზე უფრო სახასიათო და კანდიითი.

განსაკუთრებული ადგილი მიეკუთვნება კონსტუმების ესკიზებს „ოტელოსათვის“. სცენური მოედნის კონსტრუქციული გადწვევტა ოცხელს კარნახობს კონსტუმების ძირითად მოსაზულობას. მოქმედი პირის გარეგნული სახე მუდამ მისი შინაგანი სულიერი თავისებურებების შენატყვისად იქნებდა. ფიგურა მხატვრის მიძრბობაში ესახებდა და ილუუმტა დამაბულ პლასტიკურობას ანიჭებს. კონსტუმის სახის შექმნისას მხატვარი

პ. ოცხელი ჩანახატ კ. მარჩანიშვილის დადგმისათვის „ბუბატრიჩე ჩანჩი“. 1930 წ.





პ. ოცხელის ჩანახატი საპეტაკლისათვის „ოცხელი“ კ. მარჯანიშვილის დადგმა, 1933 წ.

გამომდინარეობს მონუმენტური, მოცულობითი დანადგარის გეომეტრიული ფორმიდან და ოდნავ შესამჩნევ შტრიხით შემოხაზავს მას. როცა დეზიდემონას სამოსის ესპიზს ვუშვით, „უჩებურად“ გაგონდება რენესანსული ნაძატების ვირტუოზულობა და ქართული შუსაუკუნეების ფრესკის დახვეწილი პლასტიკა. მაგრამ, რაც მთავარია, ფიგურის ექვეციურ სამოსში, შკაფიოდ დასრულებულ ნაკეთებში შეიგრძნობთ სულს ფეთქავს, სულეირ დამოუკიდებლობას. ეს მხოლოდ ესპიზი როდია, ეს თვით სახის რეესორული ექსპლიკაცია, მხატვრის მიერ დანახული „ძალთა განლაგების“ ჩვენება მომავალ საპეტაკლოში. — აღნიშნავს ე. ლუცკაია. ქალთა და მამაკაცთა კოსტუმები მონუმენტურად გაშლილი დრაპირებული ლაქებია, რომლებშიც თითქოს იკარგება ფიგურები. მაგრამ თუ მამაკაცთა კოსტუმების ნაოჭები ქმნიან გარკვეულ, გეომეტრიულ, მწყობრ და მონოლითურ ფორმას, ქალთა სამოსში ქალურობაა ხაზგასმული, ზოგიერთი დეტალი კი ივევლირული სისუსტით ხასიათდება.

საპეტაკლის მთელი სახვითი იერი გვაოცებს თავისი გრანდიოზულობით და მასშტაბურობით, მაყურებელს რომ გმირული და ტრაგიკული მონუმენტების აღსაქმელად აზვადებს.

პ. ოცხელის მუშაობა თეატრში კ. მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით მხატვრის შემოქმედებითი ძიების განვითარების ნათელ სურათს

ქმნის. ყოველ საპეტაკლოში მხატვარი ისწრაფვოდა გაემდიდრებინა მიგნებული არქიტექტურული ფორმები ფერწერული გამომსახველობითა და სკულპტურული მონუმენტურობით. პ. ოცხელის ხელოვნება იშვიათი ძალისაა, რომელიც მუდამ რაღაც მოულოდნელ სიასლეს შეიცავს. თითოეული საპეტაკლის მხატვრობა, პიესის ჟანრისაგან დამოუკიდებლად, ქმნიდა მოქმედების ფაქტს ემოციურ ატმოსფეროს, მაყურებელს განაწყობდა გმირული და ტრაგიკული მონუმენტების აღსაქმელად. მხატვრის სტილის მშვიდი სიხსადე თითოეულ გაფორმებაში ორგანულად ერწყმოდა რეესისტორის ჩანაფიქრის ძირითად პრინციპს, ახამებდა სიუჟეტურ თხრობას გონივრულად და ზუსტად მოძებნილ ფერწერულ-დეკორაციულ ეფექტთან.

სცენის მხატვრულ-დეკორაციული გადაწყვეტის რთულ პრობლემებთან ერთად მხატვარი ცდილობს ახალი პოზიციებიდან გადაწყვეტის კლასიკური თემატიკის ეროვნულობის ჩვენება და თავისებურად შეასახს მას ხორცი საპეტაკლოში.

ამრიგად, თეატრალური მხატვრის სცენურ გადაწყვეტაშია დიახაზონი ფართოდება, შემოქმედი ავანებს სტილისტური გადაწყვეტის ახალ გზებს. მხატვრის დეკორაციული ფოკუსირულობა ყველაზე მეტად გამომქვანდა იმ საპეტაკლებში, რომლებშიც იგი უფრო გრძობდა რიტმულ ჰარმონიას, ქმნიდა ახალ დეკორაციულ კონტურებს და ანიჭებდა მათ განსაკუთრებულ გამომსახველობას. „სიერკის, დროის მუდმივი საჭიროება დროდარო ბადებს ფანტასტიკურად მშვენიერ მხატვრულ გადაწყვეტას“ — წერს ვ. ბოროესკი („თეატრის მხატვრები“, „ტეატრი“, 1972 № 4), პ. ოცხელის ნაშრომებში სცენური სახის მხოლოდ სანახაობრივ-სიერცობრივ მხარეს როდი ვხედავთ, მისი მხატვრობა მჭიდროდ უკავშირდება პიესის იდეას, გასცდება, მწყავე კონფლიქტებს. მხატვარს აზროვნების სიმართლედ მისმა მასწავლებელმა კოტე მარჯანიშვილმა შთაუხერგა. მარჯანიშვილი მოითხოვდა დეკორაცია ყოფილიყო სადა, ლაკონიური, ფერადოვანი და სახასიათო. მუსიკას და აქტიორის მოძრაობას დეკორაციის ფონზე უნდა შეექმნა მადალმეოციური ტონალობა. პ. ოცხელი ფაქიზად გრძობდა კ. მარჯანიშვილის დადგმების მუსიკალურ ტონალობას და აქსოვდა მას დეკორაციებში. იგი ეზიარა თავისი მასწავლებლის მრწამსს და ერთგულად მისდევდა მას ბოლომდე.

პეტრე ოცხელი, ჭეშმარიტად თეატრალური მხატვარი, უჩვეულო სიმაფრთხილად გრძობდა სცენას, იგი ცოცხლობდა თეატრით, სულდგმულობდა მისი პრობლემებით.


„ამფი-თეატრო“ თბილისში

თბილისის საგასტროლოდ წევრია ათენის ერთ-ერთი სახელმძღვანელო თეატრალური დასი „ამფი-თეატრო“. დასის ხელმძღვანელია მრავალი ექსპერიმენტული სპექტაკლის დამდგმელი, ცნობილი ათენელი რეჟისორი სპიროს ევანგელატოსი. ათენის თეატრმა თბილისში ჩამოიტანა ორი სპექტაკლი: „ეროტოკრიტოსი“ და „ოდისეა“. „ეროტოკრიტოსი“ შექმნილია მე-17 საუკუნის ცნობილი ბერძენი პოეტის ვინცემოს კორნაროსის ეპიური პოემის მიხედვით. კორნაროსის პოემაში აღწერილია ორი ახალგაზრდა ქალ-ვაჟის ეროტოკრიტოსისა და არეთუსას ტრაგიკული სიყვარული. „ოდისეა“ საფუძვლად დაედო ჰომეროსის ამავე სახელწოდების პოემა. სპექტაკლის დედააზრია ფიზიკურად და სულიერად ძლიერი, გამჭირახე ადამიანის ბრძოლა ბუნების სტიქიური და შვეუცხოვლი მოვლენების წინააღმდეგ. სპექტაკლები ინსცენირებული და დამდგმულია სპიროს ევანგელატოსის მიერ. მსატრედულად გააფორმა გიორგოს პაცანმა, მუსიკა ევუთის იანის მარკოპულს.


სპექტაკლ „ეროტოკრიტოსი“ როლებს სამი დროის მიხედვით სამ-სამი მსახიობი ასრულებს, მათ შორის ზოგი უკვე ცნობილია საბერძნეთის თეატრალური საზოგადოებისათვის. ეროტოკრიტოსის როლს ასრულებენ სტატის კაკკავსი, კოსტას ბასისი და ნიკოს ბუსდუკოსი, არეთუსას — ანი ლულუ, ილიას ლამბრიდუ და ლიდა ტოსოპულო, პოეტის — ლეფტერის ვოიტისი, ნიკოს ბუსდუკოსი, ელიას ლოგოტეტისი.

„ოდისეაში“ სამეშრულბლო ოსტატობით გამოირჩევიან ნიკოს ბუსდუკოსი, ლეფტერის ვოიაცისი, სტატის კაკკავსი, ოლგა სტაფრაკა, ტიტე სენიკაი, ილიას ლამბრიდუ და სხვები.

ათენის „ამფი-თეატრო“ ქართველმა მყურებელმა თბილად მიიღო.



ორი სცენა სპექტაკლიდან „ეროტოკრიტოსი“
ორი სცენა სპექტაკლიდან „ოდისეა“



საინჟინერო გამოცემა

ირინე მერაბიშვილი

საქმიანი ხელოვნების ეროვნული კადრების მაღალ დონეზე მოსამზადებლად, სსრკ სამხატვრო აკადემიამ ჩვენს რესპუბლიკაში დააარსა შემოქმედებითი სახელოსნოები. მოსკოვის, ლენინგრადისა და კიევის შემდეგ ეს სახელოსნოები თბილისშიც შეიქმნა (პირველად ფერწერის, მოგვიანებით — ქანდაკების და გრაფიკის სახელოსნოები) და ამ საქმის ერთ-ერთი მოთავე დანიციატორია ამჟამად ფერწერის სახელოსნოს ხელმძღვანელი, სსრკ სახალხო მხატვარი, სსრკ სამხატვრო აკადემიის ნამდვილი წევრი პროფესორი ურა ჯაფარიძე. გადაიხაზა სიძნელეები, რაც ახლავს ხოლმე ყოველ ახალ საქმეს. ამ შემოქმედებითი სახელოსნოებიდან ფერწერის დარგში კურსდამთავრებულთა ორი ნაკადი გამოვიდა, ქანდაკებისა და გრაფიკის დარგებში — ჯერჯერობით ერთი (ფერწერის სახელოსნო 1970 წელს გაიხსნა, ხოლო ქანდაკებისა და გრაფიკის სახელოსნოები ცოტა მოგვიანებით — 1972 წელს), ქანდაკების სახელოსნოს ხელმძღვანელია საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი, სსრკ სამხატვრო აკადემიის ნამდვილი წევრი, პროფესორი ვალენტინ თოფურიძე, გრაფიკის სახელოსნოს ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი, სსრკ სამხატვრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი პროფესორი სერგო კობულაძე.


სახელოსნოების მეურვეობა საკავშირო სამხატვრო აკადემიის კომპეტენციაში შედის. აქ მოსწავლე მხატვრებს დანიშნული აქვთ მაღალი სტიპენდია, საშუალება ექვლიათ ისარგებლონ ცალკე სახელოსნოთი, უფასო მასალათ, შემოქმედებითი მივლინებებით სსრ კავშირის სხვადასხვა ქალაქში და აგრეთვე მის ფარგლებს გა-

რთავც. ასე, მაგალითად, ფერწერის სახელოსნოს მხატვრები ო. კატკაჭიშვილი და ო. ჩუბინიძე იყვნენ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ხოლო მოქანდაკე გ. შვავცაბაია თვენახევარი იტალიაში იმყოფებოდა შემოქმედებითი მივლინებით.


შემოქმედებითი სახელოსნოების მხატვართა წარმატებებზე მეტყველებს ის პრემიები და ჯილდოები, რომლებიც მათ ხვდათ საკავშირო ელ რესპუბლიკურ გამოფენებზე, საკავშირო გამოფენაზე „ქვეყნის სიტაბუკე“, რომელიც გასულ წელს მოსკოვში მოეწყო გიორგი შვავცაბაიამ და გივი ლაპიშვილმა სსრკ სამხატვრო აკადემიის ვერცხლის მედლები დაიმსახურეს, პირველი პრემია მიენიჭა გიორგი წერეთელს.

საქართველოს თეატრალური საზოგადოების, ჯ. ხორავას სახელობის მხახიობის სახლის საგამოყენო დარბაზში ექსპონირებულმა, შემოქმედებითი სახელოსნოების მხატვართა ნაშეუქმებების გამოფენამ პირველ ყოვლისა გვიჩვენა მხატვართა მაღალი პროფესიული დონე. კარგად იყო წარმოდგენილი სახეითი ხელოვნების სამივე დარგი — ფერწერა, ქანდაკება და გრაფიკა. როგორც გამოფენის გახსნისას უ. ჯაფარიძემ აღნიშნა, ექსპონატების რიცხვი საგრძნობლად შემცირდა საგამოყენო დარბაზის სიმცირის გამო, მაგრამ ისიც, რაც ექსპოზიციაში მოხვდა, ნათელ შთაბეჭდილებას უქმნიდა მაყურებელს ახალგაზრდა შემოქმედთა პროფესიულ მონაცემებსა და მისწრაფებებზე.

თითქმის შესაძლებელი იყო ახალგაზრდა მხატვრები მოქცეულიყვნენ მათი მასწავლებლების — გამოჩენილი ისტატების გავლენის ქვეშ,



ვ. ჯიბუტი მეჩაიეები
 ა. თოფურძე შუმოდგომა
 თ. ცხონდია მღუსეები
 გ. აღაიშვილი მებურეები
 ვ. ბასიშვილი ინდუსტრია
 ზ. წერიელი სერაიიდან „ჩემი რესპუბლიკა“
 ახალგაზრდობა“
 ნ. ცინცაძე ლექსები
 მ. ნონიაშვილი გეოლოგები





მაგრამ გამოფენაზე წარმოდგენილ ნამუშევრებში უმნიშვნელო კვლევ კი არ იყო რაიმე მატერიალური დაპირი გაგლევისა. იგრძნობა სრული შემოქმედებითი დამოუკიდებლობა. ეს თვალნათლივ ჩანდა ყველა აქ წარმოდგენილ დარგში.

გამოფენის ყოველი მონაწილე თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის აღზრდილია. მათ შემოქმედებას უკვე ვიცნობთ გამოფენებიდან. შემოქმედებითი სახელოსნოს მხატვართა საანგარიშო გამოფენაზე კი თითოეული მათგანი რამდენიმე ნამუშევრით იყო წარმოდგენილი. რითაც ექსპოზიციას ერთგვარად შემაჯავებელი ხასიათიც ჰქონდა.



ფერწერის სახელოსნოს წარმომადგენელ რამდენიმე მხატვარი და თვით ერთ-ერთი მათგანის ტილოზე სწორედ სახელოსნოს ყოველდღიურობაა აღბეჭდილი: გივი აღაიანიშვილის ტილომ „სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის შემოქმედებითი სახელოსნოში“ ჯერ კიდევ გასულ წელს საშემოდგომო გამოფენაზე მიიპყრო ყურადღება, შემდეგ კი საკავშირო გამოფენაზე „ქვეყნის სიტახუკე“ ვერცხლის მედალი დაიმსახურა. დიდი ზომის სურათი ფერწერულად და კომპოზიციურად საინტერესოდ იკითხება. მხატვარი წარმოგიდგენს სახელოსნოს შემოქმედების ატმოსფეროს, აქ მომუშავე ახალგაზრდა მხატვრებს (აღაიანიშვილი, ჯობუტი, ვეფხვაძე, კაკაბერიძე, ცხონია) და მათ ზღმძღვანელს უნა ჯაფარიძეს. მხატვრები ჩანს, რაღაც შემოქმედებით ამოცანაზე დაფიქრებულან, ან, იქნებ, ესაიხს იხილავენ. მათ ფიგურებს სიმბოლურად შემოჯარია სუფთა, დაუნახავი ტილოები და თითქმის ელიან, რომ ამტყველდნენ სხვადასხვა ფერად, გრძნობად, აზრად. კომპოზიციაში, რომელიც რკალისებურად იშლება, მთავარი ფიგურა პედაგოგია, ჩაფიქრებული. მთავონებელი სახით იგრძნობა თუ როგორ ყურადღებით უსმენენ მას ახალგაზრდები. პედაგოგი კი შესცქერის ესაიხს, რომელიც დიდ ტილოზე გადატანას ელის და გულისყურით აკვირდება მას. აღაიანიშვილი აქ წარმოგიდგება, როგორც ნიჭიერი პორტრეტისტი და ფერწერი. ტილო ჯგუფურ პორტრეტებს მიეკუთვნება და სიჩართილი წარმოგიდგენს ერთიანი განწყობილებით მოცულ მხატვართა პორტრეტულ სახეებს. იგი ერთ-ერთ საყურადღებო ნამუშევრად მიგვაჩნია ახალგაზრდა მხატვრის შემოქმედებაში.



გ. აღაიანიშვილის ორი სხვა ჟანრული ტილო „კარაქის დღეება“ და „მეპურეები“ შესრულების მხნერით მკვეთრად განსხვავდება აღნიშნული ტილოსაგან. ორივე ეს ნამუშევარი თითქმის ერთი განწყობითაა შექმნილი. კომპოზიციები მყარადაა შეკრული და კარგად ხსნის მთავარ მხატვრულ იდეას. ფერშიც საინტერესოადაა გააზრებული და გადაწყვეტილი — მშვიდი ხორბლისფერები თამაშობს მუქ-ყავისფერ და მომწვანო-ყვითელ ფერებთან.

მისივე ორი ფერწერული პორტრეტი ასევე



განსხვავდება დანარჩენი ნამუშევრებისაგან. მათში ნახი ლირიკული ინტონაციები ჭარბობს და ავტორის სულ სხვა ანბალში წარმოვიდგენს. აღაპიშვილის სახით უდავოდ ერთ-ერთი საინტერესო ფერმწერი აკავებს ქართულ მხატვრობას.

ივანე ვეფხვიას მრავალფეროვანი კომპოზიციონერ მხატვარ-რესტავრატორთა მუშაობის ერთ-ერთ მომენტს ასახავს. ქართული ტაძრის ინტერიერში, ხარაიოზედა შენგვარი რესტავრატორები ფრესკებს ფრჩხილად აცილებენ ჯამთა სიაყის ნაიარევს, რათა პირვანდელი იერი დაუბრუნონ მას. გამოფენაზე წარმოდგენილი, ამ სურათის მცირე ზომის ესკიზი, ჩვენი აზრით, უფრო საინტერესოა ფერწერული ამოცანების დასმითა და გადაწყვეტით.

განსხვავებული მანერითაა შესრულებული მისივე იქიმეიკოსები, კერძოდ ქარხნის კონსტრუქციული ხედის ფონზე სამი ქიმიკოსის ფიგურა გამოხატული. ფონის რიტმულობას შეესატყვისება იატაკის კვადრატული მოზაიკა. ფერთა მკვეთრი კონტრასტები საერთო ცოცხალ კოლორიტს ქმნის.

ფორმის მკაფიო მოდელირებით, მოყავის-ფრო-გამჭვირვად გამაზღა დაწერილი, „მისინი“ — ქალაქის ერთ-ერთი უბანი, სადაც სიმეტრიული ხაზობრივი საწყისებია აქცენტირებული.

მანერის, მხატვრული ამოცანისადმი მიდგომის სხვადასხვაბა გამოარჩევს აგრეთვე ვაჟა ჯიბუტის ფერწერას. კერძოდ, „შემოდგომა“ და „მეჩაივები“ სრულიად განსხვავებული ფერადოვანი თუ ტექნიკური ხერხებითაა შესრულებული. ორი ერთული — პეიზაჟი მოსამზადებელი მასალა დიდი ტილოსათვის, „შემოდგომა“, რომელიც ორიგინალური გადაწყვეტითა და ფერწერული ორნამენტებით გვიზიდავს, „შემოდგომა“ დაწერილია მსუყვე მონასმებით, აგებულია მკლერი ფერების თამაშზე, გამოირჩევა სხვა ნამუშევრებიდან. ტილოზე სოფლად მოსავლეს ზეიმიასახული. შრომის ხალისიანი ატმოსფერო სუფევს ყველგან — აგერ თივა მიაქვთ ხარებზემული ურბით, სიმინდს ტყენს, ხიდან ნაყოფს კრეფენ... სურათი ნათელი, ხალისიანი ფერებითაა აღსავსე.

კოლორიტის თავისებური შერჩევით ხასიათდება თეატრული ცხონიდას ფერწერა. მის ტილოზე „შემოდგომა“ რთულია განადგობი. მხატვარი ფართო ფერადოვანი მონასმებით წერს ტილოს და სიუჟეტს საინტერესოდ ხსნის, „ცხენონები“ — ასე უწოდებ მან ერთ-ერთ ნამუშევარს, რომელიც მშვიდი, სასიამოვნო კოლორიტშია გადაწყვეტილი. ფიგურები კომპოზიციურად მონდენილდაა განლაგებული.

სიუჟეტის შერჩევით, კომპოზიციით, ტიპაჟით, ფერადოვანი წყობით შთამბეჭდავი და გამომხატველია ჟანრული ტილო „მლესავენი“. ქვით მოკირწყლული ქუჩის პირას, საღვს დაზგებთან დგანან მლესავები და „მუშტარს“ ელიან. მთელი ამ სცენის დღევანდლობას მხოლოდ

წინა პლანზე მდგომი პატარა ბიჭუნა მიაჩნის, სპორტულად ჩამცული და ხეობდახალხში. მისი თითქმის აბრევს მომენტის სიმუდროვებს და მას ძველბოლისურ კოლორიტში, ამ სცენას რომ ასლავს, ახალი ნოტა შეაქვს. მუქი ყავის-ფერ-რუბი ტონალობა ვარგის შეესატყვისება ნაწარმოების მინარსს. თითქმის ძველი თბილისის ინტონაციები ასლავს სურათსაც, „ნაყინის გამყიდველი“. ამ ნამუშევრებში თ. ცხონიდა ორიგინალური და თავისებური ხელწერის მხატვრად მოგვეჩვენა.

ომარ კატაკატივილის შემოქმედებაში წამყვანია პეიზაჟი. ძანრული ხასიათის კომპოზიციამაც „თიბია“ აქცენტი პეიზაჟის სილამბის გადმოცემაზეა გადატანილი. გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მოგზაურობის შედეგად მხატვარმა ჩანახატების საინტერესო ციკლი შექმნა და ამ გამოფენაზე გაგვიანო გერმანული ქალაქების თავისებურად მომხმობელი იყრი. ეს სურია გუამით არის შესრულებული და ნათელი კოლორიტით, ლაღი მონასმებით სასიამოვნოდ იკითხება მისი სხვა ფერწერული ტილოების გვერდით. თ. კატაკატივილმა ორი „ქართული პეიზაჟი“ გამოფინა. ორივე სურათი მწუხრის ჟამს, შეზინდებისას წარმოგვიდგენს საქართველოს ბუნებას და შესაბამისად ცივ, მუქ მოვერცხლოს-ფრო-მორუბო ტონებითაა დაწერილი. როგორც სხვა ნამუშევრები, ისინაც მონასმის სითამამით და ფერის ძღერადობით ხასიათდებიან.

ფერწერის სახელისოსი პირველ გამოშვებას შეადგენენ ომარ ჩიხიძე, ზაურ დადიათია, ილია პატაშური, ზაურ გილაჯა და სერგო კენჭაძე, გასული წლის მთვრე ნაკადს — გივი აღაპიშვილი, ივანე ვეფხვი, ვაჟა ჯიბუტი, თენგივ ცხონიდა და ომარ კატაკატივილი. ამჟამად აქ პროფესიულ წერთანს აგრძელებს მხატვართა ახალი ჯგუფი.

გამოფენაზე ქანდაკების სახელისონი წარმოდგენილი იყო ვიქტორ დრონოვის ჯემალ რუხაძის, არჩილ თოფურბიძის და გიორგი შხვაცაბაძის ნამუშევრებით. მათ სახელებს ასევე კარგად იცნობს ჩვენი საზოგადოებობა რესპუბლიკური თუ საკავშირო გამოფენებიდან.

გიორგი შხვაცაბაძის ხუთი სკულპტურული კომპოზიციით იყო წარმოდგენილი. „გაზაფხული“ — ასე უწოდებ მან თანამორთი შესრულებულ, ახალგაზრდა ქალის ფიგურას, რომელიც წლის უშვენიერეს დროს განასახიერებს. ოღნავ გვერდზე გადახრილი თავითი, ხელების მშვიდი მოძრაობით იგი თითქმის გაზაფხულის პირველ ყვავილს — ენქელას მოგვაცხნებს. კანდამისი-ლება, შინაგანი გრაციოზულობა გზიბლავთ ამ მშვენიერი ქანდაკების ხილვისას. „გაზაფხულმა“ საკავშირო გამოფენაზე „ქვეყნის სიტაბუკ“ საკავშირო სამხატვრო აკადემიის ფერცხლის მედალი დაიმსახურა.

სხვადასხვა პლასტიკურმა ჩანაფიქრმა შესი-



სა ხორცი გ. შხვაცაბაიას მიერ ზომის ქანდაკებებში. „დილას“ — სიციფობით სავსე ახალგაზრდა გოგონას საპირისპიროა, ნაზი და გრაციოზული „ცეკვა“. ჩვენი აზრით, ცოტა პრეტენზიულია „ტორსი დრაპირებით“, მაგრამ აქაც ჩანს, რომ მოქანდაკე ახლის ძიებაშია. ასევე თავი სებრით ჩანაფიქრია „დეკორატიული ტორსი“, რომელიც ორთავიანი იანუსის — დილის და საღამოს ერთიანობის სიმბოლოა ახლებურ ინტერპრეტაციად უნდა მივიჩნიოთ. ამ ქანდაკებაში ერთი სახე ახლად გაღვიძებულ, შეიწყნებულულად წარმოვიდგევა, მეორეს კი თითქოს საღამოს ჩაფიქრებული და მოქანცული იერი აქვს.

არჩილ თოფურბის ორ, საუალო ზომის ბარელიეფებში „ბერიკაბობა“ და „შემოდგომა“ (ტორნერული თამაში) ორიგინალურადაა გახსნილი თემები. დინამიკურია ბერიკაბის მხიარული სვლა. შავფირი რიტმი, დახვეწილი პლასტიკა, ფიგურათა ორნამენტული განლაგებით მიღწეული დეკორატიულობა სასამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს. ბარელიეფები ფერწერულადაა ტონირებული. მსგავს ძიებებს, კერძოდ, „პლასტიკის და ვერწერის ენის დაახლოების გაბეჭდვით ცდას გვხვდავთ ა. თოფურბის „გოგონას პორტრეტში“. დასმული ამოცანა, თავისთავად საინტერესო და ახალია, თუმცა, შესაძლოა, სადავოც იყოს.

ა. თოფურბის „მოტიდავე“ შერკინებისათვის გაზაფხულა. მძლავრი, დაკნინებული ხელები, ჩამჯდარი კისერი, დამაბული, ოდნე წინ გადახრილი ფიგურა, სახის ძლიერი გამოხატულებული ჩვეს წინაშე სპორტსმენის მეტყველ სახეს ქმნის.

ა. თოფურბემ და გ. შხვაცაბაიამ გამოყენა ეს კარაფიკული ნამუშევრებიც წარმოადგინეს. უნაირი მოსამზადებელი ელემენტები, ჩანახატები, სხვადასხვა ჩანაფიქრის შემცველი მხატვრული სახეები.

ალსანიშნავია, რომ ორივე მოქანდაკე შესანიშნავად ფლობს ფანქარს, კალამს, პასტელს, ტუშს. ფორმის გრძობა, ხაზის სიზუსტე და ექსპრესიულობა, შტრიხის სისუფთავე და ინტენსიობა ჩანს ამ ნახატებში.

ჯგუზალ რუხაძის „კოლმურენე ქალი“ ნატურალურზე დიდი ზომის ფიგურაა, რომელშიც ავტორმა პოპულარული თემის თავისებური და საინტერესო გადაწყვეტა მოუგვა. ქალი — შრომელი, საქმის ერთგული, ფიზიკურად მძლავრი და ჯანსაღი — ასეთია ეს სახე. შიშველი ფეხები იგი მაყარად დასა მიწაზე, ხასიათის სიმტკიცეა და სიძლიერეზე მიანიშნებს მისი პოზა. მოდელირება სადაა. ცელი, რომელიც ქალს ხელში უჭირავს, კრავს და ერთგვარ დეკორატიულ ელემენტს აძლევს მთელ კომპოზიციას.

როგორც პორტრეტისტი, მოქანდაკე კარგად გამოიჩინა „სტუდენტ გოგონას“ და „მუსიკის-მცოდნე ი. ავაქიძის“ პორტრეტებში.

ერთი ნამუშევრით იყო წარმოდგენილი გა-

მიღენაზე ვალერი დრონივი. ფეხბურთელი სპორტსმენი — შეაერც გამოხატული იმ მომენტში, როცა იგი ნახტომით იჭერს ბურის. ფიგურა მთელი ტახით პაერშია და სიცრვის დიკაონალურად ჰკვეის. ქანდაკება დინამიკური და შთაბეჭდილია. იგი მონუმენტურადაა გააზრებული, რაც შესაძლებლობას იძლევა გაიღებულ ვარიანტებში მუდმივ სპორტული ნაგებობისათვის იქნეს გამოყენებული.

ამრიგად, თითოეული მოქანდაკე საკუთარ სახით, ერთმანეთისაგან განსხვავებულად წარმოვიდგა. ამასთან, ისინი გამოჩნდნენ, როგორც მტკიცე პროფესიონალები, ვისგანაც ბევრს ელის მომავალში ქართული ქანდაკება.

ვასილ ბასიაშვილის ლითოგრაფიების თითოეული ფურცელი გამოფენილი იყო ათი ლითოგრაფია) განაწოგადებს ცხოვრებისეულ მოვლენებს. მხატვრის ფიქრები ამ მოვლენებზე, წარსულზე, აწმყობზე, თუ მომავალზე გამსჭვალულია თანამედროვეობის სულისკვთებით, ხორცშესხულია დღევანდლობის თვალთახედვით.

ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებას — შრომას, დასვენებას, ფიქრებს, განცდებს გვიხატავს სხვადასხვა შინაარსის ეს ლითოგრაფიული ფურცლები — „მეთუფები“, „ინდუსტრია“, „ოჯახი“, „გაზაფხული“, „1941 წელი“ და სხვ. განსაკუთრებით შთაბეჭდილია „იმიდი“. ერთი შეხედვით ვანრული კომპოზიცია ფაოთი აზრობრივი ქვრარობისა, გამოირჩევა ჩანაფიქრის ორიგინალობით. წინა პლანზე გვხვდავთ ახალგაზრდა დედას ყრბიანტში. მოშორებით ძველი ქართული ტაძრის სიხალთეს ჭაბუკი გაზაფხულის ახლადდაკვირტულ რტოებს აწვიდს თავის გულისწორს. შორს, თითქოს ფრესკიდან ჩამოსულიაო, რანდე რაშში მიაგვიფებს. აქ „იმიდი“ ორმა შინაარსს შეიცავს. მხატვარი იმედით უმზერს მომავალს, სიყვარულს, შვიდობას, გაზაფხულის სილამაზოს სახეე მომავალს. ბასიაშვილის ხელწერა აცილებულია ხელოვნურ, თვითმზნურ ხერხებს: ყოველი ხაზი თუ შტრიხი შინაარსის გასნას უნახუნებდა. ამ ლითოგრაფიებით მხატვარი წარმოვიდგა, როგორც მრავალპლანიანი აზროვნების, სახეით ხერხების თავისუფლად მფლობელი გრაფიკოსი.

კარლ ფაქულია ასევე საინტერესო მხატვრად წარმოვიდგა როგორც დაზვურ, ისე წიგნის გრაფიკაში. უნდა აღინიშნოს, რომ იგი შესანიშნავად ფლობს ორივე ამ დარგის სპეციფიკას. შექაპირის „ევეცევილი ვაჭრის“ ილუსტრაციები ერთ-ერთი საყურადღებო ნამუშევრებია ქართულ შექაპირიანაში. ფაქულია ფართოდ აზროვნებს. ყოველი ილუსტრაცია ლაკონიურობით, მხატვრული ხერხების ზუსტე გამოყენებით გამოირჩევა. შავის, თეთრის და მომწვანო განათების დაპირისპირებით ავტორი ქმნის ერთიან, შვერულ კომპოზიციებს. გრაფიკული ხერხების გამოყენების სიძუნწით, შავისა და თეთრის ხაზობრივ

კონტრასტებზე აგებს იგი დაზგური ფურცლების სერიას „დამკვეთურ უბნებზე“, რომელიც საწარმოო პეიზაჟებს წარმოსახავს.

პოეტური ჭერებისა და შინაარსის გახსნის თავისებურებით საინტერესოდ გამოჩნდა გამოფენაზე სერო ნელქაძე: „ფლუდისტი“, ჩვენი აზრით, მისი ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ნაწარმოებია. ფანჯარასთან მდგომი მუსიკოსი გატაცებით უკრავს და თანაც ტკებბა ბუნების მშვენიერებით. მელქაძე რბილ კონტრასტებზე აგებს ნამუშევარს, რითაც პოეტური სიმშვიდის შთაბეჭდილებას ქმნის. მსგავსი ინტონაცია და შინაგანი სისარულის გრძობაა გადმოცემული ტემპერით შესრულებულ კომპოზიციაში „გაზაფხული“, სადაც სოფლის პეიზაჟის ფონზე ივით ხელში გარბის პატარა გოგონა. გაზაფხულის სურნელი იფრქვევა ამ სურათიდან.


თანამედროვეობის შერჩევით გამოირჩევა აგრეთვე მიხეილ ნონიკავილის ლითოგრაფიები და ოფორტები. დამკვეთებლად და საინტერესოდ წარმოსახავს იგი ინდუსტრიულ თუ სამშენებლო პეიზაჟებს. „ცემენტის ქარხანა“, „გეოლოგები“, „მშენებლები“, „ინდუსტრიული მოტივი“, — აი, ის თემები, რაც ასე იტაცებს მხატვარს და თითოეული ნამუშევარი ავლენს ავტორის ამ გატაცებას.

ორიგინალური ხედა, ფაქიზი განწყობილების შექმნა ახასიათებს გრაფიკოს ნანა ცინცაძეს გემოვნებით და პროფესიული ოსტატობით შესრულებული მისი ოფორტები მრავალფეროვანია თავისი შინაარსით, მათში წამყვანია თანამედროვე თემატიკა. „კითარუს“ ეძღვნება რამდენიმე ფურცელი. „ელექტროფიკაცია სოფლად“ — ასე ეწოდება ოფორტს, რომელზეც ასახულია სოფლის მშვიდი პეიზაჟი — ელექტროანძებთან მობალახე ცხენი.

გამოფენაზე ექსპონირებული იყო გიორგი წერეთლის ნამუშევართა ის სერია, რომელმაც პირველი პრემია დაიმსახურა საკავშირო გამოფენაზე „ქვეყნის სიჭაბუკე“. წერეთელსაც საკუთარი მხატვრული სამყარო და ფართო ფანტაზია გააჩნია. იგი ერთგვარ ფანტასტიკურ გარემოში ასახლებს თავის გმირებს, ქმნის უჩვეულო პოეტურ ატმოსფეროს. ორიგინალურადაა გააზრებული პეიზაჟური გარემო, სადაც ვითარდება მოქმედება. დეკორატიულად სტილიზებულია ფოთლები და შვის სხვივთა მოთამაშე ფარდები სერიის ფურცლებში. გარდა ამ სერიისა, რომელიც 1976 წელსაა შექმნილი, წერეთელმა გამოფენაზე წარმოადგინა „სახელისნო“, „თამაში“, „გაზაფხული“, „ზეიმი სოფლად“. ამ ნამუშევრებში ბევრი მზე და უხეი სინათლეა, მოლიცლიცე შუქი მოსავს ყოველივეს.

სსრ კავშირის საზოგადოებრივი აკადემიის შემოქმედებით სახელისნოებში შექმნილია ყოველგვარი პირობა ნაყოფიერი შრომისა და იდეურ-პროფესიული დონის შემდგომი ამაღლებისათვის.





- მ. კაკაბიშვილი ქართული პეიზაჟი
- ჯ. რუხაძე იუნონა აფაქიძის პორტრეტი
- ვ. დრონიძე შეკარე
- ს. მელქაძე ვახუშტი
- ქ. ფარულაია ავნიცელი ვაჟის ილუსტრაცია
- ბ. შხვიაბაია დილა
- ი. ვეფხვაძე რესტავრატორები (ესკიზი)



ლადო გუდიაშვილი

მობონებების წიგნი*

არ ვიცი, იგრძნობა თუ არა ეს ჩემს სურათებში, მაგრამ მე მუდამ ვისწრაფვოდი მეძია ადამიანის არსი, მისი რაობა. ყველას თავისი დამოკიდებულება აქვს ვარე სამყაროსთან და სამყაროც იმდენია, რამდენი ადამიანიცაა ამ ქვეყნად. ზოგისთვის იქნება ეს სხვადასხვაობა იოლად ასახსენივლია, ჩემთვის კი ბევრი რამ ისევ ამოუცნობია.

უხსოვარი დროიდან ისწრაფვის ადამიანი მშვენიერების შეცნობისაკენ. ამიტომაც არის იგი შემოქმედი. მაგრამ შემოქმედება, ამავე დროს, არის უძილო დამეების, უსასრულო ფიქრის, კატორღული შრომის, სისხარულისა და ტანჯვის გზა...

უმისწოდ ხომ არაფერი არ იქმნება და არც სურათი იწერება. ცხოვრების რაობაზე, ადამიანის შეცნობის სურვილისა და ამასთან დაკავშირებული ფიქრის შედეგად შეიქმნა ჩემი ბევრი სურათი... ცხოვრება, ფართო გაგებით, ხომ სიკეთისა და ბოროტების ბრძოლაა. ამ ბრძოლაში კი უსათუოდ საჭიროა ოპტიმიზმი...

მე ხშირად მეკითხებოდნენ და ახლაც მეკითხებიან, თუ რა დაედო საფუძვლად ამა თუ იმ სურათს, რისი თქმა მსურდა, რა იყო ჩემი მიზანი და სხვა...

ამჯერად მხოლოდ ერთ-ორი სურათის შექმნის შესახებ მოგვებო.

თუ არ წაუკითხავს, გადმოცემით მაინც ვის არ გაუგონია თამარის მეფობის დროინდელი ამბავი, როცა თურქეთის სულთანმა რუსუდანიშა თამარ მეფეს შექართი აღსაფევე წერილი გამოუგზავნა: საქართველომ კირიტიანობა უარყოს და მე დამორჩილდეს... ეს ამბავი დაწერილებით და ძალზე ამადლეველად აქვს აღწერილი თამარის მემკვიდრის წიგნში „ისტორიანი და ზმანი შარავანდედანი“. თავის დროზე ისე ამადლევა ამ წიგნის წაკითხვამ, რომ მოსვენება დამიკარგა. გადავწყვიტე შემეკმნა დიდი ტილო... მხოლოდ დიდი ტილო... მუშაობის დაწყების წინ მთელი კომპოზიცია თვალნათლივ მიქონდა წარმოდგენილი... მეგონა, რამდენიმე დღეში დავამთავრებდი, მაგრამ ძალიან დიდხანს, წლების მანძილზე გაგრძელდა მუშაობა... რაც უფრო ღრმად ვწვდებოდი თემას,

მით უფრო მეტი სირთულის წინაშე ვდგებოდი. საჭირო გახდა თამარის დროის დოკუმენტების, ფაქტების ზუსტად შესწავლა... როგორი იყო მამინდელი დიდებულებისა და ამირსპასალართა ჩაცმულობა... როგორი იყო ქართულ სამეფო დარბაზი, ესურათ თუ არა ქუდი მეფის წინაშე, ატარებდნენ თუ არა იარაღს... ბევრ სხვა რამესაც სიზუსტითა და სიფრთხილით ჭირდებოდა დამუშავება. ხშირად მივდიოდი ივანე ჯავახიშვილითან. მასალევი, რომელიც მჭირდებოდა, მამინ წიგნებში არ იყო და დიდი მეცნიერი მუდამ გულისხმიერებითა და შთაგონებით მიამზობდა ყოველივეს, რაც კიდევ უფრო აღვივებდა ამ თემისადმი ჩემს ინტერესს. ძალიან დიდი ამაგი დამიღო. მუდამ წიგნებში ჩაფულუს დრო ცოტა ჰქონდა, მაგრამ ვიცოდი, რომ ყოველივე, რაც მისი ქვეყნის ისტორიაში თუნდაც პატარა სხივს შემატებდა, ხალხისთა ავსებდა. ამიტომ ვებედავი მასთან სურვლისა, ძალიან უხაროდა, ამ სურათზე რომ ვმუშაობდი... არ მიყვარს, როცა ჩემს ნახატს ვინმე მუშაობის პროცესში ნახულობს. ძალზე ივიერთად ვადლევი ვისმე ამის უფლებას, მაგრამ როცა ივანე ჯავახიშვილმა რამდენჯერმე გამოთქვა სურვილი ამ სურათის ნახვისა, მე ეს მხოლოდ დიდ პატივად მივიჩინე...

ჩემი აზრით, და მგონია, რომ ეს გადაჭარბება არ არის, მიიი სახელის სხენება მხოლოდ ილია ჭავჭავაძესთან თუ შეილება.

თორმეტი წლის განმავლობაში ვმუშაობდი ამ დიდ ტილოზე... სხვათა შორის, ისიც უსათუოდ უნდა ვთქვა, რომ ამ სურათზე მუშაობის დროს პატონ ივანესთან ერთად თავის შთამაგონებულ სიტყვას ჩემთვის არც კონსტანტინე გამსახურდია იმუშებდა... მანაც ბევრი საკულისხმო ცნობა მომარწოდა... იგი ხომ ნეციკოპოედიურ ცოდნას ფლობდა საქართველოს ისტორიაში... განსაკუთრებით კი დავითისა და თამარის ეპოქებს იცნობდა.

დიდად შთამაგონებელი იყო ჩემთვის, აგრეთვე, ხალხური ლექსები:

თამარ მეფე და ხონთქარი
მალამა დმტრთმა წაპკიდა...

და კიდევ, ცხადია, თამარის ფრესკები ვარძიასა და ბეთანიში. იმ პერიოდში იქ ძალიან ხშირად ვიყავი ხოლმე.

* გაგრძელება. იხ. „საბჭოთა ხელეწიება“ № 5-12, 1976 წ. № 1-5, 1977 წ.

ყოველივე ამან დამახსოვდა ჩემი ქვეყნის ისტორიასთან, მის ტრადიციებთან... განმადიდებელია ჩემი ხალხის ტკივილებიც და სიხარულიც. ამაზე იმდენი მიფიქრია, რომ ზოგჯერ წარმოსახვაში კეთილი და ბოროტი ძალებიც კი შემირიგებია. ასე ჩავიფიქრე, მაგალითად, ჩემი მთორე დიდი ტილო „დევების მყარიონი“... სურათში თვით უხარმასარი დევებიც კეთილ არსებებად მყავს გამიყვანილი.

ჩემი მდიდარი ხალხური შემოქმედება ფანტაზიის უღვევი წყაროა და მეც მუდამ შოამავიონებს ეს საყარო. „დევების მყარიონით“, უპირველეს ყოვლისა, მსურდა გამომხატა ნატურა, რომ ჩემს სამშობლოს არ აკავადეს მტერი, რომ თვით ბოროტი ძალებიც კი უფროსილდებოდნენ მას. უყვარდეთ, აფასებდნენ მის სილამაზეს... განავადონ ბოროტება, იქცნენ კეთილ არსებებად, ევადონ უხეზარ და შეეხონ ჩვენს მიწას... სურათში დევები სიყვითა და სიყვარულით არიან აღვსილნი ადამიანების მიმართ და მათთან მეგობრობენ... ეს წმინდა ფანტაზიაა, იქნებ გაუმართლებელი, მიუღებელი, განუსხორციელებელი, მაგრამ ეს არის ზღაპრების საყარო და მე მიყვარს იგი...


საერთოდ, საქართველოს წარსული ტრადიციები მისი ფრესკული ხელოვნება, მისი ფოლკლორი სიზაბუკიდანვე განსაკუთრებული მღელვარებით აღავსებდა ჩემს სულს... კიდევ უფრო მახსოვდება ჩემს ხალხთან, მის სულიერ ფასეულობებთან. ამან შოამავიონა მთელი რიგი სურათების შექმნა.

მუდამ ძალიან მადღეუვება და მიზიდავად ისეთი თემები, როგორცაა თბილისის დაარსება, ყვენობა, ბერიკაობა, ძველი თბილისის მოქალაქეთა ცხოვრება...

ძალიან პოეტურია ლეგენდა თბილისის დაარსებაზე და მეც განსაკუთრებით მხიბლავს. არსებობს მისი ორი ვერსია — შგლისა და ხობის... ბევრჯერ ავსახე ეს ლეგენდა, ორივე ვარიანტი... ხან ხიხობი, ხანაც შველი... ორივე მოწონს, ორივე მადღეუვება... შველი კი უფრო მირჩენია.

შველი ჩემთვის სილამაზისა და სიუკიანის ემბლემაა... ყველაზე სუფთას და ლამაზის განსახიერება. სიყვარულის, სიკეთის, სიმწინდის, ალერსის სიმბოლოდ მიმანია. შველი ხომ ძალიან ელასტიურია... მისი მოძრაობა ლამაზია და პლასტიკური... თვით რელიგიურ ლიტერატურასა და მხატვრობაშიც კი შველი ახლოს დგას ადამიანთან. იგი ჩემი სურათების ხშირი სტუმარია, ისე როგორც ძველ ნასატებში — ფრთოსანი ბავშვები, — ანგელოსები...

რაკი სიტყვამ მოიტანა, ისიც უნდა ვთქვათ, რომ საერთოდ ძალიან მიყვარს ცხოველების ხატვა... შველი, ორემი, სახედარი ჩემი კეთილი, საყვარელი პერსონაჟებია... ერთხანს იმასაც კი ვფიქრობდი, ჩემს სახელისწილში როგორღაც პატარა ზოოპარკი გამემართა, მაგრამ არ მოხერხდა... ამ „სასოფადობას“, მოგესწენებათ, ბუნების წიაღში ყოფნა უყვარს და ურჩენია...
ძველი თბილისის თემსაზე შექმნილი ჩემი ერთი სურათიც, რომელსაც „ბედს მინდობილი“ ჰქვია. ძველად, მეც კი მახსოვს ის დრო, მტკვარზე ტიყვებით დასურავდნენ. სოფლებიდან თბილისში მოქეონდათ ხილი, მოჰყავდათ ფრინველები, ეზიდებოდნენ ჭურჭელს... იმართებოდა ბაზრობა. ტივი ურველეთ და მორიგნალური ტრანსპორტი იყო. მინასავს ტიველეთ ღამით ანტიტული ჩირაღდენი. მოედლებად მტკვარი ამ ბედს მინდობილი ტივი მიჰყვებოდა მის დინებას... ხშირად ავადმყოფიც ამ ტივით ჩამოჰყავდათ თბილისში... ამ შოამბეჭდილებით არის შექმნილი ეს სურათიც.



ივანე ჯავახიშვილი

ქალი ჩემი ყველა სურათის მონაწილეა, კომპოზიციების ძირითადი ფიგურაა. ქალი ხომ სიცოცხლისა და სიკეთის საწყისია და ამიტომაც მხატვრობაში საერთოდ ამ თემას უპირველესი ადგილი უჭირავს. ჩემთვის ქალი ბუნების გვირგვინია, ბუნების სისავისა და სიუკიანის გამომხატულება... თვით ღვთისმშობელიც კი ასეთი სახით დავახატე... შეიძლება იგი ყველასთვის მისაღები არ იყოს, მაგრამ ეს ჩემი თვალსაზრისია: ვფიქრობ და ვცდილობ, რომ ჩემი ქალები, ვინც არ უნდა იყვნენ ისინი, — შორეული საუკუნეებიდან გამოსული სერაფიტა, ან მანანა ორბელიანის აივანზე მხსდარი მანდილანები თუ დღევანდელი გოგონები, უპირველეს ყოვლისა, ქართველი ქალები იყვნენ... მინდა მათში უსათუოდ გამოეხატო ქალური სილამაზე, სიკეთე, სათნოება და პოეტურად ამადლებული სული...

ამ სილამაზეს, ისე როგორც საერთოდ სილამაზეს, მე ჩემებურად ვგრძნობ და ეს ჩემს სტილში იხატება. მე ვერ ახსენი რატომ იხატება ასე. ყოველ მხატვარს გააჩნია მშვენიერების საკუთარი აღმე. ნაწარმოების ფორმას მუდამ მისი მანარის მკარნახობს... „მე არ ვებებ, მე არ გამოვარჩე“, — ამ ბოზბოდა პიასის... მეც იგივე მინდა ვთქვა...

ხდება ხოლმე, რომ პორტრეტი ზოგჯერ ვერ გამოიმდის ისეთი, როგორც მქონდა ჩავიგებელი. თუ ჩემი დამოკიდებულება ვერ გამოვხატე მასში. თუ ვერ გამოვხატე აზრი, რომელიც მადღეუვებს, სურათზე მუშაობას თავს აკანებებ.

შოამოყენებს და მასარებს ლამაზი ადამიანების ხატვა. სილამაზე გვიბოძებდა ვაკეთოთ კეთილი საქმე. ამასთან დაკავშირებით, მინდა ერთი პორტრეტი გავისახო... ესაა თანარ

ციციშვილია პორტრეტი... იგი მე განსაკუთრებით მიყვარს...

სილამაზეს თვით ყვავილიც კი შესტრფის და თავს უხრის, მით უმეტეს, აღმანი.

მასხვს, როგორ თავყანს სცემდნენ ჩემი და ჩემი შემდგომი თაობის ადამიანები თამარ ციციშვილის ქეშმარიტად ქართულ სილამაზეს... რამდენი ლექსი, რამდენი სიმღერა შექმნილა მასზე...

როცა მას ვხატავდი, მთავარი ჩემთვის, აი, ამ ქეშმარიტად ქართული სილამაზის ასახვა იყო... ეს სახე ჩემში ნესტანის, თინათინის, ნინოს, ქეთევანის სახეებთან ასოციაციებს იწვევდა. დიდი შთაბრძნებით ვიმუშავე... შედეგითაც კმაყოფილი ვიყავი... სურათი ჩემს მეგობარ პეტრეპეტას ძალიან მოეწონა. მთავარს, უნდა ვთქვა, რომ თვით თამარი თავდაპირველად თითქოს არ იყო კმაყოფილი. თავის დროზე არც დიმიტრი უზნაძის შეილებს მოეწონათ დიმიტრი უზნაძის პორტრეტი. ზოგჯერ, ალბათ დროა საჭირო... ასე მოხდა თამარ ციციშვილთანაც... პორტრეტული ამოცანა ისევე, როგორც სხვა ამოცანები, მხატვრებისათვის საერთოდ ინდივიდუალურია.

ერთხელ, თურმე, პიკასოსთვის უთქვამს მის მეუღლეს: — რა არის, ყველას ხატავ, მე კი ერთხელაც არ დამხატე.

დახატა... მეუღლეს არ მოეწონა.

ეს მე არ მგავსო, — უთხრა...

მამინ პიკასომ ფული გაუწოდა, — აქვე ფოტოგრაფთან ჩადი, გადაიღე და უსატად შენ იქნებიო...

ზოგ შემთხვევაში, ალბათ, მართლაც გარკვეული დროა საჭირო, რომ მასურებელმა ესა თუ ეს ნაწარმოები მიიღოს, ან პირიქით, აღარ მიიღოს.

რაც შეეხება დიმიტრი უზნაძის პორტრეტს... მე იგი წინასწარ გადაფრთხილდი:

— ეს ტრადიციული პორტრეტი არ იქნება... იქნებ ზუსტი სხვაგვარა ვერ იპოვით, მაგრამ ეს იქნება ჩემი თვალთ დანახული თქვენი ზოგადი პორტრეტი-მეთუ!

— ვიცი, ხელმძღვანელს შეუზღუდა და მისი რომელიმე ერთ ფორმალს მოქცევა არ შეიძლებაო, — მითხრა...

სურათში შევტანე ისეთი ელემენტები, რაც არატრადიციული იყო მისი ხასიათის და ცხოვრებისათვის: ჩაცმულობა, წამოსასხამი, ხალათი... მთლიანობაში მხოლოდ სახე დაარჩა რეალისტური, მაგრამ გარემო, ალბათ, არ უქნადა მას საერთო რეალისტურ ხასიათს, რის გამოც შეიქმნა სხვადასხვა აზრი. ზოგს მოსწონდა, ზოგს არა... უფრო არ მოსწონდათ, განსაკუთრებით, მის ნათესავებს. მაგრამ უნდა ვთქვა, რომ, პირადად მე კმაყოფილი ვიყავი. ასეთი არა კი არც ისე ხშირად ნემართება. ბოლოს ეს პორტრეტიც ყველამ აღიარა.

დიდ პატივს ვცემდი დიმიტრი უზნაძეს... ძალიან მიყვარდა და ანიტომაც გადაწყვიტე მისი პორტრეტის შექმნა. ფაქიზი გრძობის, დიდად კეთილშობილი, საინტერესო პიროვნება, სიმშაბიურია ადამიანი იყო, თითონ მოისურვა ჩემი გატანობა. უწავდა შევენო ჩემი ფსიქოლოგიური სამყარო და ან განზრახვით დაიწყო ჩემი გრაფიკული ნამუშევრების შესწავლა. დამიძახეს ფსიქოლოგიის ინსტიტუტში, ჩამიტარეს ჩამდენიმე ცდა.

ერთი ცდა ასეთი იყო: ფარდის უკან დაჯდა ვიღაც მამაკაცი. მითხრეს: თქვენ მას არ იცნობთ... იგი წაიკითხავს ლექსს, ან ნაწყვეტს მოთხრობიდან, ან მოატყუება რაიმეს, თქვენ კი ხმის მოძრაობის მიხედვით დახატეთ მისი სახეო... დაეხატე ერთი... მეორე... მესამე... წარმოდგინეთ, საცხრად დემონსტრაცია ხატვით, მოძრაობაც, ხასიათიც... თვალების გამომეტყველებაც უსუსტი გამოვიდა... რა თქმა უნდა, ეს ნამდვილი პორტრეტი არ იყო, უფრო მიანიშნებდა ხასიათს.


ან კიდევ: მიჩვენებდნენ ნახატს, ამ ნახატის მიხედვით ვეშნიდი მათი ავტორების პორტრეტულ მონახატებს... მასხვს, ამოგავარი ცდა ერთხელ პარიზშიც ჩამიტარეს... ერთი ანერვიული, გვარი აღარ მასხენდებო, მოვიდა ჩემთან და მთხოვა — მე ფსიქოლოგი ვარ, მხატვრებზე დაკვირვებებს ეხდნენ და ვისაუბროთო. რამდენიმე შეკითხვა მომცა ჩემი მთაბეჭდვლების ირგვლივ ცხოვრების ამა თუ იმ მომენტზე.

შეონდა ნახატების სერია „ლადოს კომპარები“. წამოსვლისას ალბომი ამ ნახატებით ჩემ ერთ იქაურ მეგობარს — ლუსინე შელერს დავეტოვე. დამპირდა, გამოვცემო. ძალიან გული მიწყდება, რომ ეს ალბომი დაგვარგე...

ყოველთვის ვერ ასწი, რა შთაგონებს სურათის შექმნას. ზოგჯერ უღობით დაგვეება გულში რაღაც ფიქრი. უეცრად სულ პატარა, უნიშვნელო დეტალი ბიძგს მისცემს მას და წარმოსახვით ავაცხეს... იპოვი ფერსაც, რომელსაც ეძებდი, იპოვი კომპოზიციასაც, და ჭკიდებ ფუნჯს ხელს... ხანდახან სულ სხვა საგანი, ან მოვლენა აღვიტებს შენში სწორედ იმ შთაგონებას, რომელიც აუცილებელია მუშაობის დასაწყებად... ეს ძალზე რთული პროცესია და მის ასწნას მე ვერც შევეცდები...

მოვიყვან ერთ მაგალითს პირადად ჩემი ცხოვრებიდან. პარიზში ყოფილ მკათათვის (ამის შესახებ უფრო დამწერილობით მე ზემოთაც ვწერდი) იმართებოდა გრანდიოზუ-

ლ. გუდიაშვილი აკადემიკოს დიმიტრი უზნაძის პორტრეტი





ლი დღესასწაულები. მაგალითად, მინახავს როგორ ანსახი-
ერებდნენ კართაგენის ეპოქასა და რომის პერიოდს. ეს ერთ-
გვარი თეატრონი იყო, სადაც ყველა მონაწილეს სათანადო
ეპოქის შეაფერი ტანსაცმელი ეცვოდა... ყოველივე ამას, რა
თქმა უნდა, თან ახლდა მუსიკა და რიტუალები.

ეს დღესასწაულები ჩემზე ძალიან დიდ შთაბეჭდილებებს
ასდენდნენ და ხშირად მიფიქრია მათი დახატვა... მაგრამ
სათანადო განწყობა მხოლოდ მაშინ შემეძენა, მაშინ შევძელო
ჩემი ფიქრი სახეებში დამენახა, ფორმა მიმეცა, როცა არმა-
ზის გათხრები ვნახე...

სად არმაზი და სად პარიზიო, — იტყვის ვინმე, მაგრამ
ეს ნამდვილად ასე იყო... ასე შეიქმნა ერთ-ერთი გრაფიკუ-
ლი სურათი „ქორწილი არმაზში“.

საერთოდ, არმაზის გათხრებმა ჩემზე ძალიან დიდი შთა-
ბეჭდილება მოახდინა. მასსოვს, ივანე ჯავახიშვილი ბევრს
მე აუბრებოდა მცხეთის წარსულზე:

— ისე არ მინდა მოვკვდე, მის ტერიტორიაზე გათხრებს
რომ არ მოვეწროო.

დიდი მეცნიერი მართლაც მოესწრო თავისი ოცნების გან-
ხორციელებას. მცხეთისა და არმაზის გათხრებმა უეცრად და-
ანახა ყველას საქართველოს დიდი წარსული. ამ გათხრებმა
უდიდესი შთაგონებით ამავეს მეც... თითქმის ყოველდღე და-
ვლილი იქ, ვხედავდი ქართველ არქეოლოგებს ჩემს თვალწინ
როგორ ამოქონიდათ საუკუნეთა მანძილზე მიწაში ჩამარხუ-
ლი უძვირფასესი განძი, ქართველი ხალხის დიდი სულიერი
და მატერიალური სიმდიდრე... გაიხსნა პიტიაშების მდიდ-
რული სარკოფაგები...

უდიდესი ფანტაზია გამოიღიქეს ამ გათხრებმა. ბევრ ჩემს
სურათს, რომელსაც ზოგჯერ სულ სხვა სახელწოდება აწერია,
ან სხვა თემაზეა შექმნილი, ხშირად სწორედ აქ განცდილი
სიხარულის, თუ ტკივილის ქვეშევსეული ბეჭედი აზის. ერთი
პერიოდი მაინც სულ ჩავიძირე ამ თემაში... სიხარულშიც სხვას
აღარაფერს ვხედავდი... ეს იყო ჩემი ცხოვრების ერთი ყვე-
ლაზე დაუვიწყარი შთაბეჭდილება. მისიხარებოდა პიტიაშ-
ებში, მათი დარბაზები, მათი ჩაცმულობანი... მაშინდელი
სასახლეები, მცხეთის გალავანში მდგარი მეციხოვნენი... აბ-
ჯარასხმული მეომრები. და ისევ პიტიაშებში...

პიტიაშის საფლავზე გამოიღი ბროწეულის წითელი
ყვავილი, სამკურნო ჩახლართული მისი ფესვები... არაჩეუ-
ლებირობი მორთულობანი... უძვირფასესი სამკაულები... და...
სერაფიტა...

საფლავის თილი ქვაზე გასაოცარი, პოეტური სიტყვები
ეწერა: იგი ცხრამეტი წლისა გარდაიცვალა და ამ ქვეყნად
მასზე ლამაზი არავინ არ იყო.

ჩემს წარმოდგენაშიც გაცოცხლდა პიტიაშის უშვენი-
ერები ასულის სახე... დიდხანს ვეღარ მოვივლიდი მას... მოს-
ვენების აღარ მძძღვებდა. თვრამეტი საუკუნის შემდეგ ქვეყ-
ნად ზვის შუქვით ამოსული მისი მშვენიება; წარმოვიდინე,
როგორ აბრმავებდა მანახველს ეს მშვენიება და... ასე შეიქმნა
ჩემი რამდენიმე სავალბოებლი სერაფიტაზე.

ბევრი ხელოვანი შთააგონა მაშინ სერაფიტას თემამ და სა-
ერთოდ, მცხეთის გათხრებმა... ყველაზე მეტად მაინც სიმინ
ჩემოვანის ლექსებმა მომხიბლა. სიმინის შემოქმედებაში გან-
საკუთრებით სწორედ ეს ლექსები მიყვარს.

მცხეთის ღამე გახვეულა სურათი,
ქვას ატავა ძველ დროის მკვარტლთ,



ლ. გუდიაშვილი თამარ კვიციანილის პორტრეტი

სერაფიტი წევს გარანდულ ეპოში,
მისი თემები მორთულა ქართლში...

სავალბოა, რომ, ისე როგორც ბევრგან საქართველოში,
მცხეთაშიც ბევრი რამ დაიკარგა და მარტო წარსულში არა...
ვანის გახსენებაც გმარა... რაც შეეხება მცხეთას, სწორედ იმ
ტერიტორიაზე, სადაც შემდეგში გათხრები დაიწყო, რამდენიმე
წლით ადრე ვიღაც დასახლდა. უბრალო გლეხი იყო... აშუ-
შავებდა მიწას... ცხოვრობდა მშვენივრად... როცა ქობს აშუ-
ნებდა, (ეს შემდეგ გამოირკვა) მიაგნო სარკოფაგებში... გაჩემ-
და... აუტროს თურმე აღნიბდა და ჰყიდდა...

მასსოვს, უწინ მოსახლეობას მუხუშუმოვაც ბევრი განძი მო-
ქონდა, იქნებოდა ეს ხელნაწერები, ქედურობა, ხატები...
სერაფიტაზელები თუ სხვა...

კომისია გულგრილად ხვდებოდა ამ ფაქტს.
— დატკეო... დატკეო... შევაფასებო და პასუხს გბტ-
ყვითო, — ეუბნებოდნენ.

პასუხს კი ხშირად ძალიან უგვიანებდნენ, ზოგჯერ კი სულ
არ აღვედნენ. ასე და აშვარად დაიკარგა ბევრი რამ... ბევ-
რი რამ კი ამავე მიზეზის გამო საქართველოს გარეთ გააქონ-
დათ და ჰყიდნენ.

ეს რამდენიმე თვანათლივი მაგალითია, რომელიც მე
ვიცი და რომლის მიწვევ თვითონ ვყოფილარ.

სხვათა შორის, როცა პარიზიდან ჩამოვედი, ერთი შეხვე-
ლა სწორედ არმაზში გაიმართეს. შეხვედრას მწერლებთან
ერთად ისტორიკოსებიც ესწრებოდნენ, მათ შორის ივანე ჯა-
ვახიშვილიც ბრანდებოდა... ყველაფერს, რაც შემდეგ წლე-

